

## 1. საერო ხასიათის ნორმები კათალიკოსთა სამართალში. (10)

კათალიკოზთა სამართალი XVI საუკუნის ძეგლია და ეხება საეკლესიო და საერო სამართლის საკითხებს. იგი შედგენილია ქართლის კათალიკოს მალაქიასა და აფხაზეთის კათალიკოს ევდემონის მიერ, ამასთან მათ დახმარებით "ყოველნი ეპისკოპოსნი აფხაზეთისანი". ძეგლი შედგენილია დასავლეთ საქართველოში და განკუთვნილია ამ კუთხისთვის. მისი შედგენის მიზეზი დას.საქ.-ში შექმნილი "ცუდი" ვითარება ყოფილა. ამ პერიოდში გაძლიერდა ოსმალეთის აგრესია, დაიწყო არეულობა, ტყვეთა სყიდვა, მკვლელობა, ქურდობა, მეკობრეობა. ამ ძეგლის შედგენაში არ მონაწილეობდა გურიის კათალიკოსი, ამიტომაც ძეგლი გურიაში არ მოქმედებდა. კათალიკოსთა სამართლის შემდგენელნი დიდი სჯულისკანონით ხელმძღვანელობდნენ. ძეგლი 22 მუხლისაგან შედგება და მათი უმრავლესობა სისხლის სამართლის შემცველია. თუმცა არის საერო ხასიათის ნორმებიც:

- 1) ადამიანის ტყვედ გაყიდვა, იგულისხმება საქართველოდან საზღვარგარეთ. ადამიანის გაყიდვისთვის დაწესებული იყო დაგმობა და გაძევება. თუ გაყიდულ ტყვეს უკან ვერ დააბრუნებდა უნდა ჩამოეხრჩოთ. ჩამომხრჩობი თუ ქრთამით არ ჩამოახრჩობდა შეჩვენებული იქნებოდა. თუ დამნაშავე შეძლებდა ტყვის გამოსყიდვას და უკან დაბრუნებას, მაშინ იგი სიკვდილით დასჯას გადაურჩებოდა, მაგრამ იგი ვალდებული იყო საურავი გადაეხადა იმ საეპისკოპოსთვის, რომელშიც გაყიდული ადამიანი შედიოდა და აგრეთვე ტყვის ბატონისთვის.
- 2) ეკლესიისა და ხატის გამარცვა. მკრეხელობად ითვლება და დამნაშავე უნდა ჩამოახრჩონ.
- 3) ეკლესიიდან მოპარვით საქონლის გამოტანა და მითვისება (ქურდობა). უნდა აანაზღაუროს საქონელი და რომელიმე სხეულის ნაწილი უნდა მოჰკვეთონ.
- 4) ძმისა და მამის მკვლელობა. ხელის მოკვეთა ან გაძევება უნდა მიესაჯოს
- 5) დანაშაულის გარეშე (უბრალოდ) ადამიანის მკვლელობა. ისჯება, მაგრამ დაკონკრეტებული არაა როგორ.

6) ქურდობა. უნდა დაისაჯოს ძველი წესით, რომელიც აგრეთვე დაუკონკრეტებელია.

7-15) ეკლესიის მსახურთა მოვალეობას შეეხება.

16) მეფის მოღალატესიკვდილით ისჯება

17) კათალიკოს-ეპისკოპოსის გინებისთვის ისჯებიან

18) კაცის გაყიდვისა და ეკლესიის გაძარცვისას თუ საქმე არ გამოიძიეს და დამნაშავე გაამართლეს ისჯებიან წყევლა-კრულვით.

19) ეკლესია-მონასტრის ქონების წამრთმევი ისჯება წყევლით.

20) რძლის შემრთველი შეჩვენებულია და ორივე გაღმა-გამოღმა უნდა დაიკირონ. (ცოლის უბრალო გაშვებაზე სიკვდილით დასჯაა და დიდ კითხვას ბადებს ეს კონკრეტული მუხლი.)

## 2. დანაშაულის შემამსუბუქებელი და გამომრიცხავი გარემოებები. (10)

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებებია:

1) ომის დროს მტრის მოკვლა (თუ ომში კაცს კაცი შემოაკვდება)

2) თუ მკვლელობა ჩადენილია დაზარალებულის შეუცნობლად, განზრახვის გარეშე, მაგრამ თუ აღრე მათ შორის ქიშპი და მტრობა იყო და ნათესავები მკვლელს წაუყენებენ ბრალდებას მან თავი უნდა იმართლოს ან სისხლის ფასი გადაიხადოს.

3) თუ დამხვდური მოკლავს თავდამსხმელს, მომხვდურს. ეს დანაშაული აუცილებელ მოგერიებას ჰგავს. თუ ბატონი დაესხა თავს ყმას ამის შესახებ კანონი დუმს.

4) როდესაც ერთი კაცი მეორეს მოსაკლავად შეუტევს და უმცროსი კაცი გაერიდება მას. უფროსი ხმაღს მოუქნევს და მეორე მოქნევისას რომ უმცროსი მოკლავს ან დაჭრის. ის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება.

5) როდესაც სწორი სწორს შეუტევს, ხმაღს ხელი გაიკვრება და თავდამსხმელს მეორე პირი მოკლავს ან დაჭრის.

6) თუ ცოლზე ან შვილზე სხვა კაცი დაახელოს და მოკლას.

7) თუ მოახლეზე დაახელოს და მოკლას.

- 8) ყმას აქვს უფლება მოკლას თავისი ბატონი, თუ მან შელახა მისი ოჯახის ცოლქმრული სიწმინდე.
- 9) ქმარს უფლება აქვს მოკლას მოღალატე ცოლი.
- 10) სამართლის წიგნი გამორიცხავს პასუხისმგებლობას ქურდის მკვლელობისათვის.

დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ან პასუხისმგებლობისაგან სრულიად გასათავისუფლებელ გარემოებად ითვლებოდა: თუ დანაშაული ჩადენილი იყო გამოუვალი მდგომარეობის ანუ იძულების გამო. ასეთ გარემოებად ითვლება: თუ დამნაშავე მოქმედებდა უფროსის, მეფის ან სხვა დიდი ხელისუფალის ბრძანების აღსასრულებლად და ამიტომ ჩაიდინა დანაშაული. ან ომიანობისა თუ თავდასხმის დროს იძულებული იყო თავი დაეცვა. იმდროინდელი ტერმინოლოგია ასეთ მიზეზებსა და გარემოებებს უწოდებს „ჯეროვან მიზეზს“, ზოგჯერ კი „საჭირო მიზეზს“.

### 3. რუის-ურბნისის ძეგლისწერის დადგენილებები. (10)

- 1) თანამდებობიდან გადაყენებულად ცხადდება უღირსი მღვდელმთავარი. უღირსად ითვლება ის საეკლესიო პირი რომელსაც სულისათვის ხორცი არ დაუთრგუნავს. გარდა ამისა, საეკლესიო ასაკიც შესაბამისი უნდა ჰქონდეს.
- 2) ეპისკოპოსი უნდა იყოს არანაკლებ 35 წლის, მღვდელი-30, დიაკონი-25, ხოლო წიგნის მკითხველი -8. ხელდასხმა ხდებოდა დაბალი თანამდებობიდან ნელ-ნელა მაღალზე.
- 3) ხელდასხმა და ეკლესიის კურთხევა უნდა ჩატარდეს გიორგი მთაწმინდელის განწესების მიხედვით.
- 4) ძეგლისწერა კრძალავს ხელდასხმას ქრთამით, ან ძღვენით.
- 5) საეკლესიო ქონება, საეკლესიო ჭურჭელი, ნაყიდი ან შემოწირული მხოლოდ თავისი დანიშნულებისამებრ უნდა იხმარებოდეს.
- 6) ქორწინება, მონათვლა, მონაზვნად განწესება ხდებოდა ეკლესიის მიერ განსაზღვრული წესით და მისი დარღვევა აკრძალული იყო.

ძეგლისწერაში ნახსენებია პირველი და მეორე ქორწინება. როგორც ჩანს, მესამე და მეოთხე ქორწინებას ის არ იცნობდა.

7) დაქორწინებისთვის განსაზღვრული იყო ასაკი. ქალი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 12 წლის.

8) კათალიკოსსა და ეპისკოპოსთაგან უნდა შეირჩნენ ეკლესიის ისეთი მსახურნი, რომლებიც გათვითცნობიერებულნი არიან საქრისტიანოს წესებში.

9) ძეგლის მიხედვით მოძღვართა სიმრავლე მონასტერში განხეთქილებას შემოიღებს, ამიტომ მოძღვართა რიცხვი უნდა განისაზღვროს. დიდ მონასტერში დასაშვებია 2, ხოლო პატარაში ერთიც საკმარისია.

10) ეკლესია კრძალავს ერისკაცთა მიერ მონასტერში ვაჭრობას. მონასტერი სამლოცველოა და ერისკაცთა შეკრება დაუშვებელია.

11) ძეგლისწერაში განმარტებულია თუ სად და ვის მიერ უნდა სრულდებოდეს ცოცხალთა და მიცვალებულთა ლოცვა და ჟამის წირვა.

12) სომეხნი სარწმუნოებით მწვალებელნი არიან და თუ ისინი ქრისტიანობას მიიღებენ ისეთივე წესით უნდა მიიღოს ის ეკლესიამ როგორც იღებენ წარმართს.

13) კრძალავს მართმადიდებლისა და წარმართის ქორწინებას.

14) კრძალავს წარმომადგენლობით ქორწინებას. როდესაც მეუღლე არ იმყოფება ადგილზე და ცოლ-ქმრის ერთად შეყრა ვერ ხერხდება, მაშინ გვირგვინის კურთხევის დროს საქმროს მაგიერ მისი წარმომადგენელი უნდა იყოს.

15) ეხება ისეთ დანაშაულს, როგორცაა სოდომური დანაშაული, არაბუნებრივი სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა.

#### 4. დანაშაულის სუბიექტური მხარე (ბრალის პრობლემა ექ. მთაწმინდელისა და ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით.) (10)

დანაშაულის სუბიექტური მხარე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველია. ბრალის განსაზღვრა აუცილებელია პასუხისმგებლობის დასაწესებლად.

სისხლის სამართლის ისტორია ორ დიდ პერიოდს მოიცავს ბრალის ცნების განვითარების თვალსაზრისით. პირველია, როდესაც არ აინტერესებდათ დამნაშავეს შინაგანი განწყობილება და მხოლოდ მოქმედების გარეგანი სახე, შედეგი აინტერესებდათ. ამ პერიოდს ეწოდება ობიექტური შერაცხვის პერიოდი. ობიექტური შერაცხვის პრინციპს ცვლის სუბიექტური შერაცხვის პრინციპი. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი არ წყდება მხოლოდ დამდგარი შედეგის მიხედვით, არამედ აუცილებელი ხდება დამნაშავეს პიროვნების, მისი შინაგანი, სულიერი მდგომარეობის გარკვევა დანაშაულის ჩადენისას, თუ სასჯელის გამოტანისას. მნიშვნელოვანია აგრეთვე გაირკვეს შეგნებული ჰქონდა თუ არა დამნაშავეს რას ჩადიოდა. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა სუბიექტური დამოკიდებულების შემდეგი ფორმები: სურვილი, გაუფრთხილებლობა, თვითიმედოვნება. ძველი ქართული სამართალი იცნობდა ბრალის ორივე ფორმას განზრახვასა და გაუფრთხილებლობას. ექვთიმე განზრახვას უკავშირებს ნებას და აღნიშნავს, რომ განზრახი მოქმედება არის თავისი ნებით ჩადენილი მოქმედება. ბრალის მეორე ფორმას უწოდებს უნებლიე მოქმედებას. ექვთიმეს მოჰყავს გამოკვეთილი განზრახვის რამდენიმე შემთხვევა: ავაზაკის მოქმედებები, მოწამვლა, მუცლის მოშლის მიზნით წამლის დალევა, ცულით, შეშით, მახვილით კაცის კვლა. განზრახვასთან მიახლოებული მოქმედებები: ჩხუბის ან შფოთისას როდესაც ადამიანი მოკვდება. ვინმეს თუ ქვა ესროლე მოკვლა არ გინდოდა მაგრამ გარდაიცვალა.

გაუფრთხილებელ დანაშაულებში ექვთიმე გამოყოფს: ხის ნაყოფის ჩამოგდებისას ქვის სროლით კაცის კვლა, მოსწავლის ჯოხით გაწვრთნისას სიკვდილი. ექ. მთაწმინდელის მიხედვით ბრალის შემდეგი ფორმებია ცნობილი: 1) განზრახი ბრალი (გამოკვეთილი განზრახვა, განზრახვასთან მიახლოებული), 2) უნებლიე (უნებური მოქმედება პასუხისმგებლობას არ იწვევს, უნებური, რომელიც გაუფრთხილებობას შეესაბამება და პასუხისმგებლობას იწვევს).

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ბრალის პრობლემის შესახებ შეეხებოდა ძველ ქართულ სამართალს. რაც შეეხება ბრალის პრობლემას იგი უნდა გაირკვეს ვახტანგ 6-ის კანონმდებლობით. ეს ძველი სხვადასხვა სახის დანაშაულებს ყოფს ორ ჯგუფად: 1)

განზრახვი დანაშაულები 2) განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაულები. კანონი განასხვავებს განზრახვასა და ფათერაკს. ვახტანგის სამართლის წიგნი არ იძლევა სამწუხაროდ არც გაუფრთხილებლობის და არც განზრახვის ზოგად ცნებებს. მათ შინაარსს კანონმდებელი კაზუსების მეშვეობით არ კვევს. სამართლის წიგნის 42-ე მუხლის მეორე ნაწილი მიუთითებს პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებზე: ომში თუ თავისი არმიის წევრი შემოაკვდა განზრახვის გარეშე (ბრალდებულმა თავი უნდა იმართლოს და დაამტკიცოს უბრალოება ან საზღაური გადაიხადოს). ვახტანგის სამართლის წიგნი ასხვავებს განზრახვასა და ფათერაკს. ფათერაკად გულისხმობენ შემთხვევას, რისთვისაც პასუხისმგებლობა არ ინიშნება. ვახტანგთან მას ასეთი ზუსტი მნიშვნელობა არ აქვს. ფათერაკი გაუფრთხილებლობის ყველა სახეს აერთიანებს და განზრახვას უპირისპირდება. სამართლის წიგნის მიხედვით თუ პირუტყვი სხვის ნათესებს გააფუჭებდა და მბრალდებელი ვერ დაამტკიცებდა მოპასუხის განზრახვას მოცემულ მოქმედებაში, მაშინ პატრონი საფათერაკოს წესით აგებდა პასუხს გაუფრთხილებლობისთვის. ვახტანგის სამართლის წიგნი აგრეთვე იცნობს გაუფრთხილებლობის ცნებას. ადამიანს ევალებოდა თავისი მოქმედების მავნე შედეგების გათვალისწინება და დაივიწყა ეს მოვალეობა. აქ ისჯებიან იმის გამო, რომ შეეძლო ადამიანს თავიდან აეცილებინა შედეგი, მაგრამ არ გაითვალისწინა. ე.ი პასუხისმგებლობა დადგა გაუფრთხილებლობისთვის. სამართლის წიგნის მიხედვით, სასამართლოს უნდა გამოერკვია არა მარტო დანაშაულის მოქმედებით მიყენებული ზიანი, არამედ ის სუბიექტური განწყობილება, რომელიც ჩადენილ მოქმედებაში გამოაშკარავდა.

## 5. დიდი სჯულისკანონი. (10)

დიდი სჯულისკანონი არსენ იყალთოელის მიერ არის ნათარგმნი მე-11 საუკუნის ბოლოსა და მე-12 საუკუნის დასაწყისში. ნომოკანონი ბერძნულად ნიშნავს კანონს და წესს. ნომოკანონი ეწოდება მართმადიდებლური საეკლესიო სამართლის კრებულებს, რომლებიც

შეიცავენ ეკლესიის შინაგანაწესს, აგრეთვე ყოფა-ცხოვრებისა და საოჯახო სამართლის ნორმების დებულებებს. მართმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი კანონიკური კოდექსი ჩამოყალიბდა მე-9 საუკუნის ბოლოს, 14 ტიტულოვანი ნომოკანონის სახით. მან 920 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებაზე ზოგადქრისტიანული სახელმძღვანელოს ხასიათი მიიღო.

კანონიკური კოდექსის წყაროები 4 ჯგუფად იყოფა:

1) მოციქულთა სახელით ცნობილი 85 საეკლესიო კანონი 2) მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიღებული კანონები 3) ადგილობრივი საეკლესიო კანონები 4) ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარული კანონმდებლობა. დროთა განმავლობაში იცვლებოდა კანონიკური კრებულის შემადგენლობა საჭიროების მიხედვით. ბრალის შესახებ მცირე და დიდი სჯულის კანონები ერთნაირი წყაროებით ხელმძღვანელობდნენ. დიდი სჯულის კანონი განსაკუთრებით მდიდარია სამართლებრივი შინაარსის ტერმინებით. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია „დამთხვევა“ რომელიც შემთვევით მომხდარ დანაშაულს გულისხმობს და „წინასწარწურთილება“ რომელიც განზრახ ჩადენილ დანაშაულს ნიშნავს.

## 6. სასჯელის მიზნები. (10)

ივ.ჯავახიშვილმა ამომწურავად გამოიკვლია სასჯელთა მიზნების შესახებ მოსაზრებანი ძვ. ქართულ სამართალში. ის ასახელებს სასჯელის დანიშნულების 4 მიზანს:

1) დამნაშავის დასჯის დროს სასჯელის მიზანი იყო მისი ზნეობრივი გამოსწორება. სწორედ ამ თვალსაზრისზე იდგა ექვთიმე მთაწმინდელი. იგი სასჯელის დანიშნულებად თვლიდა წვრთნას. მსგავსი პოლიტიკის კარგი მაგალითია საერო სამართალში, როდესაც დავით აღმაშენებელი შეეცადა ლიპარიტი გამოესწორებინა.

2) სასჯელის მეორე მიზანს როგორც საეკლესიო, ისე საერო სამართალში წარმოადგენდა დამნაშავე პირთა მიმართ ხორციელი და ფიზიკური ვნების მიყენება. ამ სახის სასჯელები გამოიყენებოდა იმ ბოროტმოქმედთა მიმართ, რომელთა გამოსწორება არ ხერხდებოდა

წვრთნით ანუ ჰუმანური აღზრდის მეთოდებით. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მსგავსი მეთოდების გამოყენება შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში. საერო სამართლისთვის დამახასიათებელი იყო ტაჯგანაგით ცემა და სხვ. ამ ტიპის სასჯელს დაშინების მნიშვნელობაც ჰქონდა.

3) თუ დამნაშავეს დანაშაულისადმი მიდრეკილება ჰქონდა ან დანაშაულისადმი მიდრეკილება გვარისაგან მოჰყვებოდა, ასეთი პირებისადმი დამნაშავეს წვრთნა და გამოსწორების ხორციელი და სატანჯველი სასჯელები ეფექტს არ იძლეოდა. მათ მიმართ გამოიყენებოდა ექსორია და გაძევება. ამ სასჯელის მიზანი იყო საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვა და დამნაშავე პირთაგან საზოგადოების გაწმენდა. დავით აღმაშენებელმა ლიპარიტი ერთხელ შეინდო, ხელმეორედ ჩადენილი დანაშაულისთვის კი უკვე ექსორიად გაგზავნა.

4) ეფრემ მცირეს აზრით, თუ ადრეულ ეტაპზე სასჯელის მიზანი და დანიშნულება სამაგიეროს მიზლვა იყო, განვითარებულ სახელმწიფოში მისი მიზანი და დანიშნულება უნდა იყოს კანონიერებისა და სამართლიანობის დაცვა.

ცნობილია აგრეთვე პრევენციის თეორიები, რომლებიც იმით ხასიათდებიან, რომ სასჯელის მიზანს ისინი ხედავენ დანაშაულის ჩადენის წინასწარ აცილებაში. აგრეთვე პროფ. ვაჩეიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმაზე ჰქონდა თუ არა ქართულ სამართალში სასჯელს სამაგიეროს მიზლის დანიშნულება და ამ საკითხზე დადებითად უპასუხებს, რომ ქართული „მისაგებელი“ სამაგიეროს მიზლვაა.

## 7. ყურთლუ-არსლანის დასის პროგრამა. (10)

ყურთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ მოგვითხრობს თამარის პირველი ისტორიკოსის შრომა-„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.“ მემატთანე მოგვითხრობს ჯერ დიდგვაროვან აზნაურთა გამოსვლაზე, რომელთაც უგვარო ყუბასარისა და აფრიდონის გადაყენება მოითხოვეს. და შემდეგ



განთავისუფლებული თანამდებობისთვის შეიქმნა ბრძოლა. ამ პერიოდში ასპარეზზე გამოდის ყურთლუ-არსლანის დასი. ყურთლი-არსლანს მემატთანე ახასიათებს როგორც ორპირს, მზაკვარს და ბუმს. ავტორის თქმით ყურთლუ-არსლანმა თავისი მოთხოვნა სპარსთა წესის მიხედვით მოიგონა. მან მოითხოვა ისნის ველზე, კარვის დადგმა. იქ უნდა დამსხდარიყვნენ სახელმწიფოს განმგებელნი. კარავში მსხდომნი იქნებოდნენ ქვეყნის უზენაესი განმგებლები, ყოველგვარი მნიშვნელოვანი საქმის საბოლოოდ გადამწყვეტნი. მათ უნდა ჰქონოდათ მართლმსაჯულების ფუნქცია. მათ უნდა გადაეწყვიტათ თანამდებობის მიღება, ჩამორთმევის და მამულის წყალობის საკითხები. დარბაზი შედგებოდა საერო და საეკლესიო პირებისაგან. ის ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას და ქვეყნის ცენტრალიზაციის საკითხს. ყურთლი-არსლანი როგორც ვეზირი მისი წევრი იყო. კარავი სრულიად განსხვავდებოდა დარბაზისაგან. დარბაზი მეფის სათათბირო ორგანო იყო. როდესაც კარავში მსხდომნი თავად განაგებდნენ საკითხებს მეფის უკითხავად და მეფეს მხოლოდ მათი გადაწყვეტილების აღსრულების ფუნქციას რჩებოდა. ისტორიკოსის თქმით თამარმა გაიკვირვა ყურთლუ-არსლანის ეს სურვილი. მან შეიპყრო ის თავისი ერთგულების მეშვეობით. ამან კიდევ უფრო დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია ყურთლუ-არსლანის მომხრეთა მხრიდან. ისინი ბრძოლით იმუქრებოდნენ. მისი მომხრეები იყვნენ ძირითადად ვაჭრები და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რადგან ყურთლუ-არსლანი იყო მეჭურჭლედუხუცესი და მას ემორჩილებოდნენ ქალაქის ვაჭრები და სავაჭრო საქმეები. ყურთლუ-არსლანი გვარით უაზნო იყო მაგრამ სიმდიდრემ აამალა. თამარმა გაფიცულებთან ორი საპატიო მანდილოსანი გააგზავნა და შემოირიგა. ქვეყნის გამგებლობა კარვის ხელში გადადიოდა და მეფე იქ მონაწილეობას ვერ მიიღებდა. თუმცა კარავი საბოლოოდ არ განხორციელდა, როგორც ჩანს დარბაზმა იმძლავრა, რადგან ეს სიახლე მათთვისაც უცხო და მიუღებელი იყო. კარავს ქვეყანაში რესპუბლიკური წყობილების დამყარება სურდა. ყურთლი-არსლანის მიხედვით უნდა დამყარებულიყო პარლამენტური წყობილება. კარავს ექნებოდა საკანონმდებლო უფლებამოსილება, მეფეს კი აღმასრულებელი. კარავი ვერ

განხორციელდა, რადგან ანტიფეოდალურ ძალებს არ ჰყავდათ ისეთი მეთაური, როგორც უნდა ყოფილიყო ქალაქის მოსახლეობაში ბურჟუაზია. ანუ ამ პერიოდში ბურჟუაზიული საწყისები ჩანასახის ფორმითაც კი არ იყო საქართველოში.

## 8. დანაშაულის სუბიექტები. (10)

ქართული სამართლის მიხედვით, დანაშაულის სუბიექტის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო ქმედების ჩამდენის სათანადო ასაკი. ქართულ სამართალში ზუსტად არ ჩანს, თუ რა ასაკიდან დგებოდა სისკლის სამართლის პასუხისმგებლობა. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ იოანე მმარხველის მიერ დანაშაულის ჩადენაში 30 წლის ასაკიდან პასუხისმგებლობის დაწესება ქართულ სამართალს არ უნდა გაეზიარებინა. ექ. მთაწმინდელს კიდევ 30 წლის ასაკს მიღწეული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაუსჯელობის ნაცვლათ თარგმანში ჩაუწერია მსუბუქად დასჯა. დამნაშავის ასაკის შესახებ მეტი ცნობა ჩვენ არ გაგვაჩნია. ამ ხარვეზს ავსებს ვახტანგ მე-6 ის სამართლის წიგნი. ვახტანგის სამართლის წიგნის 187-ე მუხლში მოცემულია დამნაშავის 10 წლიდან პასუხისმგებლობის საკითხი. ამ მუხლის ანალიზით ირკვევა, რომ 10 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დაიშვება, მათი მოქმედება გათანაბრებულია შემთხვევასთან ანუ ფათერაკთან. დანაშაულის სუბიექტისთვის აუცილებელი იყო სათანადო ასაკი, და ეს ასაკი შეადგენდა 10 წელს, 10 წლიდან წესდებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

დანაშაულის სუბიექტის მეორე მოთხოვნა ანუ დამახასიათებელი ნიშანი იყო შერაცხადობა. ძველი კანონებიდან ჩანს, რომ შეურაცხადი პირი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა. შეურაცხადობა გამოიხატებოდა ტერმინით „უმეცრებაი გონებისა“, ანუ შეუგნებლობა. ე.ი. დანაშაულის ჩამდენის ისეთის მდგომარეობა, როცა მას არ ესმის თავისი მოქმედების საშიშროება და შედეგები. ასევე ფსიქიკური დაავადება, ანუ სულით ავადმყოფობა. ძველი ქართული სამართლის მიხედვით სუბიექტებად არ ჩაითვლებოდნენ პირები, რომელთაც

გონებრივი განუვითარებლობის ან სულით ავადმყოფობის გამო არ შეეძლოთ შეეფასებინათ თავიანთი ქმედება. როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის სუბიექტისთვის აუცილებელი მოთხოვნა იყო შერაცხადობა. ისმის აგრეთვე კითხვა, თუ როგორც წყვეტდა სამართალი სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის საკითხს. მთვრალი არა მარტო ითვლებოდა სუბიექტად, არამედ ისინი უფრო მკაცრად ისჯებოდნენ. სამართალი ამას შემდეგნაირად ხსნიდა: თუ დამნაშავემ იცის, რომ სიმთვრალეში აჩქარებულია, რატომ სვამს იმდენს, რომ დანაშაულამდე მივიდეს? საინტერესოა ასევე იურიდიული პირების საკითხიც. ჩვეულებრივ, შუა საუკუნეების კანონმდებლობა სამართლის სუბიექტებად მიიჩნევდა როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს, გაერთიანებებს, ქალაქებს, თემებს. ვახტანგის სამართლის წიგნში შემონახულია სისხლის სამართლის კოლექტიური პასუხისმგებლობის მაჩვენებელი მაგალითები. ასეთებია ოჯახის წევრთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ოჯახის უფროსის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის. ვახტანგის სამართლის წიგნში ვხვდებით აგრეთვე დამნაშავის გადასახდელი თანხის ოჯახისთვის დაკისრების მაგალითსაც. დამნაშავე სისხლის ფასის გადაუხდელობის შემთხვევაში ცოლ-შვილით უნდა გადაეცეს მეორე მხარეს. ამ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტად გამოდის როგორც დამნაშავე, ისე მისი ოჯახი, რადგან ოჯახიც მიეცემა ვალში. ქურდს რაც შეეხება, მან უნდა გადაუხადოს დაზარალებულს შვიდმაგი ღირებულება ნაქურდალის. შესაძლებელი იყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტად დამნაშავის ნათესავები და ასევე მთელი სოფელი გამოსულიყო, თუ მკვლელი დაიმალებოდა.

## 9. გიორგი მე-5 ძეგლისდება. (10)

გიორგი მე-5 დემეტრე თავდადებულის შვილი ენერგიული და გამჭრიახი მეფე იყო. მან სამართლიანად დაიმსახურა „ბრწყინვალის“ სახელი. მან შეძლო მონღოლების ყოვლისშემძლე ვეზირის-ჩოზანის დაახლოებული პირი გამხდარიყო. მან ალაგმა ოსთა თარეში, ბოლო

მოულომთავართა თვითნებობას. მან ჯერ დასავლეთი შემოიერთა, შემდეგ მესხეთიც საქართველოს დაუმორჩილა. ამის შემდეგ ყურადღება მთიულეთზე გადაიტანა. იქ ადგილობრივი ორგანოების წინააღმდეგ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი. ჩამოიყვანა იქიდან წარმომადგენლები თბილისში, მოიწვია დარბაზი და მთიულეთს შეუდგინა სამართლის წიგნი-„ძეგლის დადება“. ეს მიახლოებით 1334-35 წლებში უნდა მომხდარიყო. მასშასადამე, „ძეგლის დადება“ შედგენილია მთიულეთისათვის, საქართველოს ერთ-ერთი ჩამორჩენილი კუთხისათვის, რისი მიზეზიც მთიულეთში დაწყებული არეულობა ყოფილა. „ძეგლის დადება“ ძირითადად სისხლის სამართლის ნორმებისაგან შედგება. „ძეგლის დადება“ შესავალსა და 45 მუხლისაგან შედგება. მასში ჩამოთვლილია შემდეგი დანაშაულები.

- 1) მკვლელობა: ერისთავის, გამგებლის, ხევისბერის, ციხისთავის, დედამათა და ძმის.
  - 2) სამხედრო ვალდებულებისათვის თავის არიდება.
  - 3) ცოლის გაშვება და მოტაცება
  - 4) ციხის დაქცევა
  - 5) თავდასხმა
  - 6) უარზაგობა (უპატიობა)
  - 7) ასაბიას მოკვლა ან დაჭრა
  - 8) დაჭრა და ასოთ მიღება
  - 9) ამიერთ და იმიერთ ერთმანეთთან სამტროდ მიდგომა
  - 10) მეკობრეობა
  - 11) ვალი და პროცენტი
  - 12) გაყრა
  - 13) ბეითალმანი (უპატრონო) ქონება
  - 14) მოხუცი მამისა და შვილების (ეკონომიკური) ურთიერთობა.
- „ძეგლის დადება“ პატრიკულარული (ლოკალური) დანიშნულების ძეგლია. „ძეგლის დადებით“ შურისძიება შეზღუდულია, მაგრამ სავსებით აკრძალული არ არის. მაგ: ვისაც ცოლის მოსტაცეს ერთი წლის მანძილზე შეუძლია მომტაცებელს უპასუხოს დაწვით, მოტაცებით ან დარბევით. თუ ვინმემ მოპირდაპირე სამჯერ გამოიძახა სასამართლოში და მისგან გამოცხადებაზე უარყოფითი პასუხი

მიიღო, გამომწვევს შეუძლია დაესხას თავს მოპასუხეს. შურისძიება დაშვებულია, თუმცა შეზღუდულია დროითა და ხელისუფლებით. ე.ი. თავდამსხმელმა ჯერ ხევისბერს უნდა ეახლოს. სასჯელებში მოცემულია გაძევება და გაპარსვა. „ძეგლის დადების“ ძირითადი წყარო ადათობრივი სამართალია. ძეგლის მიხედვით კვალიფიციურ მკვლელად ითვლება მხოლოდ მშობლებისა და ძმის მკვლელობა და ასეთ პიროვნებას ყოველდგვარი სასჯელი ეკუთვნის. თანამონაწილეები ისჯებიან უბრალო მკვლელობისთვის რადგან მოკლული მათი სისხლით ნათესავი არ არის.

## **10. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება გრიგოლ მერჩულეს მიხედვით. (10)**

გიორგი მერჩულე მე-10 საუკუნის მოღვაწეა. თავისი ნაწარმოები „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ მას დაწერილი უნდა ჰქონდეს მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში. „მერჩულე“-საეკლესიო სამართლის სპეციალისტს, სჯულის მოძღვარს აღნიშნავს. ავტორი არათუ გადმოგვცემს რეალურ ვითარებას საეკლესიო და საერო ხელისუფალთა ურთიერთობის შესახებ, არამედ ამჟღავნებს კიდევ სიმპათიას მის მიერ აღწერილი მოვლენებისადმი. ნაწარმოების მიხედვით სახელმწიფოში წამყვანი უნდა იყოს ეკლესია, რომლის საქმეებშიც საერო ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს. ეკლესიის მსახურნი კიდევ უფლებამოსილი არიან საერო საქმეებში მიიღონ მონაწილეობა. საბა იშხნელის მაგალითი ყველაზე კარგად აღწერს იმ მიდგომას, რომ საერო ხელისუფლება ვერ ერეოდა და მას არც ემორჩილებოდა სასულიერო ფენა. ნაწარმოების მიხედვით ეკლესია-მონასტრების შინაგან მმართველობაში მტკიცედ განსაზღვრული იერარქიული დაქვემდებარება არსებობდა და ამ გარემოებას ავტორი საგანგებოდაც უსვამს ხაზს. იერარქიული დაქვემდებარების და მორჩილების მაგალითს წარმოუადგენს გრიგოლ ხანძთელისა და ეპიფანეს ურთიერთობა. მოკლედ, ეკლესია და მისი მსახურები საერო ხელისუფლებას არ ექვემდებარებიან, თუმცა ეკლესიის შიგნით ბრმა მორჩილება უფროსის მიმართ აუცილებელია. გრიგოლის აზრით მეფე

უნდა იყოს ეკლესიისა და ქრისტიანობის დამცველი, სამხედრო საქმის მცოდნე, კარგი მეომარი. ეკლესიის მსახურთ კი ევალებათ ძლიერ და ქრისტიანობისთვის მებრძოლ მეფეს გვერდში ამოუდგნენ. ნაწარმოებში ისეთი იდეაა გატარებული, რომ საერო ხელისუფლება დიდ დახმარებას უწევდა ეკლასია-მონასტრებს. სანაცვლოდ ბერები მათთვის ლოცულობდნენ. გრიგილოს სიტყვებით მეფის ხელისუფლება ღვთისაგან არის გაჩენილი. ეკლესია მთელი თავისი არსებით მხარს უჭერს საერო ხელისუფლებას. უნდა ავლნიშნოთ, რომ საოჯახო და მემკვიდრეობის, საქორწინო საკითხებში ეკლესია გულმოდგინეთ ერეოდა. გიორგი მერჩულეს აზრით, საერო ხელისუფლება მარცხდება ეკლესიის წარმომადგენლებთან შეჯახების დროს. გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც თავად სასულიერო ფენა ერევა საერო ფენის ცხოვრებაში. მაგალითად, გრიგოლმა ამხილა ადარნასე, რომელმაც სიძვის დიაცი მოიყვანა სასახლეში და მტკიცე ჩარევით დააშორა მრუში მეფეს.

## **11. აღბუღას სამართლის წიგნი (ძეგლის შედგენის დრო და შედგენილობა) (10)**

აღბუღას სამართალი ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლია. ძეგლის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ეკუთვნის ერთ კანონმდებელს. ძეგლის დასაწყისი-შესავალი თვითონ აღბუღასია, პირველი 65 მუხლი ბექასი, 65-98 კვლავ აღბუღასი. 100-103 კიდევ ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის. 1672 წლის ხელნაწერიდან ჩანს რომ ეს წიგნი მხოლოდ 98 მუხლისაგან შედგებოდა. სულ აღბუღას სამართლის წიგნი 175 მუხლისაგან შედგება. ბექასდროინდელი მუხლები მას გადაუკეთებია, რაზეც მეტყველებს მისივე სიტყვები. ის ამბობს რომ ბექასდროინდელი ფულის ერთეული შეუცვლია ყაზანური გიორგაულით. აღბუღამ ასევე შეცვალა ბექასდროინდელი შესავალი და საკუთარი დაურთო სამართლის წიგნს. ბექას სამართლის წიგნი მიახლოებით შექმნილია

1285-1305 წლებში. ხოლო მისი შვილიშვილი ალბულასი-1381-1386 წლებში. ეს სამართალი მხოლოდ სამცხე-საათაბაგოსთვის არის შედგენილი, შესაბამისად ადგილობრივი (ლოკალური) დანიშნულებისაა. ამ ძეგლის მიხედვით უმაღლესი ხელისუფალია არა მეფე, არამედ ათაბაგი. ხოლო ეკლესიის უმაღლესი თანამდებობაა მაწყვერელი. აქ გვხვდება როგორც სისხლის სამართლის ნორმები, ასევე სამოქალაქო სამართლის საკითხებს (ნასყიდობა, გირავნობა, სესხი). წიგნი ეხება აგრეთვე სამოსამართლო სამართლის საკითხებსაც.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი, როგორც ვთქვით, ალბულას სამართლის წიგნში 98 მუხის შემდეგაა მოთავსებული. როგორც მოყვანილია 98 მუხლის შემდეგ, მეფეთ-მეფე ბაგრატ კურაპალატი იწვევს ეპისკოპოსებს, დიდებულებს, აზნაურებს, „ჭკვიან კაცებს“ და ადგენს კანონებს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, შესავლის გარდა მე-100, 101, 102, 103-ე მუხლებიც ბაგრატის სამართლის წიგნიდან არის ალბულას კანონებში შეტანილი. ივ. ჯავახიშვილი სვამს კითხვას თუ რომელ ბაგრატზეა ამ ძეგლის საუბარი. ავტორი ასახელებს ყველა ბაგრატს რომლებიც საქართველოში მეფობდნენ: ბაგრატ აშოტის ძე, ბაგრატ II, ბაგრატ III, ბაგრატ მე-4 და ბაგრატ მე-5. ბაგრატ პირველი გრიგოლ ხანძთელში დასახელებულია როგორც ეკლესიათა მამულებელი და დასახელებულია „სამართლის განკითხვაც“. ეს შესაძლებელია სამართლის წიგნის შედგებას გულისხმობდეს. მაგრამ ბაგრად პირველის ვარიანტს გამორიცხავს ის ფაქტი, რომ მეფეთ-მეფე არ ყოფილა. ვერც ბაგრატ მეხუთე იქნება რადგან მას კურაპალატის წოდება არ ჰქონდა. ასევე კურაპალატის პატივი არ ჰქონდა ბაგრად მე-2 საც და ის რეგვენადაც მოიხსენიებოდა. შესაბამისად, დარჩნენ ბაგრად მესამე და მეოთხე. ჯავახიშვილის აზრით, ბაგრად მესამე წყაროებში განსაკუთრებული პატივითაა მოხსენიებული, რადგან ყოფილა ეკლესიათა აღმშენებელი, გლახაკთა დამხმარე. მისი მართმსაჯულებაც ძლიერ არის შექმნილი, ამიტომაც ჯავახიშვილი თვლის, რომ ხსენებული კანონების ავტორი ბაგრატ მესამეა. ბაგრატ მე-4-ეს სწორედ იმიტომ გამორიცხავდა ჯავახიშვილი, რომ მის დროს ქვეყანაში არეულობა სუფევდა. სხვა მეცნიერები კიდევ სწორედ ამ

საკითხს ეჭიდებიან და თვლიან რომ სწორედ არეულობა და აჯანყებები შეიზლება კანონის შედგენის მიზეზი იყოს. მეცნიერები ბაგრატ მე4-ეს ავტორად იმიტომ თვლიან, რომ მის დროს ქვეყანა დაუწყენარებელი იყო. გარდა ამისა მის დროს სამღვდლოება დიდი უფლებებით სარგებლობდა და ეს გარემოება ასახულია წიგნის მუხლებში. გიორგი ბრწყინვალე ძეგლის დადებაში აღნიშნავს, რომ მთიულეთში გამრავლდა დანაშაული და არეულობა. სწორედ ამან გამოიწვია სამართლის წიგნის შედგენა სიტუაციის მოსაგვარებლად. აღბურას სამართალშიც აღნიშნულია, რომ უწესო საქმეების გამრავლებამ უზიძგა ავტორს სამართლის წიგნის შედგენისაკენ. კათალიკოსთა სამართალიც მსგავს მიზეზს ასახელებს, რომ კაცის კვლამ და ტყვედ გაყიდვამ უზიძგა ეკლესიის მსახურებს შეკრებისა და საგანგებო კანონების მიღებისაკენ. შესაბამისად, ის საკითხი რომ ბაგრატ მე4-ეს დროს არეულობა იყო შეიძლება პირიქით დამამტკიცებელ საბუთადაც გამოვიყენოთ. მაგრამ, საბოლოოდ გადაწყვეტა საკითხისა თუ რომელ ბაგრატს ეკუთვნის კანონები შეუძლებელია.

## 12. საკუთრების უფლების წარმოშობის საშუალებები. (10)

სამოქალაქო სამართლის თეორია საკუთრების წარმოშობის თავდაპირველ და ნაწარმოებ გზებს იცნობს.

საკუთრების უფლების თავდაპირველი გზაა, როდესაც ნივთს ან ქონებას, ანუ საკუთრების ობიექტს არ ჰყოლია მესაკუთრე და საკუთრება წარმოიშვა პირველად. საკუთრების უფლების თავდაპირველ გზებს ეხება ვახტანგის სამართლის წიგნის 170-183 მუხლები. საკუთრების უფლების წარმოშობის პირველადი გზაა, მაგალითად, უპატრონო ნივთის დასაკუთრება, გარეული ცხოველებისა თუ ფრინველების ან ნანადირევის მისაკუთრება. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით საკუთრების წარმოშობის პირველადი გზაა ასევე სამხედრო ნადავლი.

საკუთრების უფლების წარმოშობის ნაწარმოები გზაა, როდესაც ნივთს ან ქონებას, ან საკუთრების უფლების ობიექტს ჰყავდა



მესაკუთრე და სხვადასხვა მიზეზით გამოვიდა ეს ქონება ან სიკეთე მისი საკუთრებიდან და გადავიდა ახალი მესაკუთრის ხელში. ასეთი გზებია: ბოძება (ჩუქება), ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, მზითევი, გირავნობა, შეწირულობა, მემკვიდრეობა, სასამართლო გადაწყვეტილება.

ჩუქების შესახებ ვახტანგის სამართლის წიგნში არაფერი არ არის მოცემული. სამაგიეროდ ჩუქების შესახებ ლაპარაკია ბექა-აღბუდას სამართლის წიგნში. მისი მიხედვით მჩუქებელს არ შეუძლია ნაჩუქარს უკან დაბრუნება, ნაჩუქარის უკან დაბრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი როდესაც ისპობა ჩუქების მიზეზი. ეს მიზეზებია: მოყვრობის მოშლა, რის მიხედვითაც მჩუქებელს ნაჩუქარი მთლიანად, „დაუკლებლად“ უბრუნდება.

საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა იყო ყიდვა-გაყიდვა. ეს საკუთრების უფლება ძალიან მტკიცე იყო. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით „ნასყიდობის“ მოშლა მხოლოდ მეფის პრეროგატივა იყო. მიუხადავად ასეთი უფლებისა მეფე მაინც თავს იკავებდა ამ უფლების ჩამორთმევისგან. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით ქონება წერილობით უნდა იყოს შედგენილი, რათა სხვისი მამული არ იყოს გაყიდული „შეტყუებით“ და საზღვარი არ იქნეს დარღვეული.

საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთი გზა იყო მზითევი. გაყრის შემთხვევაში მზითევი ცოლსა და მის ნათესავებს რჩებოდა.

საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთი საშუალება იყო გაცვლა. მიწის გაცვლისთვის წერილობით საბუთს (ხელშეკრულებას) ადგენდნენ.

ქართული სამართლის ძეგლების ანალიზით ირკვევა, რომ არსებობდა საკუთრების უფლების წარმოშობის სხვა საშუალებებიც. მათ შორის:

ა) მემკვიდრეობით მიღებული საკუთრება. ამის აღმნიშვნელი ტერმინი იყო „მკვიდრობაი“. ის წარმოიშვა მიწაზე, მამულზე დამკვიდრებისგან. დამკვიდრება ხდებოდა ან კანონით ან ანდერძით.

ბ) განჩემებით ანუ საერთო საკუთრებაში (მემკვიდრეობაში) თავისი, საკუთარი წილის გამოყოფით მიღებული ქონება.

გ) განთავისებით ანუ განცალკევებით, სხვისთვის გადაცემით მიღებული ქონება.

დ) შოვნით ანუ „ნაშოები“ ქონება. ამ გზით შეიძლებოდა როგორც

მამულის ასევე ნივთის დაუფლება. შოვნა შეიძლებოდა ასევე ომით, ხანგრძლივი ფლობით და მიტოვებული ადგილების დაუფლებით.  
ე) ნაჭირნახულები ანუ უხმარის სახმარად გადაქცევა, გაკეთილშობილება, რაც საკუთრებად ხდებოდა.

### 13. ბაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი. (10)

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი, როგორც ვთქვით, აღბუღას სამართლის წიგნში 98 მუხის შემდეგაა მოთავსებული. როგორც მოყვანილია 98 მუხლის შემდეგ, მეფეთ-მეფე ბაგრატ კურაპალატი იწვევს ეპისკოპოსებს, დიდებულებს, აზნაურებს, „ჭკვიან კაცებს“ და ადგენს კანონებს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, შესავლის გარდა მე-100, 101, 102, 103-ე მუხლებიც ბაგრატის სამართლის წიგნიდან არის აღბუღას კანონებში შეტანილი. ივ. ჯავახიშვილი სვამს კითხვას თუ რომელ ბაგრატზეა ამ ძეგლსი საუბარი. ავტორი ასახელებს ყველა ბაგრატს რომლებიც საქართველოში მეფობდნენ: ბაგრატ აშოტის ძე, ბაგრატ II, ბაგრატ III, ბაგრატ მე-4 და ბაგრატ მე-5. ბაგრატ პირველი გრიგოლ ხანძთელში დასახელებულია როგორც ეკლესიათა მამულებელი და დასახელებულია „სამართლის განკითხვაც“. ეს შესაძლებელია სამართლის წიგნის შედგებას გულისხმობდეს. მაგრამ ბაგრად პირველის ვარიანტს გამორიცხავს ის ფაქტი, რომ მეფეთ-მეფე არ ყოფილა. ვერც ბაგრატ მეხუთე იქნება რადგან მას კურაპალატის წოდება არ ჰქონდა. ასევე კურაპალატის პატივი არ ჰქონდა ბაგრად მე-2 საც და ის რეგვენადაც მოიხსენიებოდა. შესაბამისად, დარჩენ ბაგრად მესამე და მეოთხე. ჯავახიშვილის აზრით, ბაგრად მესამე წყაროებში განსაკუთრებული პატივითაა მოხსენიებული, რადგან ყოფილა ეკლესიათა აღმშენებელი, გლახაკთა დამხმარე. მისი მართმსაჯულებაც ძლიერ არის შექცეული, ამიტომაც ჯავახიშვილი თვლის, რომ ხსენებული კანონების ავტორი ბაგრატ მესამეა. ბაგრატ მე-4-ეს სწორედ იმიტომ გამორიცხავდა ჯავახიშვილი, რომ მის დროს ქვეყანაში არეულობა სუფევდა. სხვა მეცნიერები კიდევ სწორედ ამ საკითხს ეჭიდებიან და თვლიან რომ სწორედ არეულობა და

აჯანყებები შეიზლება კანონის შედგენის მიზეზი იყოს. მეცნიერები ბაგრატ მე4-ეს ავტორად იმიტომ თვლიან, რომ მის დროს ქვეყანა დაუწყნარებელი იყო. გარდა ამისა მის დროს სამღვდელთა დიდი უფლებებით სარგებლობდა და ეს გარემოება ასახულია წიგნის მუხლებში. გიორგი ბრწყინვალე ძეგლის დადებაში აღნიშნავს, რომ მთიულეთში გამრავლდა დანაშაული და არეულობა. სწორედ ამან გამოიწვია სამართლის წიგნის შედგენა სიტუაციის მოსაგვარებლად. აღბურას სამართალშიც აღნიშნულია, რომ უწყისო საქმეების გამრავლებამ უბიძგა ავტორს სამართლის წიგნის შედგენისაკენ. კათალიკოსთა სამართალიც მსგავს მიზეზს ასახელებს, რომ კაცის კვლამ და ტყვედ გაყიდვამ უბიძგა ეკლესიის მსახურებს შეკრებისა და საგანგებო კანონების მიღებისაკენ. შესაბამისად, ის საკითხი რომ ბაგრატ მე4-ეს დროს არეულობა იყო შეიძლება პირიქით დამამტკიცებელ საბუთადაც გამოვიყენოთ. მაგრამ, საბოლოოდ გადაწყვეტა საკითხისა თუ რომელ ბაგრატს ეკუთვნის კანონები შეუძლებელია.

#### 14. ქორწინების ძირითადი პირობები. (10)

საქართველოში ქორწინების არსი და დანიშნულება ქრისტიანული მოძღვრებით იყო განსაზღვრული. ქორწინება იყო ქალისა და მამაკაცის კავშირი შთამომავლობისა და ოჯახის ერთად შექმნის მიზნით. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ქორწინებას ეწოდებოდა „მამამძუძეობა“. ამ დროს ვაჟი შედის ცოლის გვარის შიგნით შვილების გაჩენის მიზნით. ასეთი ბავშვი ცოლის ოჯახში იზრდება. ძველი ქართული საოჯახო სამართლის პრინციპები უნდა გვახსოვდეს, რომ სრულ თანაფარდობაში იყო შუასაუკუნებრივ მართმადიდებლურ თუ, საერთოდ, ქრისტიანული ქვეყნების საოჯახო სამართლის პრინციპებთან. ასეთი პრინციპები იყო:

- 1) ქორწინებისა და ოჯახის წოდებრივ პრინციპებზე აგება, ამ პრინციპის დაცვა გარანტირებული იყო სხვადასხვა საშუალებებით.
- 2) ოჯახში მამაკაცის გაბატონებული მდგომარეობა ცოლზე როგორც ქონებრივად, ისე პირადი არაქონებრივი ურთიერთობების დროს.

3) მამის გაბატონებული მდგომარეობა შვილებზე, როგორც ქონებრივ, ისე პირად არაქონებრივ ურთიერთობებში.

ქორწინება საოჯახო სამართლის კარდინალური ინსტიტუტია. ამ ინსტიტუტში ჩანს საზოგადოების განვითარების გზა. ქორწინება გარკვეულ საფეხურებს გაივლის ივ.ჯავახიშვილის მითითებით. ქორწინების უძველესი წესი იყო ქალის მოტაცებით ქორწინება. ქორწინების ერთგვარი ფორმა სხვადასხვა ხალხებში საცოლისათვის გამოსასყიდის გადახდა იყო. ამ ფორმას ცოლის ყიდვა ეწოდებოდა. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ უკვე ცივილიზებული პრინციპები მტკიცდებოდა როგორცაა ნებაყოფლობითი გათხოვება. ნებაყოფლობით ქორწინებაში გადამწყვეტი სიტყვა თავიდან მშობლებს ეთქმოდათ და არა მექორწინებს. საჭირო იყო ეკლესიის თანხმობაც. ქორწინების წინაპირობად უნდა დავასახელოთ ნიშნობა, მაგრამ თვით ნიშნობასაც წინ უძღვოდა ისეთი მოქმედებები, როგორცაა საცოლის შერჩევა ანუ „გაჩხრევა“, მაჭანკლობა, შუაკაცობა და სხვა სახის მოქმედებები. საცოლის მოძებნა-შერთვევინებაში მშობლები აქტიურობდნენ. არსებობდა მშვიდობიანი მოლაპარაკების ისეთი ფორმაც, როგორცაა აკვანში დანიშვნა. ნიშნობამდელი მოქმედებებით სხვადასხვა კუთხე ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ნიშნობისწინა მოქმედებათა შორის აღსანიშნავია საცოლის შერჩევა (მშობლების გაკითხვით ან ქალის დათვალიერებით დღესასწაულებზე), ყურადღება ექცეოდა საცოლის ვინაობას, მის მშობლებს, ოჯახის საქმიან მხარეს.

საცოლის დათვალიერების შემდეგ ვაჟის მშობლები ქალის ოჯახში აგზავნიდნენ შუაკაცს (უსასყიდლო თავიდან). ის ატყობინებდა მათ საქმრო ოჯახის სურვილს. საცოლის ოჯახი ვაჟისა და მისი ოჯახის შესახებ იწყებდა ცნობების შეგროვებას. ნიშნობისა და ქორწინების საკითხს მშობლები წყვეტდნენ შვილების დაუკითხავად. მოგვიანებით მონაწილეობას უკვე საქმროც იღებდა ქალის გასინჯვაში. ნიშნობის წინარე მოქმედება ანუ საცოლის შერჩევა არ მოიაზრებოდა როგორც სამართლებრივი ქმედება.

საცოლის შერჩევისა და მხარეთა თანხმობის მიღწევის შემდეგი ეტაპი არის ნიშნობა (დაწინდვა). საეკლესიო სამართლიდან ირკვევა, რომ ნიშნობისათვის აუცილებელი არ იყო საეკლესიო წესით

კურთხევა. ნიშნობა მრავალ ქვეყანაში საკანონმდებლო წესით იყო მოწესრიგებული. საქართველოში კიდევ რეგულირდებოდა როგორც საერო ასევე ადათობრივი სამართლით. ნიშნობის მომწესრიგებელი ნორმებიდან ძველ ქართულ სამართალში აღსანიშნავია:

1) ვახტანგის სამართალი 2) ბერძნული სამართლის ბერძნული ვერსია 3) ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებული 4) დ. ბატონიშვილის სამართალი 5) სომხური სამართლის ქართული ვერსია. ზოგიერთი მასალის გამოკვლევით ირკვევა რომ ნიშნობა საქართველოში ხელშეკრულების სახეს ატარებდა, რომლის მოშლა გარკვეულ პასუხისმგებლობას იწვევდა.

მნიშვნელოვანია ქორწინების ასაკის განსაზღვრაც. ირკვევა, რომ მცირეწლოვანთა დანიშვნას ადგილი ჰქონია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. არსებობდა აკვანში დანიშვნაც. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით, დაწესდა საქორწინო ასაკი ქალებისთვის 12 წელი, კაცებისთვის 15-16 წელი. მთაში ეს ასაკი უფრო მაღალი იყო რთული გარემო პირობებისგან გამომდინარე.

ნიშნობა სპეციალური რიტუალით სრულდებოდა და აქედან ჩანს თუ რა უფლება-მოვალეობებს კისრულობდნენ დაქორწინებული მხარეები. ნიშნობას ჰქონდა თავისი ნიშანიც: ბეჭედი, საყურე, ოქროს სამაჯური და სხვ. ნიშნობა სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის მატარებელი მოვლენა იყო.

ქართულ სამართალში არსებობდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები. ივ. ჯავახიშვილის მითითებით ნათესაობა, როგორც ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება აღიარებულ იქნა ბასილ კესარიელის კანონებით. ქრისტიანულმა რელიგიამ აკრძალა: მამის ან დედის ძმისწულის/დისწულის შერთვა, არ შეიძლებოდა ორი ძმის დებზე ქორწინება. სისხლით ნათესავთა შორის ქორწინება კანონით იკრძალებოდა. შვილად აყვანილთან ქორწინება და სხვა. ქართული სამართალი არეგულირებდა „კიდე-კიდე“ ქორწინებასაც მაგრამ რუის-ურბნისის კრებამ წარმომადგენლობითი ქორწინება დაგმო.

ქართული სამართლის მიხედვით ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ:

1) აბსოლუტური დამაბრკოლებელი, გამომრიცხავი (სქესობრივი მოუძმწიფებლობა, სისხლით ნათესაობა, ქორწინებაში ყოფნა, სულით

ავადმყოფობა)

2) ხელისშემშლელი გარემოებები. (რელიგიისადმი დამოკიდებულება, წოდებრიობა, ტერიტორიული პრინციპი, სოციალური უთანასწორობა.)

## 15. ხელმწიფის კარის გარიგება. (10)

ხელმწიფის კარის გარიგება მეთოთხმეტე საუკუნის ძეგლია და ჩვენამდე მოაღწია ამ ძეგლის მეთვრამეტე საუკუნის ხელნაწერმა, რომელიც დალუპვას გადაარჩინა და გამოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა. მასში დახასიათებულია გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობა. მის მიხედვით არსებობს დარბაზი და სავაზირო, როგორც მეფის სათათბირო ორგანოები.

ხელმწიფის კარის გარიგებაში წარმოდგენილია ფეოდალური მონარქია, რომლის სათავეში არის მეფე. ძეგლის მიხედვით მეფე უდგას სათავეში ყოველგვარ საეკლესიო და საერო საქმიანობას. მეფე იწვევს დარბაზს თავისი შეხედულებებით. მეფე განსაკუთრებული პატივით სარგებლობს. მეფის ხელისუფლება შეუზღუდავია.

დარბაზი-ეს არის ის ორგანო, რომლის საშუალებითაც მეფე და ფეოდალები სამეფოს განაგებდნენ. იგი ზღუდავდა და გასაქანს არ აძლევდა მეფეს. დარბაზში შედიოდნენ მსხვილი მოხელეები: ვაზირები, ერისთავები, ეპისკოპოსები. მასში შედიოდნენ

"უხელონიც", ანუ ისეთი პირები, რომელთაც არ გააჩნდათ თანამდებობა. ასეთები კი მსხვილი ფეოდალები შეიძლება, რომ ყოფილიყვნენ. დარბაზს იწვევდნენ დროდადრო, საგანგებო შემთხვევის ან დღესასწაულებთან დაკავშირებით. დარბაზის მოწვევის ორი წესი არსებობდა: დიდი და პატარა. პატარა დარბაზის მოწვევა ხდებოდა სასწრაფო საკითხების მოსაგვარებლად.

საკითხავია, თუ როგორი იყო გაერთიანებული საქართველო ფორმის მხრივ? აქ უნდა განვასხვავოთ ფაქტიური და ფორმალური მდგომარეობები. ფორმალურად მეფე შეუზღუდავი იყო, ხოლო ფაქტიურად ის მუდმივ ბრძოლაში იმყოფებოდა მსხვილ ფეოდალებთან, რომლებიც მას გასაქანს არ აძლევდნენ.

ხელწიფის კარის გარიგების მიხედვით, სავაზირო მთავრობის მსგავსი დაწესებულება იყო. მასში შედიოდნენ ვაზირები. სხდომა მტკიცედ იყო რეგლამენტირებული. მეფე იყო სხდომის თამჯდომარე, როცა ესწრებოდა სხდომას, თუ არადა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. სავაზირო, დარბაზისგან განსხვავებით, ხელს უწყობდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას. სხდომის დაწყებისას "ჯალაბი" (სასახლეში მცხოვრებლები) გაიყრებოდა და სხდომა იწყებოდა. ვაზირებისთვის განსაზღვრული იყო ადგილები შემდეგნაირად: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ათაბაგი და ამირსპასალარი, შემდეგ კი-მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. სავაზიროს სათათბირო ხმით ესწრებოდნენ: ამილახორი და ამირეჯიბი. საწოლის მწიგნობარი მწიგნობართუხუცესის მოადგილედ ითვლებოდა და მის ვაზირობის დროს მის მხარეს იდგა. სავაზიროს დადგენილების დაწერა მწიგნობარს ევალებოდა. მეაბჯრეთუხუცესი, გამგეთუხუცესი, საჭურჭლისნაცვავალი, მესტუმრე, ზარდახნის მწიგნობარი და სხვა მოხელეები გარეთ იცდიდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში სავაზიროსს განკარგულება სასწარაფოდ შეესრულებინათ. აღსანიშნავია, რომ ხელმწიფის კარის გარიგება ძვირფას ცნობებს გვაწვდის მოძღვართ-მოძღვრის შესახებ. ის იყო სწავლული ბერი, რომელსაც თავისი სკოლაც ჰქონდა და იყო მოძღვართა მასწავლებელი. ის უდიდესი პატივით სარგებლობდა და მეფის მერე პირველ პირად ითვლებოდა. მას მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელზე დიდ პატივს სცემდნენ. მეცნიერები მას გელათის აკადემიის რექტორად თვლიან.

## **16. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები მონღოლთა შემოსევამდე. (10)**

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის ქართულ სამართალში ცნობილია მეკობრეობა, ავაზაკობა, პარვა, რბევა, ძარცვა. მეკობრეობის და ავაზაკობის მიზანს შეადგენდა სხვისი ქონების დაუფლება, მოხვეჭა ძალის გამოყენებით. ხშირად ამას თან ახლდა

უდანაშაულო ადამიანების წამება და კვლა. პარვა- სხვისი ქონების ფარულად მითვისება იყო, დღევანდელი ქურდობის ანალოგია. თუ მპარავი აშკარად მოქმედებდა და ძალით იტაცებდა სხვის ქონებას, ასეთ ქმედებას რბევა (მიმძლავრება) ეწოდებოდა. ქარავანზე თავდასხმისა და მისი ქონების მითვისების შემთხვევაში გამოიყენებოდა ტერმინი ძარცვა. ქართული სამართალი მკაცრად ებრძოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. ქართული სამართალი პარვისთვის აწესებდა მოპარულის პატრონისთვის დაბრუნებას და ნაქურდალის 7-მაგ ღირებულებას. თუ ქურდობა მეორედ იყო ჩადენილი მაშინ ასოთმოდება და თვალების დათხრაც გამოიყენებოდა. საპატიჟო ადგილას (სალარო, ჯოგი) ჩადენილი დანაშაულის დროსაც თვალებს თხრიდნენ დამნაშავეს. მეკობრეობით და ავაზაკობით ჩადენილი მკვლელობისთვის თამარის დროს სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა.

## **17. დასტურლამალის შედგენის დრო და შედგენილობა და მისი შედარება ხელმწიფის კარის გარიგებასთან. (10)**

დასტურლამალი შედგენილია ვახტანგ ბატონიშვილის მიერ, როცა ის ქართლს განაგებდა გიორგი მე-11-ის ნაცვლად. გიორგი კიდევ სპარსეთში იყო. ნახსენებია აგრეთვე სოფლები რომლებიც მეფეს ეკუთვნოდა და ყველაფერ აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ ეს ძველი შედგენილი უნდა იყოს 1707-1709 წლებში.

დასტურლამალი ერთგვარი კრებულია, რომელიც შედგენილია სხვადასხვა დროის საკანონმდებლო აქტებისაგან. მასში შესულია გიორგი მე-11-ის მიერ შედგენილი „დასტურლამალი“. ამასთანავე ძველში ვხვდებით ლევან მეფის მიერ შედგენილ მდივანბეგობის გარიგებასა და ბოქაულთუხუცესის სარგოს. შეტანილია აგრეთვე მურდრის განაწესი, სადედოფლო, ყაიყულის შესახებ გარიგება და ყარაის კონის განაწესი.

„დასტურლამალი“ ყველაზე მეტად ემსგავსება „ხელმწიფის კარის



გარიგებას.“ მათი მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე ძეგლი სახელმწიფო სამართალს განეკუთვნება და სასახლის განაწესს წარმოადგენს. ორივე ძეგლში მოცემულია მეფის ხელისუფლება და მოხელეების დახასიათება, ორივეში საუბარია დარბაზობის, აუდიენციის, პურობის და სასახლის წეს-ჩვეულებების შესახებ. დარბაზობა ორივე მათგანში დიდი და მცირე წესით იმართებოდა და ორივეში მოხსენიებულია ერისთავი, როგორც მსხვილი ფეოდალი, რომელსაც ადგილზე მოხელის ფუნქციაც ჰქონდა. თუმცა მათ შორის განსხვავებებიც არის. „ხელმწიფის კარის გარიგება“ იურიდიული შინაარსის ტრაქტატია, „დასტურლამალი“ კი საკანონმდებლო აქტია. ეს 2 ძეგლი აღწერს სხვადასხვა პერიოდის საქართველოს, ერთი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოს, მეორე კი-ირანის ვასალურ ჩაგვრაში მყოფ ქართლის სახელმწიფოებრივ წყობილებას. ხელმწიფის კარის გარიგების ერთდერთი ხელნაწრი ნაკლული და შეცდომებით სავსეა, დასტურლამალის კი-სრულია და მდიდარია მასალის მიხედვით. რაც მთავარია, ორივე ძეგლის ავტორი, რა თქმა უნდა, მეფის ხელისუფლების გაძლიერებისა და განმტკიცების მომხრეა.

## **18. სასამართლო მტკიცებულებები ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით. (10)**

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში ჩამოყალიბებულია დამამტკიცებელ საბუთთა სისტემა ექვსი მტკიცებულებისგან შემდგარი: ფიცი, შანთი, მდულარე, ხმალი, მოწმე, ცოდვის მოკიდება. ვახტანგის სამართლის წიგნი ფიცს პირველხარისხოვან მტკიცებულებად აღიარებს, თუმცა მოუწოდებს მოსამართლეებს მოერიოდონ ფიცით საქმეების გადაწყვეტას. ფიცი ძირითადად ეკისრებოდა მოპასუხეს, ბრალდებულს, ქონებაზე დავისას, კი იმ მხარეს, ვინც ფაქტობრივად ფლობდა სადავო ქონებას. “ფიცის დადება“ ხორციელდებოდა განსაზღვრული რიტუალით. ფიცის ფორმულის შინაარსი საქმის არსიდან გამომდინარეობდა. უმეტესად ფიცის დროს იფიცებოდნენ ოჯახის წევრებს, მშობლებს,

ჩამომავლობას. ხალხის რწმენით, ტყუილად დამფიცებელს და მის ახლობლებს ღვთის საშინელი რისხვა დაატყდებოდა თავს. ორდალები ქართული სამართალწარმოებისთვის ცნობილია მეჩვიდმეტე–მეთვრამეტე საუკუნების ისტორიული თუ სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების მიხედვით. მათში ძირითადად სახმი სახის ორდალი ჩანს: მდულარე, შანთი და სასამართლო ორთაბრძოლა. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, შანთი და მდულარე ერთი და იგივეა. მდულარეს რიტუალი: საჯარო ადგილზე ქვაბში აადულებენ წყალს, შიგ რკინის ან სპილენძის ჯვარს ჩაჰკიდებენ ძაფით. წყლის ადულებისთანავე ქვაბს გადმოსდგამენ და ბრალდებულმა ხელი უნდა ჩაყოს და ამოიღოს ჯვარი. შემდეგ უმაღ პარკში ჩაუდებენ ხელს და დაუბეჭდავენ. მესამე დღეს გაუხსნიან და თუ არ ექნება დამწვარი ხელი, ესე იგი გაამართლებენ. იგივე სამართლებრივი შედეგი ჰქონდა შანთს.

რაც შეეხება ხმალში გატანებას (სასამართლო ორთაბრძოლა). მეფის ღალატისას, სალაროს გატეხვისას გამოიყენებოდა. სასამართლო დუელში მონაწილეობას იღებდნენ ბრალდებული და მბრალდებელი. ისინი მოედნის თავსა და ბოლოში უნდა დამდგარიყვნენ შეიარაღებულები. ცხენებით უნდა გამოქანებულიყვნენ და შუბით ერთს მეორე ჩამოეგდო ცხენიდან. არ შეიძლებოდა მოწინააღმდეგის მოკვლა.

მოწმის ჩვენებას დიდი პროცესუალური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვახტანგი არაერთხელ იხსენიებს მოწმის ჩვენების მნიშვნელობას. მოსამართლე მოწმის მნეშვეობით უნდა ეცადოს სასამართლის დადგენას. ვახტანგს ესმის, რომ მოწმის ჩვენება უფრო ობიექტურდ წყვეტს საქმეს, ვიდრე რომელიმე დაპირისპირებული მხარის. კანონმდებელი მეფე წერს, რომ მოწმე უნდა იყოს ღვთისმოშიში, ჭკვიანი, სანდო, მართალი კაცი.

ცოდვის მოკიდებისას ბრალდებულს ზურგზე უნდა მოეკიდებინა მბრალდებელი და წრეზე უნდა შემოევლო მოედნისათვის და წარმოეთქვა შემდეგი სიტყვები: „მე თუ დამნაშავე ვიყო იმაში, რაშიც შენ ბრალს დებ მეორედ მოსვლის ჟამს შენი ცოდვაც მე მომეკითხოსო.“

**19. ვახტანგ მე-6 სამართლის წიგნის იურისდიქცია და სავალდებულო ძალის საკითხი. (10)**

ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნი ძირითადად კომპოზიციის სისტემაზეა აგებული და მასში ნაკლებადაა მოცემული სასჯელის სახეები. მისი მოქმედება ქართლში ვრცელდებოდა და მას მოქმედების პირობითი მნიშვნელობა ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის ზოგიერთი ნაწილი ჩამორჩენილობის დაღს ატარებს, მაგალითად, ორდალების შესახებ ცნობები. ვახტანგის სამართალი კატეგორიულად კრძალავს თვითგასწორებას, გადასახადების თვითნებურად შემოღებას. წიგნში ასახულია სამოქალაქო სამართლის მაღალი დონე. მნიშვნელოვანია საკუთრების უფლების დიფერენცირება. მასში ვლინდება საკუთრების მრავალი სახე: მამული, დედული, ნასყიდი, ნამზითევი. ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ხელშეკრულების დადებას და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი, ანუ ვახტანგ მეფე, ნებას რთავს ხალხს ცვლილება შეიტანოს სამართლის კრებულში და გამოიყენოს კრებულის ის ნაწილი, რომელიც ხელსაყრელი იქნება მისთვის, იგი უპირატესობას ანიჭებს საკუთარ სამართლის წიგნს. ამას, რა თქმა უნდა, თავისი ახსნა აქვს, კერძოდ, კრებულში შესული აღბუღას, გიორგი მე-5-ს და კათალიკოსთა სამართლის წიგნები უფრო გვიანდელია და ახალი დროისთვის აღარ არის შესაფერისი. უცხოური სამართლის წიგნები კი შეუფერებელია ჩვენი წეს-ჩვეულებებისთვის, ისინი უფრო "უხმარ არს". ამიტომ, იგი ხალხს ურჩევს ჯერ მისი სამართლის წიგნით იხელმძღვანელოს და თუ საჭირო საკითხს ვერ იპოვის, შემდეგ მიმართოს კრებულის სხვა ნაწილებს (წიგნებს).

**20. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები მონღოლთა შემოსევამდე. (10)**

ივ.ჯავახიშვილის გამოკვლევით ქართული სამართალი იცნობს

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ორ დანაშაულს: 1) განდგომასა და ღალატს, 2) მეფის შეურაცხყოფას. განდგომას ადგილი ჰქონდა როდესაც ქვეყნის პოლიტიკური ერთობა ირღვეოდა და შინაური ბრძოლა იწყებოდა. ამ დანაშაულის აღსანიშნავად სხვა ტერმინებიც გამოიყენებოდა: აშლილობა, შფოთი, ღალატი, ორგულობა. განდგომა შეიძლება მომხდარიყო შინ შინაური ძალების მიერ ან გარე ძალების დახმარებით. განდგომასა და ღალატს ერთად განიხილავს ჯავახიშვილი, თუმცა მათ შორის არის სხვაობაც. განდგომა არის პირდაპირი, გულახდილი მოქმედება. ორგულობა ფარული, ხოლო ღალატი ვერაგული დანაშაული. განდგომა-ღალატს უმეტესად დიდგვაროვანი აზნაურები მიმართავდნენ. განდგომა-ღალატისათვის მძიმე სასჯელები გამოიყენებოდა. მათ შორის თვალების დათხრა და კასტრაცია.

მეფის შეურაცხყოფის მაგალითს თამარის ისტორიკოსი აღგვიწერს, როდესაც რუქნადინის წარმოდგენილმა ელჩმა თამარს უთხრა, ან ბატონის მეუღლე გახდი და რელიგია შეიცვალე, ან კიდევ მისი ხარჭაო. ასეთი ქმედებისთვის ენას კვეთდნენ, ხოლო შემდეგ სიკვდილით სჯიდნენ-თავის მოკვეთით. პროფ. აბაშმაძის მიხედვით ქართული სამართალი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებსაც იცნობს: 1) მეფის პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მიზანი მეფის მოკვლა), 2) შეთქმულება უცხოელი, დამარცხებული მოსახლეობის მხრიდან, 3) სახელმწიფო დანაშაული, მიმართული ქვეყანაში არსებული პოლიტიკური წყობლების შესაცვლელად.

## 21. მემკვიდრეობითი სამართლის ობიექტები. (10)

სწორია მოსაზრება რომლის მიხედვითაც მემკვიდრეობის ობიექტი იგივე საკუთრების ობიექტია. ისტორიულად მემკვიდრეობის უფლება ჯერ მოძრავ ხოლო შემდეგ უძრავ ქონებაზე გაჩნდა. მემკვიდრეობის ობიექტებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ უძრავი ქონება. ხოლო უძრავი ქონებიდან მამული. მამული მამისაგან

მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონებაა. ზოგიერთი მეცნიერი „მამულის“ ცნებაში მარტო მიწას არ გულისხმობს, არამედ საკუთრების სხვა ობიექტსაც, ყოველგვარ ქონებას, რომელიც მამისგან არის დატოვებული.

„მამულის“ ერთგვარ განშტოებას, სახეს წარმოადგენდა „საკარგავი“. საკარგავის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ საკარგავი არის პირობითი, დროებითი მიწისმფლობელობა სამსახურისათვის, რომლის ყიდვა ან გაყდვა არ შეიძლებოდა.

მემკვიდრეობის ობიექტს წარმოადგენდა „ნასყიდი“ ქონება. ისტორიულად საქართველოში ნასყიდობის თავისუფლება არსებობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე გამონაკლისს. აქ ბიზანტიის მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე, სადაც მამულის ყიდვა-გაყიდვა შეზღუდული იყო საჯარო საწყისების სასარგებლოდ.

მემკვიდრეობის ობიექტი იყო მონაგები. ჯავახიშვილის აზრით მონაგები იყო ის ქონება, რაც მოგებული იყო. სხვანაირად შრომა-გარჯით მოპოვებული ქონება იყო. მემკვიდრეობის დროს ეს მეტად არასადავო ქონება იყო.

იურიდიულ ლიტერატურაში დასახელებულია აგრეთვე მემკვიდრეობის ისეთი ობიექტი, როგორცაა „ნასისხლი“ ქონება ანუ „სისხლის ფასში“ მიღებული ქონება. ის შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მოძრავი ასევე უძრავი.

მემკვიდრეობის ობიექტად შეგვიძლია დავასახელოთ ასევე ნამზითვი ქონებაც.

## 22. სავაზიროს შემადგენლობა და ვაზირთა ძირითადი ფუნქციები. (10)

ხელწიფის კარის გარიგების მიხედვით, სავაზირო მთავრობის მსგავსი დაწესებულება იყო. მასში შედიოდნენ ვაზირები. სხდომა მტკიცედ იყო რეგლამენტირებული. მეფე იყო სხდომის თამჯდომარე, როცა ესწრებოდა სხდომას, თუ არადა მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი. სავაზირო, დარბაზისგან განსხვავებით, ხელს უწყობდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას. სხდომის დაწყებისას "ჯალაბი"

(სასახლეში მცხოვრებლები) გაიყრებოდა და სხდომა იწყებოდა. ვაზირებისთვის განსაზღვრული იყო ადგილები შემდეგნაირად: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდიდელი, ათაბაგი და ამირსპასალარი, შემდეგ კი-მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. სავაზიროს სათათბირო ხმით ესწრებოდნენ: ამილახორი და ამირეჯიბი. საწოლის მწიგნობარი მწიგნობართუხუცესის მოადგილედ ითვლებოდა და მის ვაზირობის დროს მის მხარეს იდგა. სავაზიროს დადგენილების დაწერა მწიგნობარს ევალებოდა. მეაბჯრეთუხუცესი, გამგეთუხუცესი, საჭურჭლისნაცვავალი, მესტუმრე, ზარდახნის მწიგნობარი და სხვა მოხელეები გარეთ იცდიდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში სავაზიროსს განკარგულება სასწარაფოდ შეესრულებინათ.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდიდელი პირველი ვაზირი იყო. სიტყვა სიტყვით იგი მწიგნობართა უფროსს ნიშნავს, მწიგნობარი კი - მდივანს, მწერალს. მწიგნობარი აგდენს საქმიან ქაღალდებს, ასრულებს სხვადასხვა დავალებებს. სამეფო კარზე სულ 26 მწიგნობარი იყო, მათგან კი გამოირჩეოდნენ საწოლისა და ზარდახნის მწიგნობრები. საწოლის მწიგნობარი ვაზირობის დროს მწიგნობართუხუცესის გვერდით იდგა საწერით ხელში და მის განკარგულებებს ასრულებდა. მწიგნობარი ასევე თან ახლდა მწიგნობართუხუცესს სააჯო კარში და ზარდახნის მწიგნობართან ერთად ეხმარებოდა საქმეების განხილვაში. მოგვიანებით, დავით აღმაშენებელმა მწიგნობარის სახელოს მიუერთა ჭყონდიდელის თანამდებობაც. ამ ღონისძიებით მეფემ ეკლესია დაუმორჩილა მეფის ხელისუფლებას. ამასთან, ჭყონდიდელი ანუ ჭყონდიდის ეპისკოპოსი, როგორც მონაზონი და ე.ი. უცოლშვილო იყო და არ აინტერესებდა ქონება. ეს გარემოება კი უფრო საიმედოს ხდიდა ჭყონდიდელის პიროვნებას. იგი მართლაც მეფის ხელისუფლების გაძლიერებას უწყობდა ხელს. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მეფის შემდეგ პირველი კაცი იყო, მას არ ებარა ერთი რომელიმე კონკრეტული სფერო, იგი ყველა დარგს უწყევდა ზედამხედველობას. იგი ესწრებოდა დარბაზობასაც 4 საპატიო მონაზონთან ერთად. დღევანდელი სიტყვით იგი პრემიერ-მინისტრი იყო, კანცლერი. ის, როგორც

სავაზიროს უფროსი, სამხედრო საქმეებსაც უწევდა ზედამხედველობას.

ათაბაგი-იხსენიება მწიგნობართუხუცესის შემდეგ და მას პატივი მიხედვით თანასწორი ადგილი უკავია ამირსპასალართან და მანდატურუხუცესთან. იგი ვაზირების პირველ სამეულში შედის. პირველი ათაბაგი საქართველოში ივანე მხარგრძელი იყო, როცა მისი ძმა ზაქარია გარდაიცვალა თამარმა ამირსპასალარობა ივანს უბოძა, მან კი ამის ნაცვლად ათაბაგობა მოითხოვა 1212 წელს. ათაბაგობა სელჯუკიანთა სამეფოში იყო გავრცელებული და იგი ტახტისმეურვედ ითვლებოდა. ათაბაგობა საქართველოში შემოდებულ იქნა მხსვილი ფეოდალების მეფის ხელისუფლებაზე გამარჯვების შემდეგ. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით მეფის მემკვიდრის აღზრდა მეფის შემდეგ პირველ პირს ანუ მწიგნობართუხუცესს ეკუთვნოდა, ათაბაგი იმთავითვე დაუპირისპირდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს და დაიწყო მათ შორის ბრძოლა პირველობისთვის. ათაბაგობა ხშირად შეთავსებული იყო ამირსპასალარის სახელოსთან.

ამირსპასალარი სამხედრო დარგის ხელმძღვანელი იყო სახელმწიფო მმართველობაში. ვაზირობის დროს პირველი სიტყვა ამირსპასალარს ეკუთვნოდა, თუ საკითხი სამხედრო საქმეს შეეხებოდა. ამირსპასალარი საპატიო ვეზირი იყო, მას ჰქონდა ქვეყნის გაცემის განსაკუთრებული უფლება. ეს ნიშნავდა მიწითა და გლეხებით ვინმეს დაჯილდოვებას მეფის მიერ. რატომ შეიძლებოდა რომ ეს უფლება ამირსპასალარს ჰქონოდა? სამხედრო შინაარსის სახელმწიფო გადასახადები-სალაშქრო, მიწისა და გლეხების მფლობელობასთან იყო დაკავშირებული. ამირსპასალარი საქმის კურსში უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მიერ მიწების წყალობის სახით გადაცემის შესახებ. ლაშქრობა თუ გამარჯვებით დამთავრდებოდა, ომში წარჩინებული მონაწილეები უნდა დაეჯილდოვებინათ და ეს საქმე ამირსპასალარის გარეშე არ უნდა მომხდარიყო. რადგან სწორედ მან იცოდა ომის მონაწილეთა საქმიანობა ყველაზე კარგად. ამირსპასალარი ქვეყანაში მსხვილი და პირველი ფეოდალთაგანი იყო.

პატივით ამირსპასალარი ვაზირთა პირველ სამეულს მიეკუთვნებოდა და იგი მეგლში ათაბაგის შემდეგ არის მოხსენებული. ამირსპასალარის მოადგილე იყო ამილახორი. იგი პატივით გათანაბრებული იყო მეჭურჭლეთუხუცესთან და მსახურთუხუცესთან. ის სავეზიროს სხდომას ესწრებოდა, მაგრამ მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდა. ჯარი რომელსაც ამირსპასალარი მეთაურობდა შედგებოდა ქვეითისა და ცხენოსნებისაგან. ამილახორის საქმიანობა ძირითადად ცხენოსანი ლაშქრისა და მასთან დაქვემდებარებულ საკითხებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამირსპასალარის სახელოში ამილახორის გარდა შედიოდნენ აგრეთვე მეაბჯრეთუხუცესი და ზარდახანისუხუცესი, მათდამი დაქვემდებარებული მოხელეებით. 6 ვაზირის გარდა კიდევ იყო სამი თანამდებობის პირი, რომლებიც სპასპეტებად იწოდებოდნენ: ჩუხჩარხი, მეჯინიბეთუხუცესი და ამილახორი. კორონაციისას ჩუხჩარხი მეფის უკან მიდიოდა, როგორც მისი დაცვის უფროსი.

სახელწოდება მანდატურთუხუცესი ორის ნაწილისაგან შედგება. სიტყვა-სიტყვით ის მანდატურების უფროსს ნიშნავს. მანდატურთუხუცესი ვაზირია და იგი ვაზირთა პირველ სამეულს ეკუთვნის. მანდატურები გამოდიოდნენ მეფის მცველების როლში. მაგ: სავაზიროს სხდომის დროს მანდატურები იმ შენობის გარშემო იდგნენ წესრიგის დასაცავად, სადაც სხდომა მიმდინარეობდა. სამოხელეო გასამრჯელოდან მანდატურსაც ეკუთვნოდა ნაწილი. ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით მანდატური ატარებდა არგანს. არგანი კიდევ ჯოხს ნიშნავს. არგანი როგორც ჩანს მანდატურის სამოხელეო ნიშანი იყო. მანდატურთუხუცესის სამოხელეო ნიშანი კიდევ ოქროს არგანი იყო. დღევანდელი შეხედულებით მანდატურთუხუცესი საპოლიციო უწყების ხელმძღვანელად მოჩანს. ეს უწყება შსს-ს უდრიდა. მანდატურთუხუცესი აგრეთვე ხელმძღვანელობს დარბაზობის განაწესის შესრულებას. მანდატურთუხუცესის ხელმძღვანელობით იწყებოდა დარბაზის მონაწილეთა მოწვევა. მანდატურთუხუცესი მეფის ვენახების სამუშაოების საქმეებსაც განაგებდა. მის მოადგილედ ამირეჯიბი ითვლებოდა. როგორც მეფესთან დაახლოებულ პირს



ამირეჯიბს ყოველთვის შეეძლო მეფესთან მისვლა. დარბაზობაში ამირეჯიბი მონაწილეობდა როგორც მანდატურთუხუცესის თანაშემწე. ამირეჯიბი იყო ერთ-ერთი იმ სამი მოხელეთაგანი რომელიც სავაზიროს სხდომას ესწრებოდა. მას სათათბირო ხმის უფლება ჰქონდა. ამირეჯიბს ეკუთვნოდა პირადი მხლებელი ადიუტანტი. მას ემორჩილებოდნენ ეჯიბი და სხვა მოხელეები. მანდატურთუხუცესს ემორჩილებოდნენ აგრეთვე გამგეთუხუცესი, მესტუმრე და სხვ.

მეჭურჭლეთუხუცესი-ეს სახელო ერთ-ერთი უძველესი უნდა იყოს. ცნობები მასზე მე-11 საუკუნეზე ადრინდელ წყაროებში არ ჩანს, თუმცა სავარაუდებელია, რომ ადრინდელ მეფეებსაც ეყოლებოდათ ფინანსთა მინისტრის მსგავსი მოხელე. მეჭურჭლეთა უფროსი იყო. საჭურჭლე სახელმწიპო ხაზინას ერქვა. საჭურჭლეში ინახებოდა ყოველდღიურად სახმარი და სახარჯავი ქონება, სალაროში კი-ისეთი სიმდიდრე, რაც ყოველდღიურად გამოსაყენებელი არ იყო. მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდა მხოლოდ საჭურჭლე. იგი შედიოდა ვაზირთა მეორეჯგუფში, რომელიც შედარებით ნაკლები პატივით სარგებლობდა მეჭურჭლეთუხუცესს, როგორც ვაზირს თავისი ბეჭედი ჰქონდა და ჰყავდა მოადგილეც- "მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი", ეს შეიძლება იგივე იყოს რაც "საჭურჭლის ნაცვალი". ამას გარდა მის სახელოში შედიოდნენ: მუშრიბი, საჭურჭლის მუქიფი და მეჭურჭლენი.

მსახურთუხუცესი-იყო მსახურთა უფროსი. იგი უძველესი თანამდებობა უნდა იყოს, ვინაიდან მსხვილი ფეოდალებს და მეფეს აუცილებლად ეყოლებოდათ მსახურები და მათი უფროსიც. მსახურთუხუცესი ვაზირი გახადა რუსუდანმა. იგი ძლიერ დაახლოებული პირი იყო მეფესთან. მის ხელთ იყო: სალარო და საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, მეხილეთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, ფარემთუხუცესი. სალარო დიდი დაწესებულება იყო, რომელშიც ძვირფასი, არაყოველდღიურად სახმარი ქონება ინახებოდა, მას მსახურთუხუცესზე დაქვემდებარებული პირი-მოლარეთუხუცესი განაგებდა. საწოლს-

მესაწოლეთუხუცესი გაანაგებდა. მესაწოლეთუხუცესის მოვალეობა იყო მეფის მომსახურება როცა იგი "უკაზმავი" იყო. მას ემსახურებოდა 700 მესაწოლე, რომლთაგან მხოლოდ 8 იყო გლეხი. მესაწოლეები მეფის მცველების იყვნენ, ამიტომ ისინი ერთგულნი, ძირითადად აზნაურთაგან უნდა ყოფილიყვნენ შერჩეულნი.

### 23. „ებრაული სამართალი“ და „ბერძნული სამართალი“ (10)

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილია ბერძნული სამართალი. დიდი ხანია მეცნიერების ყურადღებას იქცევს ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის წყაროს საკითხი. ვლ.სოკოლსკიმ დაწვრილებით განიხილა ყველა არსებული მოსაზრება, ღრმად შეისწავლა საკითხი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილი ბერძნული სამართალი წარმოადგენს მათე ვლასტარის სინტაგმის შემოკლებულ რედაქციას, რომელიც შიგადაშიგ შევსებულია არმენოპულოს სამართლის წიგნიდან და სხვა წყაროებიდან. ამასთანავე, ვლ.სოკოლსკის აზრით, ქართულის შესატყვისად, ბერძნულის ასეთივე რედაქცია უნდა არსებულიყო, რადგანაც მასალა ბერძნული ანბანის მიხედვითაა დალაგებული. მეცნიერმა თ.ბრეგაძემ მართლაც აღმოაჩინა ქართული ტექსტის შესატყვისი ბერძნული ხელნაწერი და ქართულ-ბერძნული ტექსტი სათანადო გამოკვლევით გამოსცა კიდეც. ბერძნულ ხელნაწერში, რომლიდანაც ქართული თარგმანია გაკეთებული, მრავალი ქართული მინაწერი გვხვდება, რაც იმის მაუწყებელია, რომ სწორედ ეს ხელნაწერი ჰქონდათ ხელთ ქართულად მთარგმნელებს. ბერძნული ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა 1670 წელს გალაცში. ხელნაწერი ვლახური ყოფილა. ვლახეთი კი იმ პერიოდში საქრისტიანო აღმოსავლეთის ცენტრად იქცა. ქართველები კარგად იცნობდნენ ვლახეთს და მასთან კულტურული კავშირიც ჰქონდათ დამყარებული. მათე ვლასტარი ცნობილი იყო როგორც ეკლესიის კანონიკური სამართლის დიდი მცოდნე, რომელმაც შეადგინა სინტაგმა. ხოლო კონსტანტინე არმენოპულო იყო გამოჩენილი იურისტი, ცხოვრობდა ბიზანტიაში. ვახტანგის სამართლის წიგნში

მოთავსებული ბერძნული სამართლის ქართული თარგმანის ბერძნული ხელნაწერი შედგენილია ვლახეთში და წარმოადგენს მათე ვლასტარის სინტაგმას კონსტანტინე არმენოპულოს „ექვსი წიგნიდან“ ჩამატებებით გავრცობილს.

ებრაული ანუ მოსეს სამართალი, რომელიც შეტანილია ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში, შეიცავს ბიბლიიდან ამოკრებილ მუხლებს, ეს არის დაბადების ინ ნაწილი, რომელსაც "მეორე სჯულის კანონი" ეწოდება. იგი ბიბლიის პირველი ხუთი წიგნის ერთერთი ნაწილი (მეხუთე წიგნია). მის შედგენას მოსეს მიაწერენ, სინამდვილეში კი იგი ებრაელთა მეფის იოსიას მიერ უნდა იყოს შედგენილი, როცა სახელმწიფო რეფორმები ჩატარდა. მასში მოცემულია რელიგიური კანონმდებლობა, რომელიც ქრისტიანულ ქვეყნებში მოქმედ სამართლის წიგნად ითვლებოდა; ებრაელთა ხეტიალი უდაბნოში; მოსეს სიკვდილი და მისი დასაფლავება.

#### **24. სახელმწიფოს ფორმის საკითხი ვეფხისტყაოსნის მიხედვით. (10)**

„ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმე სახელმწიფოს მმართველობაა წარმოდგენილი. ეს სახელმწიფოები თავიანთი წეს-წყობილებით მონარქიულია: სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე, რომელიც ერთპიროვნულად განაგებს სამეფოს. სამეფო კართან არის სავაზირო. მეფე მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისას ეთათბირება ვაზირებს, დიდ მოხელეებს და მათი დახმარებით მართავს სახელმწიფოს. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, მეფეს გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს, მაგრამ მას შეუძლია ყოველგვარი საკითხი გადაწყვიტოს ერთპიროვნულად. მაგალითად, ინდოეთის მეფე იწვევს თათბირს, რომელსაც ტარიელიც ესწრება, სადაც მას თათბირამდე აქვს გადაწყვეტილება მიღებული. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თათბირს დედოფალიც ესწრებოდა. საერთოდ, დედოფალი სავაზიროს სხდომაში არ მონაწილეობს. ნესტანი ტახტის მემკვიდრე იყო, შესაბამისად მისი გათხოვება უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენდა. ჩვენ ვიცით ფეოდალური

სახელმწიფო წყობილების რამდენიმე ფორმა, საინტერესოა თუ რომელს შეესაბამებოდა მაშინდელი საქართველო. საუბარი შეიძლება წოდებრივ-წარმომადგენლობით სახელმწიფოს ან აბსოლუტიზმის შესახებ. მაგრამ არცერთი აღნიშნული სახელმწიფო ფორმა მაშინდელ საქართველოში არ იყო. ამ პერიოდის საქართველოზე უნდა ითქვას შემდეგი, რომ აქ ძლიერი ფეოდალური მონარქიაა, რომელიც არც წოდებრივ-წარმომადგენლობითია და არც აბსოლუტური. ქართულ სახელმწიფოს აქვს განვითარების საკუთარი გზები, რომლებიც განსხვავდება ევროპის ქვეყნების სახელმწიფო წყობილების ფორმებისაგან. „ვეფხისტყაოსანის“ მეფეები ისევე როგორც საქართველოსი ფორმალურად არ არიან შეზღუდული, მაგრამ ფაქტობრივად მათი უფლებამოსილება არ არის განუსაზღვრელი. პოეტი პატრონყმურ ერთგულებაზე დამყარებულ ფეოდალურ მონარქიას მიიჩნევს სასურველ სახელმწიფო ფორმად. საქართველოს სინამდვილეში მსხვილი ფეოდალები ინარჩუნებენ პოლიტიკურ უფლებებს საფეოდალოებში და ურჩობას უწევენ მეფებს. „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი ინდოეთის სახელმწიფო ისევე როგორც საქართველო სამეფოებისგან შედგება, სამეფოების ვეზირები კი მსხვილი ფეოდალები არიან. ვეზირთა ურჩობის მაგალითია, როდესაც ავთანდილი ტარიელის სამეზნელად მიდის მეფის წინააღმდეგობის მიუხედავად და როდესაც, ტარიელი ხვარაზმშას შვილს კლავს. „ვეფხისტყაოსანის“ მიხედვით, დიდებულებს აქვთ უფლება მეფის წინააღმდეგ აჯანყებისა, თუ მეფე, მათი აზრით, უსამართლოდ იქცევა. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ აჯანყების უფლება ხალხსაც აქვს.

## 25. სომხური სამართალი. (10)

ვახტანგი ამ მეფის შესახებ ამბობს, რომ იგი ეჩმიაძინიდან ჩამოატანინა. სომხური სამართალი 2 ნაწილისაგან შედგება: 1) სირიულ-რომაული სამართალი და 2) მხითარ გოშის სამართალი. ვლ.სოკოლსკის გამოკვლევით სირიულ-რომაული ბიზანტიანთა შექმნილი და ცნობილია მისი სამი რედაქცია: სირიული, არაბული და

სომხური. სომხური სამართალი გამოსცა პროფესორმა მელიქსეთბეგმა, რომლის აზრითაც, სირიულ-რომაული სამართლის კრებული თარგმნილია სომხურად მე-12 საუკუნის ბოლოს კილიკიის სომეხი ეპისკოპოსის-ნერსეს ლამბრონელის მიერ. ვლ.სოკოლსკის ამბობს, რომ ეს კრებული როგორც სომხეთში, ასევე საქართველოშიც მოქმედებდა, რასაც ბევრი სომეხი მკვლევარი არ იზიარებს. რაც შეეხება მხითარ გომს, იგი განჯაში დაიბადა და გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი, ჭვთისმეტყველი, მოძღვარი და მონაზონი ყოფილა. სწავლებისთვის იგი კილიკიაში გადავიდა, დაბრუნებისას კი მონასტერი დაარსა და სომხურ მწერლობაში დაწყო საქმიანობა. ცნობილია მისი იგავ-არაკები. მას წერა, როგორც ამას თვითონ აღნიშნავს, გიორგი მე-3-ის გარდაცვალების წელს 1184 წელს დაუწყია და სიცოცხლის ბოლომდე წერდა, ანუ 1213 წლამდე. სომხური სამართალი შედგენილია კაზუსების სახით, გარკვეული სისტემის მიხედვით. მხითარ გომსი სამართლის წიგნის შედგენისას ხელმძღვანელობდა საღმრთო წიგნებით: მოსეს კანონი, თეოდოსისა და იუსტინიანეს კანონებით. მის წიგნში, აგრეთვე, შევიდა სასამართლო პრაქტიკა და სომხეთის ნაციონალური ჩვეულებანი.

## 26. ქორწინების შეწყვეტის საფუძვლები. (10)

ქრისტიანული სარწმუნოება განქორწინებას ერთგვარ ანომალიად თვლიდა და ყოველგვარ ზომებს ატარებდა მის წინააღმდეგ. მართალია რელიგია განქორწინებას ბოროტებად მიიჩნევდა მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც განუქორწინებლობა ისეთ ვითარებას წარმოშობდა, როცა მეუღლეთა ერთად ცხოვრება წარმოუდგენელი იყო და არც ეკლესიას და არც სახელმწიფოს არ შეეძლო ოჯახის შენარჩუნება. რელიგია ქადაგებს რომ ქორწინება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მეურლის გარდაცვალებით და სრულიად არც ამ შემთხვევასი წყდებოდა.

ქორწინების პირობები, საფუძვლები და წესი საქართველოში: უძველეს პერიოდში, როდესაც ადგილი ჰქონდა საცოლის ყიდვას, ლოგიკურია, რომ განქორწინება ქმრის ნებასურვილზე იყო

დამოკიდებული. ეს რომში ცოლის გაგდებას, მის მოშორებას ნიშნავდა.

განქორწინების შესახებ ცნობები ქრისტიანობის მიღების პერიოდიდან მოიპოვება. შუშანიკის წამებაში განქორწინების მიზეზი მაგალითად არის ვარსქენის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფა. მეორე განქორწინების მიზეზად ამავე ნაწარმოების მიხედვით შეიძლება მივიჩნიოთ ცოლის დაუმორჩილებლობა ქმრისადმი. ქართული სამართლის მიხედვით განქორწინების ერთ-ერთი მიზეზი აგრეთვე იყო მრუშობა. ეს ნამდვილია და მრუშობისთვის სხვა სასჯელებიც იყო ქართულ სამართალში გათვალისწინებული. მრუშობა ქმრის შეურაცხყოფად, დამცირებად მიიჩნეოდა. ამრიგად ცოლის მრუშობისთვის კაცს შეეძლო ქორწინების შეწყვეტა. რაც შეეხება მამაკაცის მრუშობას, განქორწინების საფუძველი გახდებოდა თუ ის კავშირს დაიჭერდა გათხოვილ მეოჯახე ქალთან. კაცს შეეძლო მრუშობაზე წასწრებისას ქალი ადგილზე მოეკლა. შეეძლო ვირზე შეესვა და მშობლებთან გაეგზავნა.

განქორწინების საფუძვლად ასევე ითვლებოდა ცოლის ავადმყოფობა ანუ დასნეულება. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ქალის დასნეულება ქორწინებამდე მოხდა თუ ქორწინების მერე. თუ ქორწინებამდე დასნეულდა ქმარი მარტივად ეყრებოდა, თუ შემდეგ ქმარს უნდა დაემტკიცებინა როსიძულვილის მიზნით არ ხდებოდა განქორწინება და ნახევარი სისხლის ფასიც უნდა გადაეხადა.

განქორწინების მიზეზი არის აგრეთვე ქორწინებამდე ორსულობაც. თუ ქალი ქვრივი ან დაქმრევი იყო მაშინ არ შეიძლებოდა განქორწინება. ან თუ ქმარმა თვითონ დააორსულა ცოლი. განქორწინების მიზეზი იყო აგრეთვე თუ ქალი სხვა კაცთან იქეიფებდა, ტანს დაიბანდა, დაესწრებოდა საცირკო სანახაობებს. განქორწინების მიზეზად ასახელებენ ერთ-ერთი მეუღლისგან სახელმწიფოს ღალატს. აგრეთვე იმპოტენციას, მონაზვნად აღკვეცას, მოწამვლით მოკვლის მცდელობას და სოდომურ ცოდვებს (მამათმავლობა, ცხოველთმავლობა). ვახტანგის სამართლის წიგნი ქორწინებას არ განიხილავს როგორც მხოლოდ შთამომავლობის მიღების მიზანს და იმპოტენციას არ თვლის განქორწინების მიზეზად.

მრუმობის დასმენა და დამსმენელი სისხლის ფასს იხდიდა. ვახტანგის სამართლის წიგნში კარგად არის გამოკვეთილი რომ განქორწინების ინიციატივა ეკუთვნის კაცს და არა ქალს. თუ ქალი სხვა კაცს მიჰყვება და ოჯახს ანგრევს, მაშინ ახალმა ქმარმა პირველს უნდა გადაუხადოს თავისი გვარის ორი სისხლის ფასი და პირველი ქმარის გვარის სისხლის ფასი. თუ ცოლს მოსტაცებდა უნდა გადაეხადა ორი სისხლის ფასი და ზემოდან ერთიც მოტაცებისთვის, მოპარული უნდა დაებრუნებინა. თუ ვერ მოილაპარაკებდნენ შეიძლება ომის მიზეზიც გამხდარიყო.

## 27. სქესობრივი დანაშაული მონღოლთა შემოსევამდე. (10)

ძველი ქართული სამართალი სქესობრივი დანაშაულის სხვადასხვა სახეს იცნობს, მათ შორის: 1) სიძვასა და 2) მრუმობას. სიძვად ითვლებოდა დაუქორწინებელი ქალ-ვაჟის სქესობრივი კავშირი. ეს ქმედება დანაშაულად ითვლებოდა, როგორც ქალს ისე კაცს. ვაჟს მსიძავი ეწოდებოდა, ქალს მეძავი. ეკლესია 7 წელს უზიარებლად ტოვებდა მათ. სიძვის დანაშაული უახლოვდებოდა გაუთხოვარი ქალის შეცდენა. შეცდენილი ქალის ნათესავებს შური უნდა ეძიათ. შურისუძიებლობა დიდი სირცხვილი იყო. რეაგირება უშუალოდ ეკლესიისა და დაზარალებული მხრიდან ხორციელდებოდა. მრუმობა გათხოვილი ქალის ან დაქორწინებული, ცოლიანი კაცის უცხო კაცთან ან ქალთან სქესობრივ კავსირს ეწოდებოდა. ამ ქმედების ჩამდენი პირი მრუმის სახელითაა ცნობილი. 15 წელს უზიარებელს ტოვებდა ეკლესია. მრუმ ქალს ქმარი სახლიდან აგდებდა, თავის სამშობლოში გზავნიდა და საყვარელზე შურს იძიებდა ხოლმე. მაგრამ, თუ კაცს გაუთხოვარი ქალი ხარჭად ეყოლებოდა, ეს პრობლემა არ იყო. დანაშაულის ცალკე სახედ გვევლინებოდა სისხლის აღრევა. ასევე მამათმავლობა ანუ კაცის მამაკაცთან სქესობრივი კავსირი. ასევე გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი მამაკაცისა და დედაკაცთან. დაგმობილია აგრეთვე სოდომური ცოდვები, რომელიც მოხსენიებულია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებაში.

## 28. აიეტისა და ფარტაძის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეხედულებები. (10)

აიეტისა და ფარტაძის სიტყვაში, რომლებიც მეექვსე საუკუნის კოლხეთის სამეფოს საგარეო ორიენტაციის საკითხებს ეხება, გამოვლენილია ორატორთა შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტზე.

მე-6 საუკუნეში კოლხეთი ბიზანტიის ვასალია. ბიზანტია ებრძვის ადგილობრივ ძალებს, ავიწროებს კოლხეთის საგარეო და საშინაო ვაჭრობას და ამოტომატ კოლხების უკმაყოფილება ბიზანტიისადმი დიდია. ამას დაერთო კოლხების მეფის სიკვდილი, ბიზანტიის მოხელეების მიერ. ამასთან დაკავშირებით მოწვეულ სახალხო კრებაზე აიეტი ამბობს: ჩვენი უბედურება ის არის, რომ მოკლებულები ვართ თავისუფლებას. ის მისტირის კოლხეთის ძველ დიდებას, რათა არ დასჭირდეს უცხოთა დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს კოლხეთი. მაგრამ რადგანაც არ აქვს კოლხეთს ძლიერება, მისი აზრით უმჯობესია იმათ ხელში იყოვნენ, ვინც უფრო კეთილისმსურველია მათთვის. ბიზანტიელებმა მათ მეფე მოუკლეს, უხეშად ერევიან მათ საქმიანობაში და ვერაგულად ექცევიან, ამოტომატ დახმარება ირანს უნდა ვთხოვოთ.

აიეტის საწინააღმდეგოდ კრებაზე გამოვიდა ორატორი ფარტაძე. იგი აღშფოთებულია გუბაზის მკვლელობით. მისი აზრით, გუბაზის მკვლელები უმკაცრესად უნდა დაისაჯონ და მათთან ერთად ისინიც, რომლებსაც შეეძლოთ მეფის მკვლელობაში ხელის შეშლა, მაგრამ ეს რ გააკეთეს. მისი აზრით, ირანზე ორიენტაცია უმართებულოა, ეს არ მოგვიტანს სარგებელსო. ბიზანტია ერთმორწმუნე ერია, ირანი კი სხვა სარწმუნოებისაა. ბიზანტიასთან ომში ჩაბმა დამღუპველი იქნება კოლხთათვის. ფარტაძეს მიაჩნდა, რომ გუბაზის მკვლელობა ცალკეული ადამიანების დანაშაულია და არ შეიძლებოდა მკვლელად მთლიანი ბიზანტიის გამოყვანა და მისთვის



ზურგის შექცევა. ფარტაძე მოიტხოვდა, რომ ბიზანტიის იმპერატორს დაესაჯა გუბაზის მკვლელები და მეფედ გამოეგზავნა მისი შვილი წათე (ზოგ წყაროებში იგი გუბაზის ძმად არის მოხსენიებული), რომელიც იმ ხანად ბიზანტიაში იმყოფებოდა. ბიზანტიის იმპერატორმაც, რა თქმა უნდა, აღასრულა კოლხების მოთხოვნა.

## 29. მცირე სჯულისკანონი. (10)

მცირე სჯულისკანონი 4 ნაწილისაგან შედგება:

- 1) მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების (ტრულის) კანონები
- 2) კანონნი შეცოდებულთანი იოანე მმარხველისა.
- 3) კანონნი დღითი-დღეთა ცდთომათანი.
- 4) ძეგლის წერა სარწმუნოებისაი.

ეს 4 ნაწილი წარმოადგენს კრებულს რომელიც ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა. ეს შეუსრულებია მამის სიკვდილის შემდეგ, შესაბამისად, დაწერილია 1005-1028 წლებში. ასეთი შედგენილობის ქართულის ზუსტი შესატყვისი არ არსებობს ბერძნულ ენაზე. ეს იმას ნიშნავს რომ ექვთიმეს თავად ამოუკრეფია სხვადასხვა წყაროდან. მრავალი ნაწილი თავად გადააკეთა და ახსნა-განმარტებები და დასაბუთება-მსჯელობები დაუმატა. ტექსტს ექვთიმე ბრმად არ მისდევს და ქართული სინამდვილიდან გამომდინარე ამცირებს ან ავრცობს. ძეგლის საუბარია სისხლის სამართლის ინსტიტუტებზე. საუბარია სხვადასხვა სახის დანაშაულზე, სასჯელზე და ბრალის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე. იმ პერიოდში მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიღებულ დადგენილებებს ქრისტიანულ ქვეყნებში კანონის ძალა ჰქონდა და სწორედ ამ მიზეზით თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა ეს შრომა ქართულ ენაზე.

## 30. დანაშაულთა კლასიფიკაცია. (10)

სამართალდარღვევათა სახეების განსხვავების საფუძვლად ამა თუ იმ ქმედებების სირთულე, მრავალსახეობა და არსის გათვალისწინება იყო მიჩნეული. დანაშაულთა კვალიფიკაციისას თუ პასუხისმგებლობის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დამნაშავის ასაკს, დამნაშავის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, ასევე დანაშაულის ჩადენის ადგილს, დროს და სხვა პირობებს თუ გარემოებებს. ივ.ჯავახიშვილის მიხედვით ადრეფეოდალური ქართული სამართალი დანაშაულის სამ სახეს იცნობდა: დიდი დანაშაული, მცირე და საშუალო. ივ.ჯავახიშვილის მიხედვით დანაშაულის კლასიფიკაცია დამყარებული ყოფილა ბრალზე. ძვ. ქართულ სამართალში დანაშაულის კლასიფიკაციისას აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა ბრალის გათვალისწინება, დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და სხვ. დანაშაულის შინაარსის გასარკვევად ექ.მთაწმინდელი დამნაშავის ნებას აქცევს ყურადღებას. თუ ვინმემ განზრახვით მოკლა ადამიანი ეს იქნებოდა „ნებსით კაცის კულაი“, მაგრამ შეიძლებოდა ვინმე უნებლიედ მოგეკლა და ეს იქნებოდა „უნებლიეთი კაცის კულაი“ ანუ შემთხვევითი. ექ.მთაწმინდელი თვლის რომ თავისთავად ნებსით და უნებლიეთ მკვლელობაც იყოფა სხვადასხვა ნაწილებად.

ნებსით ანუ განზრახვით მკვლელობის მაგალითად ის ასახელებს მკვლელობას შუბით, მახვილით, საწამლავით ჩვილის მოკვლა (წამლის გამცემი და მიმღები), ასევე მამაკაცისთვის წამლის მიცემა რათა ქალი შეიყვაროს, ავაზაკის მიერ კაცის კვლა.

ექ.მთაწმინდელი მსჯელობს აგრეთვე გაუფრთხილებლობით კაცის მოკვლის შესახებაც. როდესაც უნებლიედ, შემთხვევით კლავ ადამიანს. ექვთიმეს აზრით უნებლიე კვლაც შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. დაუდევრობის შემთხვევაა მაგალითად ხის ნაყოფის ჩამოსაგდებად როდესაც ქვას ისვრი და კაცს მოკლავს, ყრმას აღსაზრდელად რომ ცემს და შემოგაკვდება. ექვთიმე ასახელებს აგრეთვე უფრო მძიმე გაუფრთხილებლობას რომელიც განზრახვას უახლოვდება. მაგალითად, როდესაც კაცის საცემად გაიწევი და შემოგაკვდება. მართალია მოკვლა არ გასურდა მაგრამ მისი ცემის სურვილი გაგაჩნდა. ამრიგად ექვთიმე დანაშაულის კლასიფიკაციისას საფუძვლად იღებს ნებას, განზრახვას და სურვილს, რომელთა

მიხედვით დანაშაულებს ყოფს დიდ, საშუალო და მცირე დანაშაულებად.

### **31. ძველი ქართული სასამართლო პროცესის ზოგადი დახასიათება. (შერეული პროცესი.) (10)**

უძველესი დროიდან საქმის გამრჩევი ყველა პირი იწოდებოდა მსაჯულად, ბჭედ ან მოსამართლედ. ქართული სამართლის ძეგლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსამართლისათვის აუცილებელ თვისებებს. ბაგრად კურაპალატის სამართლის წიგნში ხაზგასმულია, რომ მოსამართლე უნდა იყოს ღვთისმომშიში, სამართლიანი, მოუსყიდველი, მიუდგომელი, რომელიც არავის ხათრით უსამართლობას არ ჩაიდენს. ზოგ შემთხვევაში დასაშვებია მოსამართლის გაწყრომაც, როცა ეს საჭიროა საქმის განხილვისას. სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეებს „მოდავეები“ ეწოდებათ, მოსარჩლეს „მოჩივარი“, ხოლო მოპასუხეს „მოადი“. ურთიერთდავას „ცილება“ ერქვა. ისტორიულად ცნობილია სასამართლო პროცესის სამი ფორმა: 1) საბრალდებო, 2) ინკვიზიციური ანუ სამძებრო, 3) შერეული.

საბრალდებო პროცესი სასამართლო პროცესის უძველესი ფორმაა. მისთვის დამახასიათებელია მთელი რიგი პრინციპები. ესაა შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც იმით გამოიხატება, რომ მხარეებს საქმის წარმოებისას თანასწორი უფლებები ჰქონდათ. ისინი საქმის დაწყების ინიციაორები იყვნენ, აგროვებდნენ დამამტკიცებელ საბუთებს და განსახილველად აძლევდნენ მოსამართლეებს. მოსამართლეებს მხოლოდ უნდა შეესწავლათ წარმოდგენილი მასალები და გამოეტანათ განაჩენი. წინასწარი გამოძიება არ ტარდებოდა მხოლოდ საქმის სასამართლო განხილვას ჰქონდა ადგილი. სხვა პრინციპებია ზეპირობა და საჯაროობა.

ფეოდალიზმის პერიოდში წარმოიშვა პროცესის მეორე ფორმა- ინკვიზიციური ანუ სამძებრო. საქმის აღძვრა უკვე აღარ ხდებოდა მხარეთა კერზო ინიციატივით, არამედ სახელმწიფო თავისი მოხელეების ინიციატივით იწყებდა პროცესს. აღარ იყო

დამახასიათებელი შეჯიბრიანობის პრინციპი. მხარეები თანასწორუფლებიან სუბიექტებად აღარ გვევლინებოდნენ. ორივეს ფუნქციებს სასამართლო ასრულებდა. ის იწყებდა საქმეს, აგროვებდა მტკიცებულებებს. პროცესი წერილობით და საიდუმლოდ მიმდინარეობდა, გამოიყოფილია წინასწარი გამოძიების სტადია, როცა ხორციელდებოდა მტკიცებულებათა შეკრება. ყველაზე სრულყოფილ საბუთად ითვლებოდა ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება. ამ პერიოდის სასამართლო პროცესი ძირითადად შეიძლება ჩაითვალოს სამძებროდ, საბრალდებო პროცესის ელემენტებით.

### **32. სისხლის ფასი სხეულის დაზიანებისთვის. (10)**

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ექვსი მუხლი ეძღვნება სხეულის დაზიანებასა და მის დასჯადობას ( 124,125,142,143,144,151). 124–ე მუხლის ძალით, მოპარვით თვალის, ხელ–ფეხისა და სახის დაზიანებისთვის, სისხლის ფასის ნახევრის გადახდაა წესებული. 125–ე მუხლში ისევ სხეულის დაზიანებაზეა საუბარი, რომელიც ნაკლებ პასუხისმგებლობას იქვევს, რადგან „უჩინარ“ სხეულის ნაწილის დაზიანებას ეხება 142–ე, 143–ე, 144–ე და 151–ე მუხლებიც სხეულის დაზიანებას ეხება და სხვადასხვა ოდენობის გადასახადებია დაწესებული.

### **33. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით. (10)**

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ქართული სამართალი იცნობს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ორ დანაშაულს: 1) განდგომასა და ღალატს, 2) მეფის შეურაცხყოფას. განდგომას ადგილი ჰქონდა როდესაც ქვეყნის პოლიტიკური ერთობა ირღვეოდა და შინაური ბრძოლა იწყებოდა. ამ დანაშაულის აღსანიშნავად სხვა ტერმინებიც გამოიყენებოდა: აშლილობა, შფოთი, ღალატი, ორგულობა. განდგომა შეიძლებოდა მომხდარიყო შინ შინაური ძალების მიერ ან გარე

მალების დახმარებით. განდგომასა და ღალატს ერთად განიხილავს ჯავახიშვილი, თუმცა მათ შორის არის სხვაობაც. განდგომა არის პირდაპირი, გულახდილი მოქმედება. ორგულობა ფარული, ხოლო ღალატი ვერაგული დანაშაული. განდგომა-ღალატს უმეტესად დიდგვაროვანი აზნაურები მიმართავდნენ. განდგომა-ღალატისათვის მძიმე სასჯელები გამოიყენებოდა. მათ შორის თვალების დათხრა და კასტრაცია.

მეფის შეურაცხყოფის მაგალითს თამარის ისტორიკოსი აღგვიწერს, როდესაც რუქნადინის წარმოდგენილმა ელჩმა თამარს უთხრა, ან ბატონის მეუღლე გახდი და რელიგია შეიცვალე, ან კიდევ მისი ხარჭაო. ასეთი ქმედებისთვის ენას კვეთდნენ, ხოლო შემდეგ სიკვდილით სჯიდნენ-თავის მოკვეთით. პროფ. აბაშმაძის მიხედვით ქართული სამართალი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებსაც იცნობს: 1) მეფის პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მიზანი მეფის მოკვლა), 2) შეთქმულება უცხოელი, დამარცხებული მოსახლეობის მხრიდან, 3) სახელმწიფო დანაშაული, მიმართული ქვეყანაში არსებული პოლიტიკური წყობლების შესაცვლელად.

#### **34. ანდერძით მემკვიდრეობა. (10)**

ქართული სამართალი იცნობს მემკვიდრეობის შემდეგ სახეს - ანდერძით მემკვიდრეობას. ანდერძი იყო სამკვიდროს დამტოვებლის სიტყვიერი ან წერილობითი მითითება, ნების გამოცხადება, იმის შესახებ თუ ვის უნდა მიკუთვნებოდა მისი ქონება. ტერმინი ანდერძი სპარსულიდანაა შემოსული. ამ ტერმინამდე გამოიყენებოდა „დაწერილი“ ან „აღეთქმაი“.

ქართული წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ ანდერძის ინსტიტუტი ადრეფეოდალიზმის ხანაში იყო ცნობილი. საინტერესოა ის ფაქტი რომ ანდერძის შესახებ დუმან ბექა-აღბულას და ვახტანგის სამართლის წიგნები. წყაროების გამოკვლევით ჩანს, რომ ჩვენში არსებობდა ანდერძის შედარებითი და არა აბსოლუტური თავისუფლება. ანდერძის თავისუფლებასთან დაკავსირებით

საინტერესოა საკითხი მემკვიდრეობაში სავალდებულო წილის შესახებ. ქართულ სამართალში ვერ ვხვდებით ნორმას ამის თაობაზე. უნდა ვივარაუდოთ რომ ქართული სამართალი არ იცნობს მემკვიდრეობაში სავალდებულო წილს.

ანდერძით მემკვიდრეობის საკითხის გარკვევისას საჭიროა გაირკვეს ანდერძის სუბიექტები, ანუ სამკვიდროს დამტოვებელი და მისი მიმღები პირები. მოანდერძე 14-15 წლის ასაკს მიტანებული პირი შეიძლება ყოფილიყო. ქალის ასაკი 12 წელი იყო ანდერძისა.

მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე მოანდერძის შერაცხადობის საკითხი. სულით ავადმყოფობა ამ უფლების შემზღუდავად გვევლინებოდა. ნების თავისუფალ გამოვლენას უნდა დამყარებოდა ანდერძი თორემ ბათილად ჩაითვლებოდა. დაუშვებელი იყო მოტყუებით და დაშინებით ანდერძის შედგენა. ანდერძის ზეპირ და წერილობით ფორმებს იცნობდნენ. უპირატესობა წერილობით ანდერძს ენიჭება.

ვის უნდა დაეწერა ანდერძი? ის შეიძლებოდა დაეწერა როგორც მოანდერძეს ასევე სხვა პირს. ცნობილია, რომ შუა საუკუნეების ანდერძებს ძირითადად სასულიერო პირები ადგენდნენ. ეს იმიტომ, რომ საჭირო იყო ყველა ფორმის დაცვა შედგენისას რათა ბათილად არ ეცნოთ, ამიტომ საქმეში სპეციალისტები იყვნენ ჩართული. როდესაც ანდერძს სხვა პირი ადგენდა მოანდერძეს ან ხელი უნდა მოეწერა ან ნიშანი დაესვა. ანდერძის ნამდვილობის დასადასტურებლად საჭირო იყო მოწმეების მოწვევა რომელთა რიცხვი 7-ს აღწევდა. ძირითადად ეს საწირო ზეპირსიტყვიერი ანდერძის დროს იყო საჭირო.

წერილობითი ანდერძის წიგნები ინახებოდა ეკლესიაში. მოანდერძე ხშირად ქონებას სწირავდა რათა მისი სულისთვის ეზრუნა და ელოცა ეკლესიას.

სხვადასხვა ქვეყნები იცნობენ ე.წ. საანდერძო დანაკისრს, დავალებას. სამართალი იცნობს მის 2 ფორმას. 1) ლეგატი-ამის მიხედვით მემკვიდრეს ქონების გარკვეული ნაწილი უნდა გადაეცა მესამე პირისთვის. 2) ფიდუკომისია-მემკვიდრეს უნდა შეესრულებინა ესა თუ ის მოქმედება.

საინტერესოა როგორ იყო მოწესრიგებული ანდერძის შეცვლის საკითხი ქართულ სამართალში. ცნობილია, რომ მოანდერძეს შეეძლო უკვე შედგენილი და მიცემული ანდერძი შეეცვალა თავისი

შეხედულებისამებრ. ასეთ დროს მოქმედებდა ახალი ანდერძი.

ქართული სამართალი აგრეთვე იცნობს ანდერძის მოწმის ცნებას. ამ ცნებას ხელწერილის გარეშე ძალა არ ჰქონდა. მოწმე შეიძლებოდა ყოფილიყო საეკლესიო პირი ან სხვა რიგითი მოქალაქე. მოწმეთა რაოდენობა განსხვავებული იყო. ყველა მოწმეს არ დაეჯერებოდა ქართულ სამართალში.

ქართულ სამართალში არსებობს თავისუფალი მარა არა აბსოლუტური თავისუფლება ანდერძისა. მემკვიდრეობის მოწესრიგების ძირითადი ფორმა მაინც კანონისმიერი მემკვიდრეობა იყო.

### **35. ადამიანის სიცოცხლისა და ჯამრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები მონღოლთა შემოსევამდე. (10)**

ასეთი დანაშაულებიდან ქართული სამართალი იცნობს მკვლელობას, რომლის აღსანიშნავადაც სხვადასხვა ტერმინი გამოიყენებოდა. სიცოცხლის მოსპობას ეწოდებდა: "მოკლვაი", "კაცისკვლაი" ან "მკულელობა". მკვლელობისთვის დაწესებული იყო სისხლის ფასი. ქართული სამართალი არ იცნობდა მკვლელობისთვის შურისძიებას, როგორც საჯარო სასჯელს. ჩასაფრებით მკვლელობა, მოპარვით მკვლელობა, მოწამლვით მკვლელობა უფრო მკაცრად ისჯებოდა. ეკლესია სჯიდა 20 წლის უზიარებლობით, ხოლო სახელმწიფო აწესებდა სისხლის ფასს. გაუფრთხილებლობით მოკვლისთვის დაწესებული იყო 10 წელი უზიარებლობა, ასევე ცნობილია დაჭრა. მას ეწოდებოდა „დაკოდვა“ ან „დაჩხუეპა“, „გერში“-მსუბუქი ჭრილობა და „ნახშირი“, რომელიც თავდაპირველად ჭრილობას ნიშნავდა, შემდეგ კი ზარალის საზღაურს დანაშაულისთვის.

აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებების თავში აყენებს მეკობრეობას. მეკობრეობის დროს ანგარების მიზნით ადგილი ჰქონდა ადამიანთა ხოცვას, ასეთი დანაშაული მეტად მზიმე იყო და ამისთვის ძელზე ჰკიდებდნენ

დამნაშავეს.

### 36. მოწმის ინსტიტუტი. (10)

მოწმის ინსტიტუტის არსებობა მოწმობს ქართული სამართლის მაღალ განვითარებას. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შემდეგ კი შემცირდა მისი როლი. რაც ისევ და ისევ განპირობებულია სახელმწიფოს დაცემით. ვახტანგის სამართლის წიგნში მოწმის ჩვენებას მეხუთეადგილი უკავია მტკიცებულებათა შორის და მის როლს განსაკუთრებულად აკნინებს. თუმცა არის მუხლები, სადაც მოწმის ჩვენება არც ისეთი უმნიშვნელოა. ამგვარად, ერთგვარი წინააღმდეგონა შეინიშნება ვახტანგის სამართლის წიგნში ამ საკითხთან მიმართებით, რადგან ვახტანგი არაერთხელ იხსენიებს მოწმის ჩვენების მნიშვნელობას. მოსამართლე მოწმის მეშვეობით უნდა ეცადოს სასამართლის დადგენას. ვახტანგს ესმის, რომ მოწმის ჩვენება უფრო ობიექტურად წყვეტს საქმეს, ვიდრე რომელიმე დაპირისპირებული მხარის. კანონმდებელი მეფე წერს, რომ მოწმე უნდა იყოს ღვთისმომშიში, ჭკვიანი, სანდო, მართალი კაცი.

ზოგადად, მოწმეთა დაკითხვა სასამართლო პროცესზე ხდებოდა. სასამართლოს შეძლო ვადა მიეცა მხარებისთვის, რომ მოწმე მოეძებნათ. თუ ამ ვადაში ვერ მოახერხებდნენ ისინი მოწმის მოყვანას, მაშინ სასამართლო ფიცს მიმართავდა. მოწმეთათვის მათი ჩვენების გასამართლებად, შეიძლება სასამართლოს ფიციც დაეკისრებინა მოწმეთათვის.

მოწმის ინსტიტუტთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ "მთხრობელის" ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი ცნობილია ქართული ძეგლების მიხედვით. მთხრობელი მოწმის ჩვენების ბუნების მატარებელია, თუმცა მოწმისგან რამდენადმე განსხვავდება. მთხრობელი ის პიროვნებაა, რომელსაც უშუალოდ აქვს ნაანახი დანაშაულის ფაქტი და იგი დამნაშავის მხილებელი ანუ დამსმენია. მთხრობელი, ჩვეულებრივი მოწმისგან განსხვავებით, დაზარალებულისთვის ცნობის მიწოდებისთვის იღებს ე.წ.



"სამთხრობლოს" საზღაურის სახით. იგი სამთხრობელოს იმ შმთხევვაში მიიღებდა თუ კი საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. მთხრობელის ერთ-ერთი ფუნქცია ისიცაა, რომ მან უნდა დაამტკიცოს ბრალდებულის დანმაშავება და თუ საჭიროა პირზეც დაადგეს ბრალდებულს. თუ მთხრობელი ტყუის და ის უბრალოდ ადებს ხელს პირს, იგი ისეთივე სასჯელით დაისჯება, როგორითაც დაისჯებოდა ბრალდებული პირი.

### **37. სისხლის ფასი სხვადასხვა წოდების წარმომადგენლებისათვის ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით. (10)**

ამა თუ იმ სოციალური ფენის წარმომადგენლის მოკვლისათვის შემდეგი სისხლის ფასი იყო დაწესებული:  
დიდებული თავადის სიკვდილის სისხლი 1536 თუმანი იყო. ასეთივე იყო მთავარეპისკოპოსის მკვლელობისთვის.  
შუა თავადის სისხლი – 768 თუმანი. ასეთივე იყო ეპისკოსის მკვლელობისთვის.  
დაბალი თავადის სისხლი – 384 თუმანი.  
დიდაზნაურის სისხლი – 192 თუმანი.  
შუა აზნაურის სისხლი – 96 თუმანი. ასეთივე იყო მღვდელი მონაზონის მკვლელობისთვის.  
ცალმოგვი აზნაურის სისხლი – 48 თუმანი.  
მსახურის სისხლი – 24 თუმანი.  
გლეხი კაცის სისხლი – 12 თუმანი.

### **38. კანონისმიერი მემკვიდრეობის ფარგლები. (10)**

კანონისმიერ მემკვიდრეობაში მბრძანებლობს კანონი და არა მამკვიდრებელი, კანონისმიერი მემკვიდრეები მაშინ გამოდიან ასპარეზზე, როცა არ არსებობს ანდერძი, ან არსებობს, მაგრამ უსამართლოა. კანონისმიერი მემკვიდრეობა საფუძველს იღებს

ზნობიდან .იგი შეიცავს ხალხის შესაბამის ზნობრივ ნორმებს. მეორე მხრივ, კანონისმიერი მემკვიდრეობის წესები ადათობრივ ნორმებსაც ეყრდნობა. ადათი ხომ ის ქცევის წესია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდება.

კანონისმიერი მემკვიდრეობის საფუძველს წარმოადგენდა, როგორც სისხლით ნათესაობა, ასევე არასისხლით ნათესაობაც. ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები იყო: მშობელი, მკვიდრი, თვისი, მეყვსი.. რაც შეეხება მემკვიდრეობის ფარგლებს. უნდა გაირკვეს ვინ შეიძლება ყოფილიყო მემკვიდრე, ან ვისი მემკვიდრე უნდა ყოფილიყო ესა თუ ის პირი. ფეოდალურ საქართველოში უძველესი დროიდან მემკვიდრეობა გადადიოდა ერთსახლობაზე, ანუ განუყრელ ოჯახზე. შედარებით გვიან კი მემკვიდრეობად გამდიოიან ოჯახიდან გაყრის შდეგად გასული პირებიც.

მშობლების ქონების მემკვიდრეობად გამოდიან ვაჟიშვილები, ამასთანავე, ქართული სამართალი შვილებს თანასწორად არ ანიჭებს მემკვიდრეობას, არამედ აწესებს „საუფროსო“ , „სასაშუალოსა“ და „საუმცროსოს“.

„საუფროსო“ – ზოგჯერ მას „საუხუცესოსაც“ უწოდებდნენ, მისი არსებობა ქართულ სამართალში უნდა აიხსნას იმით, რომ იგი იყო წინაპართა კულტის სამსახურის მოთავეა და გარკვეული ხარჯები აწვება.საუფროსო ზოგის აზრით ირანიდან შემოვიდა, ზოგადად კი, იგი სათავეს იღებს ბიბლიიდან, კერძოდ ესავისა და იაკობის ურთიერთობიდან.

„სასაშუალო“ – შუათანა ძმის წილი მემკვიდრეობაში.

„საუმცროსო“ – უმცროსი ძმის წილი სამემკვიდრეო ქონებიდან.

აგრეთვე იყო „საჭირნახულო“ – გარჯილობისათვის განკუთვნილი წილი, იგი შეიძლება ნებისმიერ ძმას მიეღო.

რაც შეეხება ავადმყოფ შვილებს, მათაც ჰქონდათ წილი მემკვიდრეობაში,თუმცა იგი ქართული კანონმდებლობით არ წესრიგდებოდა, არამედ ვახტანგ მე-6ის სამართლის კრებულში შეტანილი ბერძნული სამართლით.

არსებობს ქალიშვილების სამემკვიდრეოც. გაუთხოვარი ქალიშვილი მემკვიდრეა, თუმცა იგი არაა ვაჟიშვილთან გათანაბრებული.ხოლო გათხოვილი ქალის უფლებები მზითევით შემოიფარგლებოდა და იგი

მემკვიდრე ვერ იქნებოდა. თუ ქალს ძმა არ ჰყავს და მეუღლე მოყვანილი ჰყავს ზესიძედ, მაშინ იგი ხდება მშობლების სრულუფლებიანი მემკვიდრე.

არსებობდა აგრეთვე ნაშვილები მემკვიდრე, რომელიც გათანაბრებული იყო ღვიძლ შვილებთან. ნაშვილებს ქონება ეძლეოდა შვილების თანაბრად როგორც კანონით, ისე ანდერძით.

არსებობდა ე.წ. „ნაბიჭვართა“ მემკვიდრეობაც. ისინი სარგებლობდნენ უალრესად შეზღუდული უფლებებით. თუ ძმები დაიხოცებიან, ბიძებს ევალებათ ერთი ყმის მამულის ოდენა მიწა მისცენ.

მემკვიდრეობის გადაცემის დროს ითვალისწინებდნენ თუ რა ურთიერთობა ჰქონდა ძმებთან, როგორ ღებულობდა მონაწილეობას ოჯახის საქმეებში და ა.შ.

რაც შეეხება აღმავალი ხაზის მემკვიდრეებს, ცნობილია, რომ მშობლები არიან შვილების მემკვიდრეები, ხოლო გვერდითა ხაზის ნათესავები – ძმები, ძმისშვილები, დიშვილები – მემკვიდრეობაში წილს იღებენ, როცა არ არის კანონისმიერ მემკვიდრეთა პირველი ან მეორე რიგი.

ბოლოს შევეხოთ ქვრივის უფლებებს. თუ ქვრივი უშვილოა, მას რჩება თავისი მზითევი, მაგრამ მამული კი – მის ბატონს. ქვრივი მამაკაცი ცოლის ქონების მემკვიდრეა, თუ ახალი დაქორწინებულია და ისე გარდაიცვალა ცოლი – ქმარს ცოლის მზითევის მესამედი ერგება. ერთი წილი სულს ხმარდება, ერთი კი ქალის პატრონს ეძლევა. უშვილო ქვრივი თუ ახალ ქმარს შმოიყვანს ოჯახში, იგი გახდება გარდაცვლილი ქმრის ქონების სრული მემკვიდრე.

ასევე აღსანიშნავია ბეითალმანი ქონება ანუ უპატრონო, რომელიც არავის საკუთრებაში არაა. უძველესი დროიდან ასეთ ქონებას სახელმწიფო ეპატრონებოდა.

### **39. ბაგრატიის სამართლის წიგნის ფრაგმენტის ავტორობის საკითხი. (10)**

ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი, როგორც ვთქვით, აღბუღას სამართლის წიგნში 98 მუხის შემდეგაა მოთავსებული.

როგორც მოყვანილია 98 მუხლის შემდეგ, მეფეთ-მეფე ბაგრატ კურაპალატი იწვევს ეპისკოპოსებს, დიდებულებს, აზნაურებს, „ჭკვიან კაცებს“ და ადგენს კანონებს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, შესავლის გარდა მე-100, 101, 102, 103-ე მუხლებიც ბაგრატის სამართლის წიგნიდან არის აღბუღას კანონებში შეტანილი. ივ. ჯავახიშვილი სვამს კითხვას თუ რომელ ბაგრატზეა ამ ძეგლისი საუბარი. ავტორი ასახელებს ყველა ბაგრატს რომლებიც საქართველოში მეფობდნენ: ბაგრატ აშოტის ძე, ბაგრატ II, ბაგრატ III, ბაგრატ მე-4 და ბაგრატ მე-5. ბაგრატ პირველი გრიგოლ ხანძთელში დასახელებულია როგორც ეკლესიათა მამულებელი და დასახელებულია „სამართლის განკითხვაც“. ეს შესაძლებელია სამართლის წიგნის შედგებას გულისხმობდეს. მაგრამ ბაგრად პირველის ვარიანტს გამორიცხავს ის ფაქტი, რომ მეფეთ-მეფე არ ყოფილა. ვერც ბაგრატ მეხუთე იქნება რადგან მას კურაპალატის წოდება არ ჰქონდა. ასევე კურაპალატის პატივი არ ჰქონდა ბაგრად მე-2 საც და ის რეგვენადაც მოიხსენიებოდა. შესაბამისად, დარჩნენ ბაგრად მესამე და მეოთხე. ჯავახიშვილის აზრით, ბაგრად მესამე წყაროებში განსაკუთრებული პატივითაა მოხსენიებული, რადგან ყოფილა ეკლესიათა აღმშენებელი, გლახაკთა დამხმარე. მისი მართმსაჯულებაც ძლიერ არის შექებული, ამიტომაც ჯავახიშვილი თვლის, რომ ხსენებული კანონების ავტორი ბაგრატ მესამეა. ბაგრატ მე-4-ეს სწორედ იმიტომ გამორიცხავდა ჯავახიშვილი, რომ მის დროს ქვეყანაში არეულობა სუფევდა. სხვა მეცნიერები კიდევ სწორედ ამ საკითხს ეჭიდებიან და თვლიან რომ სწორედ არეულობა და აჯანყებები შეიზღებდა კანონის შედგენის მიზეზი იყოს. მეცნიერები ბაგრატ მე-4-ეს ავტორად იმიტომ თვლიან, რომ მის დროს ქვეყანა დაუწყნარებელი იყო. გარდა ამისა მის დროს სამღვდელთა დიდი უფლებებით სარგებლობდა და ეს გარემოება ასახულია წიგნის მუხლებში. გიორგი ბრწყინვალე ძეგლის დადებაში აღნიშნავს, რომ მთიულეთში გამრავლდა დანაშაული და არეულობა. სწორედ ამან გამოიწვია სამართლის წიგნის შედგენა სიტუაციის მოსაგვარებლად. აღბურას სამართალშიც აღნიშნულია, რომ უწყესო საქმეების გამრავლებამ უბიძგა ავტორს სამართლის წიგნის შედგენისაკენ. კათალიკოსთა სამართალიც მსგავს მიზეზს ასახელებს, რომ კაცის

კვლამ და ტყვედ გაყიდვამ უზიძგა ეკლესიის მსახურებს შიკრებისა და საგანგებო კანონების მიღებისაკენ. შესაბამისად, ის საკითხი რომ ბაგრად მე4-ეს დროს არეულობა იყო შეიძლება პირიქით დამამტკიცებელ საბუთადაც გამოვიყენოთ. მაგრამ, საბოლოოდ გადაწყვეტა საკითხისა თუ რომელ ბაგრატს ეკუთვნის კანონები შეუძლებელია.

#### **40. სასამართლო ორგანიზაცია მონღოლთა შემოსევამდე (ჩამოთვალეთ და მოკლედ დაახასიათეთ სასამართლო ორგანოები). (10)**

სამართალწარმოება სათავეს იღებს ჯერ კიდევ წინასახელმწიფოებრივ ეპოქაში. სასამართლოების უძველესი ფორმა სამედიატორო სასამართლო იყო. ასეთი სასამართლო მოქმედებდა გვაროვნული წყობილების პერიოდში. გვარში წარმოშობილ კონფლიქტებს გვარის უფროსი წყვეტდა. ხოლო გვარებს შორის უთანხმოების მოსაგვარებლად მედიატორებს მიმართავდნენ. სამედიატორო სასამართლოს ძირითადი დანიშნულება იყო მხარეთა მშვიდობიანი მორიგება. გარდა სამედიატორო სასამართლოებისა, სასამართლო საქმეებს იხილავდნენ სახალხო კრებები. სამართალწარმოება მათი უმთავრესი ფუნქცია არ იყო, მაგრამ მათ შორის სადავო საკითხებსაც იხილავდნენ. სასამართლო ფუნქციები ასევე გააჩნდათ უმაღლესი ადმინისტრაციული უფლების მქონე პირებს, მათ შორის უმაღლეს სამხედრო მთავარსარდალს. ის სამხედრო საქმესა და მართლმსაჯულებას ახორციელებდა. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში საქართველოს სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა ორ მთავარ სასამართლო უწყებას ექვემდებარებოდა: სამეფო სასამართლო და საკათალიკოსო სასამართლო. ეს უკანასკნელი ეკლესიის საქმეში შემავალ პირთა საქმეებს იხილავდა. ამ პერიოდში უზენაეს მართლმსაჯულებას მეფე ახორციელებდა. ამას „სამართალი სამეუფეო“ ეწოდებოდა. მეფე რთულ და გახმაურებულ საქმეებს იხილავდა. არსებობდა აგრეთვე სპეციალური სასამართლო დაწესებულებები, რომლებიც საქმეებს იხილავდნენ, ესენია: სააჯო კარი, საბჭო, სამსჯავრო სახლი. სააჯო კარს სათავეში

მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი ედგა. ის ორშაბათობით ედგა სათავეში სააჯო კარს. მას ეხმარებოდა ორი მწიგნობარი, ზარდახანისა და საწოლის. მართლმსაჯულების ფუნქციები ჰყონდა დარბაზსაც. არსებობდა აგრეთვე სპეციალური სასამართლოებიც- მპარავთმძებნელთა. მპარავთმძებნელის ფუნქცია ქურდების ძებნა იყო, მას ეხლამრებოდნენ მოხელეები, ჩენილები. არსებობდა წოდებრიობაზე აგებული სასამართლოები და ფეოდალთა სასამართლოები. გაერთიანებულ საფეოდალო საქართველოში არსებობდა შემდეგნაირი სასამართლო სისტემა: 1) უმაღლესი მოსამართლე იყო მეფე, 2) სასამართლო ფუნქციები გააძნდა დარბაზს, 3) სააჯო კარი, 4) საკათალიკოსო სასამართლო, 5) სამპარავთმძებნელო სასამართლო, 6) წოდებრივი სასამართლო, 7) ფეოდალთა სასამართლოები.

#### **41. სიკვდილით დასჯა. (7)**

მისი სხვადასხვა სახეებით, მათ შორის თავის მოკვეთა, "ძელსა ზედა ჩამორჩობა" და "ძელსა ზედა აღბმია". სიკვდილით დასჯა უაღრესად შეზღუდულად გამოიყენებოდა. იგი შეეფარდებოდა მხოლოდ სახელმწიფო ღალატისთვის, მეფის შეურაცხყოფისთვის, მეკობრეობისთვის. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში ქართული სამართალი მეტად ჰუმანური იყო. თამარის გამეფებისთანავე სახელმწიფომ სასჯელთა ჰუმანიზაციას მიმართა და სიკვდილით დასჯა თითქმის გააუქმა.

#### **42. მცირე ჯულისკანონის შედგენის დრო და შემადგენლობა (7)**

მცირე სჯულისკანონი 4 ნაწილისაგან შედგება:

- 1) მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების (ტრულის) კანონები
- 2) კანონნი შეცოდებულთანი იოანე მმარხველისა.
- 3) კანონნი დღითი-დღეთა ცდთომათანი.
- 4) ძეგლის წერა სარწმუნოებისაი.

ეს 4 ნაწილი წარმოადგენს კრებულს რომელიც ბერძნულიდან ქართულად თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა. ეს შეუსრულებია მამის სიკვდილის შემდეგ, შესაბამისად, დაწერილია 1005-1028 წლებში.

#### **43. დამასახიჩრებელი და მტკივნეული სასჯელები. (7)**

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოს სასჯელთა სისტემაში შედიოდა ისეთი სასჯელები, როგორცაა სხეულის დამაზიანებელი სასჯელები და ასოთმოკვეთა, მათ შორის დასაჭურისება, თვალის დაწვა, ენის მოჭრა, ხელისა თუ ფეხის მოჭრა. თამარის პერიოდში ძალზედ შეიზღუდა დამასახიჩრებელი სასჯელები, მაგრამ გამონაკლისის სახით ერთ დამნაშავეს მაინც დაბრმავება მიუსაჯეს.

#### **44. ქვრივის სამემკვიდრეო უფლებები. (7)**

კანონით მემკვიდრეთა წრეში შედიოდა ქვრივი. ალბულას მიხედვით თუ ქვრივი უშვილოა მხოლოდ თავისი მზითვევი რჩება, მამული კი ბატონს. ე.ი. ქვრივი მემკვიდრეა მაგრამ არა მამულისა. ქვრივი მამაკაცი მეუღლის ქონების მემკვიდრეა. თუ ახალი დაქორწინებულია და ისე გარდაეცვალა ცოლი ქმარს ცოლის მზითვევის მესამედი ერგება. ერთი წილი სულს ხმარდება ერთიც ქალის პატრონს ეძლევა. უშვილო ქვრივი, თუ ახალ ქმარს შემოიყვანს ოჯახში, მაშინ ხდება გარდაცვლილი ქმრის ქონებისა და მამულის სრული მემკვიდრე.

#### **45. დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინები. (7)**

დანაშაულის ცნების გამომხატველი ტერმინების შინაარსი გავარკვიოთ:

1. გარდასვლა – სჯულის, კანონისა და წესის დარღვევა.
2. გარდახდომა – იგივე რაც გარდასვლა ანუ "დარღვევა"

3. დათრგუნვა – ივ. ჯავახიშვილი მოსაზრებით-კანონის დარღვევა
4. „უდებედაი და უგულბელყოფაი საქმისაი“ – თანამდებობის პირის უმოქმედობას ნიშნავდა, რასაც მძიმე შედეგი ან დანაშაული მოჰყვებოდა
5. მიშვება – თანამდებობის პირი საშუალებას აძლევს ბოროტმოქმედებს ჩაიდინონ დანაშაული, ქართული შესატყვისია "მიმნებლებლობა"
6. „წინააღდგომა და დარღვევა კანონისაი“ – კანონის დარღვევა ფართო გაგებით, ზოგადად უკანონობა
7. ბრალი – სულხან-საბას განმარტებით ეს არის "მცირე რამ დანაშაული", ჯავახიშვილის აზრით კი-თითქმის იგივე, რაც ცოდვა
8. ცოდვა – ჯავახიშვილის აზრით, ეს ტერმინი სამართალდარღვევის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი სახეა, შეცოდება კი – დანაშაული
9. დანაშაული – ფიზიკური ან ზნეობრივი ზიანის მიყენება.

#### 46. მთხრობელის ინსტიტუტი. (7)

ეს ინსტიტუტი ცნობილია ქართული ძეგლების მიხედვით. მთხრობელი მოწმის ჩვენების ბუნების მატარებელია, თუმცა მოწმისგან რამდენადმე განსხვავდება. მთხრობელი ის პიროვნებაა, რომელსაც უშუალოდ აქვს ნაანახი დანაშაულის ფაქტი და იგი დამნაშავის მხილებელი ანუ დამსმენია. მთხრობელი, ჩვეულებრივი მოწმისგან განსხვავებით, დაზარალებულისთვის ცნობის მიწოდებისთვის იღებს ე.წ. "სამთხრობლოს" საზღაურის სახით. იგი სამთხრობლოს იმ შემთხვევაში მიიღებდა ტუკი საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. მთხრობელის ერთ-ერთი ფუნქცია ისიცაა, რომ მან უნდა დაამტკიცოს ბრალდებულის დანაშაულობა და თუ საჭიროა პირზეც დაადგეს ბრალდებულს. თუ მთხრობელი ტყუის და ის უბრალოდ ადებს ხელს პირს, იგი ისეთივე სასჯელით დაისჯება, როგორც დაისჯებოდა ბრალდებული პირი.



#### 47. უკანონოდ შობილთა მემკვიდრეობის უფლება. (7)

უკანონოდ შობილთა სამემკვიდრეო უფლებები, ანუ კანონიერი ქორწინების გარეშე დაბადებულთა მემკვიდრეობა ქართულ სამართალში იწოდებოდა, როგორც ნაბიჭვართა მემკვიდრეობა და სარგებლობენ უაღრესად შეზღუდული უფლებებით. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით ნაბიჭვართა წილი არ არის მამულში. მაგრამ სხვაგან გარკვეული შეღავათებია მისთვის. მაგალითად თუ ის ძმებს ეყმოდა, ძმებმა „ერთის ყმის ალაგს უნდა არჩინონ“. თუ ძმები დაიხოცებიან და ბუშის მეტი არავინ დარჩება, ბიძებმა მას ერთი ყმის მამულის ოდენი მიწა უნდა მისცენ. ასევე ედება მას წილი საქონელშიც. ბუშის მემკვიდრეობის საკითხის გადაწყვეტისას ითვალისწინებდნენ მის პიროვნულ თვისებებს, რამდენად გამრჯე იყო, რა მონაწილეობა აქვს მიღებული საოჯახო საქმეში და ა.შ. თუ დადებითი იყო ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები მაშინ ბუში ქონების გარეშე არ რჩებოდა.

#### 48. მეჭურჭლეთუხუცესის ფუნქციები. (7)

მეჭურჭლეთუხუცესი-ეს სახელო ერთ-ერთი უძველესი უნდა იყოს. ცნობები მასზე მე-11 საუკუნეზე ადრინდელ წყაროებში არ ჩანს, თუმცა სავარაუდებელია, რომ ადრინდელ მეფეებსაც ეყოლებოდათ ფინანსთა მინისტრის მსგავსი მოხელე. მეჭურჭლეთა უფროსი იყო. საჭურჭლე სახელმწიპო ხაზინას ერქვა. საჭურჭლეში ინახებოდა ყოველდღიურად სახმარი და სახარჯავი ქონება, სალაროში კი-ისეთი სიმდიდრე, რაც ყოველდღიურად გამოსაყენებელი არ იყო. მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდა მხოლოდ საჭურჭლე. იგი შედიოდა ვაზირთა მეორე ჯგუფში, რომელიც შედარებით ნაკლები პატივით სარგებლობდა მეჭურჭლეთუხუცესს, როგორც ვაზირს თავისი ბეჭედი ჰქონდა და ჰყავდა მოადგილეც- "მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი", ეს შეიძლება იგივე იყოს რაც "საჭურჭლის ნაცვალი". ამას გარდა მის სახელოში შედიოდნენ: მუშორიბი, საჭურჭლის მუქიფი და მეჭურჭლენი.

**49. ქართლის სახელმწიფოს წარმოშობა ლეონტი მროველისა და მოქცევაი ქართლისაის მიხედვით. (7)**

ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველები შთამომავლობით ბიბლიის მამათავრებს ენათესავებიან. თარგამოსის შვილის, ქართლოსის უფროსი შვილი მცხეთოსი დაემკვიდრა არმაზს და ააშენა ქალაქი. ქართლის პირველი მეფე, ლეონტი მროველის მიხედვით, იყო მცხეთის მამასახლისის სამარას ძმის შვილი, ფარნავაზი. სამარა თითქოს ალექსანდრე მაკედონელის შემოსევის დროს მოკლეს, დედამ კი ფარნავაზი მთებში გახიზნა. ალექსანდრე მაკედონელმა მმართველად აზონი დატოვა. ფარნავაზი, ეგრისის მთავრის, ქუჯის შეეკრა და გაერთიანებული ძალებით შეებრძოლა აზონს, სძლია მას და დამპყრობელ ბერძნებს. ფარნავაზმა განაწესა ერისთავები საქართველოში და დაუმორჩილა ისინი სპასპეტს. სულ იყო 8 საერისთავო და 1 საპასპეტო. მასვე მიეწერება ქართული დამწერლობის შექმნა, რაც დადასტურებული არაა.

რაც შეეხება „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორს, ის გადმოგვცემს თავის მოსაზრებებს, რომ ალექსანდრე მაკედონელს მეფე აზო დაუსვამს სამეფო ტახტზე ქართლში, მიუჩენია სამეფო რეზიდენციად ქალაქი მცხეთა და სამფლობელოდ მიუცია აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო. მის მტკიცებით, აზო იყო არიან ქათლის მეფის ძე. ამჟამად ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელი არ ყოფილა საქართველოში და არც მეფობის დაარსებასთან ჰქონია საქმე.

**50. საუფროსო ბაგრატიისა და ვახტანგის სამართლის წიგნების მიხედვით. (7)**

საუფროსო არის მემკვიდრეობაში დამატებითი წილი უფროსი შვილისთვის. საუფროსოს თანაბარი ტერმინი იყო სახუცესო, ეს ტერმინი უფრო ძველია. საუფროსო კარგად ჩანს ქართული სამართლის ძეგლებში. ტახტის მემკვიდრეობის წესში ბექას

სამართალში, ბაგრატიის სამართლის წიგნში აზნაურების გაყრისას და ა.შ. სახუცესო არის ერთი გლეხი, დიდებულთა გაყრისას 1 სოფელი, გლეხთა გაყრისას ერთი ვენახი. საუფროსოს არსებობა ქართული სამართალით უნდა აიხსნას იმით, რომ უფროსი წინაპართა კულტის სამსახურის მოთავეა, და შესაფერისი ხარჯები აწვებოდა მას. საუფროსო იყო ოჯახის მოთავეობის ტვირთის კონპენსაცია. ეს არ არის მხოლოდ ქართული მოვლენა. ვარაუდობენ რომ ქართლში ირანიდან შემოვიდა საუფროსო. ქართლში საუფროსო წინაპართა კულტის სამსახურის მოვალეობის შესრულებით უნდა აიხსნას.

## 51. ქართული სამართლის წყაროების კლასიფიკაცია. (7)

ქართულის სამართლის ძეგლების 2 ჯგუფი არსებობს:

საეკლესიო სამართლის ძეგლები

საერო სამართლის ძეგლები

პირველი იყოფა ორად: უცხოური( ექვთიმე მთაწმინდელის – მცირე სჯულის კანონი, არსენ იყალთოელი– დიდი სჯულის კანონი) და ადგილობრივი( რუის–ურბნისის ძეგლისწერა და კათალიკოსთა სამართალი)

მეორე ჯგუფი იყოფა ორად : სახელმწიფო სამართლის ძეგლები( ხელმწიფის კარის გარიგება, ვახტანგს მეექვსის დასტურლამალი) და სისხლისა და სამოქალაქო( ბაგრატიის სამართლის წიგნის ფრაგმენტი, ბექა–აღბუღას სამართლის წიგნი, გიორგი მეხუთის ძეგლისდება, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებული)

## 52. მანდატურთუხუცესის ფუნქციები. (7)

სახელწოდება მანდატურთუხუცესი ორის ნაწილისაგან შედგება.

სიტყვა-სიტყვით ის მანდატურების უფროსს ნიშნავს.

მანდატურთუხუცესი ვაზირია და იგი ვაზირთა პირველ სამეულს

ეკუთვნის. მანდატურები გამოდიოდნენ მეფის მცველების როლში. მაგ: სავაზიროს სხდომის დროს მანდატურები იმ შენობის გარშემო იდგნენ წესრიგის დასაცავად, სადაც სხდომა მიმდინარეობდა. სამოხელეო გასამრჯელოდან მანდატურსაც ეკუთვნოდა ნაწილი. ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით მანდატური ატარებდა არგანს. არგანი კიდევ ჯოხს ნიშნავს. არგანი როგორც ჩანს მანდატურის სამოხელეო ნიშანი იყო. მანდატურთუხუცესის სამოხელეო ნიშანი კიდევ ოქროს არგანი იყო. დღევანდელი შეხედულებით მანდატურთუხუცესი საპოლიციო უწყების ხელმძღვანელად მოჩანს. ეს უწყება შსს-ს უდრიდა. მანდატურთუხუცესი აგრეთვე ხელმძღვანელობს დარბაზობის განაწესის შესრულებას. მანდატურთუხუცესის ხელმძღვანელობით იწყებოდა დარბაზის მონაწილეთა მოწვევა. მანდატურთუხუცესი მეფის ვენახების სამუშაოების საქმეებსაც განაგებდა. მის მოადგილედ ამირეჯიბი ითვლებოდა. როგორც მეფესთან დაახლოებულ პირს ამირეჯიბს ყოველთვის შეეძლო მეფესთან მისვლა. დარბაზობაში ამირეჯიბი მონაწილეობდა როგორც მანდატურთუხუცესის თანაშემწე. ამირეჯიბი იყო ერთ-ერთი იმ სამი მოხელეთაგანი რომელიც სავაზიროს სხდომას ესწრებოდა. მას სათათბირო ხმის უფლება ჰქონდა. ამირეჯიბს ეკუთვნოდა პირადი მხლებელი ადიუტანტი. მას ემორჩილებოდნენ ეჯიბი და სხვა მოხელეები. მანდატურთუხუცესს ემორჩილებოდნენ აგრეთვე გამგეთუხუცესი, მესტუმრე და სხვ.

### **53. ფიცი როგორც მტკიცებულება. (7)**

ფიცი, როგორც სასამართლო მტკიცებულება, თითქმის ყველა ხალხის სამართალწარმოებისთვისაა ცნობილი უძველესი პერიოდებიდან გვიან შუასაუკუნეებამდე. ფიცს ვხდებით ქართული სამართლის არაერთ ძეგლში. ვახტანგის სამართლის წიგნი ფიცს პირველხარისცხოვან მტკიცებულებად აღიარებს, თუმცა მოუწოდებს მოსამართლეებს მოერიოდონ ფიცით საქმეების გადაწყვეტას. ფიცს მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ, როცა არ იყო სხვა მტკიცებულება ან

ბრალდება საექვოდ მიაჩნდათ. ფიცი ძირითადად ეკისრებოდა მოპასუხეს, ბრალდებულს, ქონებაზე დავისას, კი იმ მხარეს, ვინც ფაქტობრივად ფლობდა სადავო ქონებას. "ფიცის დადება" ხორციელდებოდა განსაზღვრული რიტუალით. ფიცის ფორმულის შინაარსი საქმის არსიდან გამომდინარეობდა. უმეტესად ფიცის დროს იფიცებოდნენ ოჯახის წევრებს, მშობლებს, ჩამომავლობას. ხალხის რწმენით, ტყუილად დამფიცებელს და მის ახლობლებს ღვთის საშინელი რისხვა დაატყდებოდა თავს. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, ფიცი არ შეიძლებოდა დაკისრებოდა ჭკუასუსტს, უასაკოსა და ფიცის ურწმუნოს. ასევე გამორიცხულია ქალის ფიცი, მის ნაცვალდ უნდა დაეფიცა ახლობელ მამაკაცს-ძმა, შვილი, სიძე. ცრუ ფიცი უდიდესი დანაშაული იყო. პროცესში მონაწილე მხარე იშვიათად იფიცებოდა მარტო, ხშირად მასთან ერთად უნდა დაეფიცა სხვასაც-თანამოფიცარს. თანამოფიცარი ძირითადად მოფიცარის კეთილსინდისიერებაზე იფიცებს. თანამოფიცარი ორგვარია: "შეგდებული" ანუ "დასახელებული" და "შეუგდებელი" ანუ "დაუსახელებელი". "შეგდებული" ნიშნავს, რომ მას ასახელებს ბრალმდებელი, "შეუგდებელს" კი თავად ბრალდებული ირჩევს.

#### 54. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები. (7)

ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1) ქორწინების აბსოლუტური ანუ გამომრიცხავი გარემოებები და 2) ქორწინების შეფარდებითი ანუ ხელისშემშლელი გარემოებები. პირველს მიეკუთვნება: სქესობრივი მოუმწიფებლობა ანუ უასაკობა, მექროწინე მხარეთა შორის თანხმობის არარსებობა, სისხლით ნათესაობა, ქორწინებაში ყოფნა და სულით ავადმყოფობა. მეორეს კი-ნათესაობა, წოდებრიობა ანუ სოციალური უთანასწორობა, ტერიტორიული პრინციპი ანუ ერთ ტერიტორიაზე ცხოვრება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ თვლიან ქორწინებას მიზანშეწონილად მორალის თვალსაზრისით.

## 55. ორდალები (7)

ორდალები ქართული სამართალწარმოებისთვის ცნობილია მეჩვიდმეტე–მეთვრამეტე საუკუნეების ისტორიული თუ სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების მიხედვით. მათში ძირითადად სახმი სახის ორდალი ჩანს: მდულარე, შანთი და ხმალში გატანება ანუ სასამართლო ორთაბრძოლა. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, შანთი და მდულარე ერთი და იგივეა. მდულარეს რიტუალი: საჯარო ადგილზე ქვაბში აადულებენ წყალს, შიგ რკინის ან სპილენძის ჯვარს ჩაჰკიდებენ ძაფით. წლის ადულებისთანავე ქვაბს გადმოსდგამენ და ბრალდებულმა ხელი უნდა ჩაყოს და ამოიღოს ჯვარი. შემდეგ უმაღ პარკში ჩაუდებენ ხელს და დაუბეჭდავენ. მესამე დღეს გაუხსნიან და თუ არ ექნება დამწვარი ხელი, ესე იგი გაამართლებენ. იგივე სამართლებრივი შედეგი ჰქონდა შანთს.

რაც შეეხება ხმალში გატანებას (სასამართლო ორთაბრძოლა). იგი მეფის ღალატისას, სალაროს გატეხვისას გამოიყენებოდა. სასამართლო დუელში მონაწილეობას იღებდნენ ბრალდებული და მბრალდებელი. ისინი მოედნის თავსა და ბოლოში უნდა დამდგარიყვნენ შეიარაღებულები. ცხენებით უნდა გამოქანებულიყვნენ და შუბით ჩამოეგდოთ ერთმანეთი ცხენიდან. არ შეიძლებოდა მოწინააღმდეგის მოკვლა.

## 56. ქალის მემკვიდრეობის უფლება. (7)

ქართული სამართალი არეგულირებს ქალიშვილების სამემკვიდრეო საკითხებსაც. მართალი ქალიშვილიც მემკვიდრედ იცნობა მაგრამ სამართალი მას ვაჟიშვილთან არ ათანაბრებს. გაუთხოვარი ქალიშვილიც მემკვიდრე გამოდის. გათხოვილ ქალს კიდევ მემკვიდრეობა არ ეძლევა. მისი სამემკვიდრეო უფლებები მზითევით შემოიფარგლებოდა. თუ ქალს ძმები არ ჰყავს და მოყვანილი ჰყავს

მეუღლე ზედსიძედ, ის მამის ქონების სრული მემკვიდრე ხდებოდა.

### 57. განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლო. (7)

პროფესორი ივ.სურგულაძე განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლოს უწოდებს ისეთ სასამართლო შემადგენლობას, რომელსაც მეფე ნიშნავდა კონკრეტული, ერთი რომელიმე საქმის გასარჩევად. ამ საქმის გარჩევის შემდეგ სასამართლო იშლებოდა. იგი განსაკუთრებული იყო იმით, რომ მას არ ჰქონდა სასამართლო ფუნქციები. ასეთი სასამართლოს თავისებურება ისაა, რომ მასში მეფე არ მონაწილეობდა. იგი რამდენიმე კაცისგან შედგებოდა, ან მრავალრიცხოვანი იყო. მასში შედიოდნენ როგორც საერო, ისე საეკლესიო პირები. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი სასამართლოს დანიშვნა შეეძლო ყველა იმ პირს, რომელსაც უფლება ჰქონდა, სხვა პირისთვის დაევალებინა საქმეების განხილვა.

### 58. საეკლესიო სასჯელები. (7)

საეკლესიო სასჯელები ძირითადად რელიგიური დანიშნულებისათვის ინიშნებოდა. ეკლესია მკაცრად ებრძოდა ქონებრივ დანაშაულებებსაც, მაგალიტად, ქურდობასა და მკვლელობას. იოანე მმარხველი ჩამოთვლის ძირითად დანაშაულებებს, რისთვისაც ინიშნებოდა საეკლესიო სასჯელები: მრუშობა, მამათმავლობა, უსაკოთა გახრწნა, პირუტყვთმავლობა, კაცის კვლა, სისხლის აღრევა. საეკლესიო სასჯელი იყო დაკრულვა, მაგრამ მას თან ახლდა საერო სასჯელებიც. ეკლესია ამ სასჯელს იყენებდა სქესობრივი და ზნეობრივი დანაშაულებისთვის, მკრეხელობისთვისა და მკვლელობისთვის. აგრეთვე აღსანიშნავია უზიარებლობა 7, 10 ან 20 წელი-განზრახ მკვლელობისათვის, მრუშობისათვის, სისხლის აღრევისათვის. ასევე განდევნა ან მონასტრიდან მოკვეთა, რომლებიც გამოიყენებოდა მონასტრის წესების სერიოზული დარღვევისათვის. საეკლესიო წყაროებში

დასახელებულია სასჯელთა ისეთი სახეებიც, როგორებიცაა: სისხლი, მისაგებელი, პატიჟი, მტანჯველობა. ხშირად გამოიყენებოდა ცემა და წამება.

## 59. მემკვიდრეობის წესი ბასილ ზარზმელის მიხედვით (7)

თხზულების მიხედვით ქონების გადაცემის ორი წესი არსებობდა: „მსოფლიო წესი“ და ანდერძით საკუთრების გადაცემა. ბასილ ზარზმელს გამოთქმული აქვს შეხედულება მემკვიდრეობის უფლების შესახებ, კერძოდ კი ქალის მემკვიდრეობაზე. გიორგი ჩორჩანელმა, რადგანაც მას ცოლ-შვილი დაეხოცა, ანდერძით ქონების ნაწილი ეკლესია-მონასტრებს დანარჩენი კი დის შვილებს, კერძოდ სამ ძმას დაუტოვა. გიორგის დას კიდევ ჰყავდა ქალიშვილი, რომლის ქმარმაც ქონებიდან წილი მოითხოვა. ამის გამო, ცოლიძმამ სიძე მოკლა, რამაც არეულობა და ქაოსი გამოიწვია. ამ საკითხს ბოლო მოუგო გიორგი მაწყვერელმა. ბასილ ზარზმელის სიძის პრეტენზიას „მძლავრობას“ უწოდებს. მისი აზრით, გათხოვილ ქალს მამის ქონებაზე ხელი არ მიუწვდება. ქართული სამართლის მიხედვით, ქალს ოჯახში წილი მხოლოდ გათხოვებამდე ჰქონდა. გიორგი ჩორჩანელმაც ანდერძი სწორედ იმიტომ დაწერა, რომ გათხოვილ ქალს მამის ქონებიდან წილი არ ერგებოდა და ამიტომ მის დას ქონება არ შეხვდებოდა.

## 60. ნივთის აღმნიშვნელი ტერმინები. (7)

ნივთის აღმნიშვნელი ტერმინი რომაულ სამართალში იყო res. ნივთის აღმნიშვნელად ძველ ქართულ სამართალში გამოიყენებოდა ტერმინი „სახმარი“-როგორც უძრავი ასევე მოძრავი ნივთების შემთხვევაში. რაც შეეხება „უხმარს“-დროებით გამოუყენებელ ნივთს ნიშნავდა. „ჭურჭელი“-მოძრავ უსულო საკუთრებისა და ქონების აღმნიშვნელი ტერმინი იყო. აღნიშნავდა ყოველგვარ ავეჯს, იარაღს, განძეულს. გარდა ამისა გამოიყენებოდა შემდეგი ტერმინებიც: მამული ანუ მიწა,



აგარაკი, დედული, მონაგები (ქონება), სახმარნი, ჯორები და კარაულები. გამოიყენებოდა აგრეთვე ტერმინი „საქონელი“ რომელიც ქონებას აღნიშნავდა. გარდა ამისა ხშირად გვხვდება თვითონ ტერმინი ნივთიც, რომელიც რომანულ res შეგვიძლია შევადაროთ. (ზოგადი მნიშვნელობით ნივთი).

## **61. ქართლის მმართველობა ევსტათი მცხეთელის მარტვილობის მიხედვით. (7)**

„ევსტატი მცხეთელის მარტვილობა“ დაწერილია მე-6 საუკუნის შუა ხანებში. ამ პერიოდში ქართლში ეროვნული მთავრობა გაუქმებულია და ქართლს სპარსეთის მოხელე მარზპანი განაგებს. მიუხედავად ამისა, მეფობის გაუქმების შედეგაც სპარსეთის ხელისუფლებას ქართლის სამეფოს მოხელეობა არ მოუსპია. ქართლის დიდი მოხელეები- კათალიკოსი (საეკლესიო მმართველობის მესაჭე), პიტიახში, მამასახლისი, სეფეწულები-სახელმწიფოებრივ მმართველობაში იღებდნენ მონაწილეობას. გვხვდება აგრეთვე ციხისთავიც, რომელიც აკავებს ქრისტიანებს, თუმცა მას არ ჰქონდა უფლება მათი საქმის გარჩევის და ისინი მარზპანს მიჰგვარა. სიკვდილის განაჩენის გამოტანაც მხოლოდ მარზპანის პრეროგატივა იყო.

## **62. საკარგავი და აგარაკი (7)**

დროებით მიწათსარგებლობის სახეს წარმოადგენდა საკარგავი, რომელიც მამულს უპირისპირდება და შეესაბამება ბენიფიციუმს. საკარგავი 8-10 საუკუნეებიდან არსებობდა. განსაკუთრებით გავრცელდა გვიანფეოდალურ საქართველოში. მეფის ხელისუფლების გაძლიერების მიზნით მეფე უხვად აძლევდა ერთგულ მსახურთ მიწას და აქცევდა მათ მოსაკარგავად. თავის მნიშვნელობას კარგავს მე12 საუკუნიდან. საკარგავი მიწათმფლობელობის მნიშვნელობით აღარ გამოიყენება.

რაც შეეხება აგარაკს, ეს არის მიწის ნაკვეთი, რომელიც კერძო პირის მფლობელობაშია. მოაგარაკეს მისი თავისუფლად გაყიდვა-გასხვისება შეეძლო. აგარაკით უშუალოდ სარგებლობდა მოაგარაკე. აგარაკი შეიძლებოდა დასახლებულიც და დაუსახლებელიც ყოფილიყო, ანუ საყანე და ასევე სხვა სახის სამეურნეო მიწის ნაკვეთი.

### 63. გამაწბილებელი სასჯელები (7)

გაპარსვა, თავზე ლაფის დასხმა, გამიშვლება, ვირზე შესმა, ყელზე საბელის მობმა და ტიტველი სოფელში შემოტარება. ზოგჯერ ასეთ სასჯელებს ასოთდამაზიანებელი სასჯელებიც კი მიკუთვნებოდა. ყველა ასეთი სასჯელის მიზანი დამნაშავეს პიროვნების დამცირება და ზნეობრივი ტანჯვის მიყენება იყო.

### 64. დიკასტერიის სასამართლო ფუნქციები (7)

დიკასტერიას მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ვხვდებით, უფრო ზუსტად კი, მ. კეკელიას მიხედვით, იგი მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოქმედებდა. იგი დაარსა ანტონ პირველმა რუსეთიდან დაბრუნების შემდგომ. იგი საეკლესიო მმართველობის ორგანო იყო და მხოლოდ სასამართლო ფუნქციებს არ ასრულებდა. დიკასტერია კათალიკოსს ექვემდებარებოდა და მისი სახელით იღებდა გადაწყვეტილებებსაც. კათალიკოსი იშვიათად მონაწილეობდა დიკასტერიაში, თუმცა ამტკიცებდა მის გადაწყვეტილებასა თუ განაჩენს. დიკასტერია განიხილავდა სასულიერო ხასიათის დავებს, სასულიერო პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს, უკანონო ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებს, ყოფით დავებს ოჯახის წევრებს შორის, შვილად აყვანისა და ქორწინების საკითხებს, უკანონი ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებს და სხვა. საჩივარი იწერებოდა დიკასტერიის სახელზე, თუმცა იყო შემთხვევებიც, როდესაც მეფე, დედოფალი, ბატონიშვილი

ავალეზდა დიკასტერიას ამა თუ იმ საქმის გახილვას. საქმეები განიხილებოდა კათალიკოსის რეზიდენციაში. საქმეს იხილავდა 3–5 წევრი. დიკასტერიას თავმჯდომარეობდა დამსწრეთაგან ყველაზე უფრო მაღალი რანგის სასულიერო პირი.

## 65. თავისუფლების აღკვეთა (7)

ეს არის მონღოლთა შემოსევამდე არსებული სასჯელი. ამ სასჯელზე მწირი ცნობები გვაქვს. ამ სასჯელმა, შეიძლება ითქვას, რომ სხეულის დამაზიანებელი სასჯელების ადგილი დაიკავა. თავისუფლების აღკვეთის სამი დაწესებულება არსებობდა (სულხან–საბა ორბელიანის განმარტებით): დილეგი – საპყრობილის სახე, სადაც ბორკილებიანი პატიმრები არიან, საკანი– საპყრობილის ქვედა სართული, ბნელი ადგილი, საპატიმრო– საპყრობილე, სადაც დაკავებული უჯაჭვოდ იმყოფებდა. გარდა ამისა, თავისუფლების აღკვეთის შესახებ მიგვითითებენ ქართული ისტორიული წყაროები, რომლის თანახმადაც არსებობდა ციხესა და საპყრობილესა "შეყენებაც."

## 66. სასამართლოს პირვანდელი ფორმები (7)

სამართალწარმოება სათავეს იღებს ჯერ კიდევ წინასახელმწიფოებრივ ეპოქაში. სასამართლოების უძველესი ფორმა სამედიატორო სასამართლო იყო. ასეთი სასამართლო მოქმედებდა გვაროვნული წყობილების პერიოდში. გვარში წარმოშობილ კონფლიქტებს გვარის უფროსი წყვეტდა. ხოლო გვარებს შორის უთანხმოების მოსაგვარებლად მედიატორებს მიმართავდნენ. სამედიატორო სასამართლოს ძირითადი დანიშნულება იყო მხარეთა მშვიდობიანი მორიგება. გარდა სამედიატორო სასამართლოებისა, სასამართლო საქმეებს იხილავდნენ სახალხო კრებები. სამართალწარმოება მათი უმთავრესი ფუნქცია არ იყო, მაგრამ მათ შორის სადავო საკითხებსაც იხილავდნენ. სასამართლო ფუნქციები ასევე გააჩნდათ უმაღლესი ადმინისტრაციული უფლების მქონე პირებს, მათ შორის უმაღლეს

სამხედრო მთავარსარდალს. ის სამხედრო საქმესა და მართლმსაჯულებას ახორციელებდა. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში საქართველოს სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა ორ მთავარ სასამართლო უწყებას ექვემდებარებოდა: სამეფო სასამართლო და საკათალიკოსო სასამართლო. ეს უკანასკნელი ეკლესიის საქმეში შემავალ პირთა საქმეებს იხილავდა. ამ პერიოდში უზენაეს მართლმსაჯულებას მეფე ახორციელებდა. ამას „სამართალი სამეუფეო“ ეწოდებოდა. მეფე რთულ და გახმაურებულ საქმეებს იხილავდა. არსებობდა აგრეთვე სპეციალური სასამართლო დაწესებულებები, რომლებიც საქმეებს იხილავდნენ, ესენია: სააჯო კარი, საბჭო, სამსჯავრო სახლი. სააჯო კარს სათავეში მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი ედგა. ის ორშაბათობით ედგა სათავეში სააჯო კარს. მას ეხმარებოდა ორი მწიგნობარი, ზარდახანისა და საწოლის. მართლმსაჯულების ფუნქციები ჰყონდა დარბაზსაც. არსებობდა აგრეთვე სპეციალური სასამართლოებიც- მპარავთმძებნელთა. მპარავთმძებნელის ფუნქცია ქურდების ძებნა იყო, მას ეხლამრებოდნენ მოხელეები, ჩენილები. არსებობდა წოდებრიობაზე აგებული სასამართლოები და ფეოდალთა სასამართლოები. გაერთიანებულ საფეოდალო საქართველოში არსებობდა შემდეგნაირი სასამართლო სისტემა: 1) უმაღლესი მოსამართლე იყო მეფე, 2) სასამართლო ფუნქციები გააყენდა დარბაზს, 3) სააჯო კარი, 4) საკათალიკოსო სასამართლო, 5) სამპარავთმძებნელო სასამართლო, 6) წოდებრივი სასამართლო, 7) ფეოდალთა სასამართლოები.

## 67. სააჯო კარი (7)

სააჯო კარი უმაღლესი ინსტანციის სასამართლო დაწესებულება იყო, რომელსაც სათავეში ედგა მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი. სააჯო კარში საქმეებს არა ერთპიროვნულად, არამედ კოლექციურად განიხილავდნენ. მწიგნობართუხუცესს ეხმარებოდნენ საწოლისა და ზარდახანის მწიგნობრები. ისინი იკრიბებოდნენ ორშაბათობით, სხვა კვირის დღეებში სააჯო კარს სხვა მოსამართლეები

ხელმძღვანელობდნენ.

## **68. საკუთრების უფლების შეწყვეტის საფუძვლები. (7)**

ქართული სამართალი იცნობდა საკუთრების შეწყვეტის შემდეგ პირობებს:

- ა) სათანადო დაწესებულებაში საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთის წარუდგენლობა;
  - ბ) თუ საბუთი არ იყო სრულფასოვანი ან ჰქონდა ფორმალური ნაკლი;
  - გ) მესაკუთრის ან მფლობელის გარდაცვალება და მემკვიდრეთა არარსებობა;
  - დ) ხანდაზმულობის ვადის გასვლა. მაგალითად, თუ მესაკუთრე 30 წლის მანძილზე არ სარგებლობდა თავისი უფლებით და არ ეპატრონებოდა თავის ქონებას და მას სხვა გარეშე პირი დაეპატრონა კეთილსინდისიერად.
  - ე) თუ მესაკუთრე არ ღვევდა იმ პირობებს, რაც დადებული იყო ადრინდელ მესაკუთრესა ან მქონებელთან.
- ქართული სამართლის მიხედვით, დოკუმენტების შედგენის ფორმალურ მხარეს დიდი ყურადღება ენიჭებოდა. ზუსტად უნდა ყოფილიყო მითითებული მხარეების ვინაობა, მათი უფლება-მოვალეობები, საკუთრების რაობა, ნიშან თვისებები, ზომა, წონა. უნდა ყოფილიყო მითითებული მოწმეები და მხარეთა ხელმოწერები. საბუთის შემდგენის ვინაობაც მითითებული უნდა ყოფილიყო.

## **69. მწიგნობართუხუცესის უფლება-მოვალეობები ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით. (7)**

მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდიდელი პირველი ვაზირი იყო. სიტყვა სიტყვით იგი მწიგნობართა უფროსს ნიშნავს, მწიგნობარი კი - მდივანს, მწერალს. მწიგნობარი აგდენს საქმიან ქაღალდებს, ასრულებს სხვადასხვა დავალებებს. სამეფო კარზე სულ 26 მწიგნობარი იყო, მათგან კი გამოირჩეოდნენ საწოლისა და ზარდახნის

მწიგნობრები. საწოლის მწიგნობარი ვაზირობის დროს მწიგნობართუხუცესის გვერდით იდგა საწერით ხელში და მის განკარგულებებს ასრულებდა. მწიგნობარი ასევე თან ახლდა მწიგნობართუხუცესს სააჯო კარში და ზარდახნის მწიგნობართან ერთად ეხმარებოდა საქმეების განხილვაში. მოგვიანებით, დავით აღმაშენებელმა მწიგნობარის სახელოს მიუერთა ჭყონდიდელის თანამდებობაც. ამ დონისძიებით მეფემ ეკლესია დაუმორჩილა მეფის ხელისუფლებას. ამასთან, ჭყონდიდელი ანუ ჭყონდიდის ეპისკოპოსი, როგორც მონაზონი და ე.ი. უცოლშვილო იყო და არ აინტერესებდა ქონება. ეს გარემოება კი უფრო საიმედოს ხდიდა ჭყონდიდელის პიროვნებას. იგი მართლაც მეფის ხელისუფლების გაძლიერებას უწყობდა ხელს. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მეფის შემდეგ პირველი კაცი იყო, მას არ ებარა ერთი რომელიმე კონკრეტული სფერო, იგი ყველა დარგს უწყევდა ზედამხედველობას. იგი ესწრებოდა დარბაზობასაც 4 საპატიო მონაზონთან ერთად. დღევანდელი სიტყვით იგი პრემიერ-მინისტრი იყო, კანცლერი. ის, როგორც სავაზიროს უფროსი, სამხედრო საქმეებსაც უწყევდა ზედამხედველობას.

## **70. დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები. (7)**

ბრალის დამამძიმებელი გარემოება იყო მეორედ ჩადენილი დანაშაული. აგრეთვე თუ ცოდვის მოყვარე იყო ადამიანი. დამამძიმებელია გარემოებაა ნათესავისადმი ჩადენილი დანაშაული, მკვლელობა, დაჭრა. დამამძიმებელი გარემოებაა დანაშაულის ჩადენა საპატიჟო ადგილას. ჩამდენს ორივე თვალს ამოსთხრიდნენ და ხელ–ფეხს აჭრიდნენ. აგრეთვე დამამძიმებელი იყო თანამდებობის პირთა მოურიდებლობა.

## **71. სამეფო საბჭოს შემადგენლობა და ფუნქციები (7)**

დარბაზი-ეს არის ის ორგანო, რომლის საშუალებითაც მეფე და

ფეოდალები სამეფოს განაგებდნენ. იგი ზღუდავდა და გასაქანს არ აძლევდა მეფეს. დარბაზში შედიოდნენ მსხვილი მოხელეები: ვაზირები, ერისთავები, ეპისკოპოსები. მასში შედიოდნენ "უხელონიც", ანუ ისეთი პირები, რომელთაც არ გააჩნდათ თანამდებობა. ასეთები კი მსხვილი ფეოდალები შეიძლება, რომ ყოფილიყვნენ. დარბაზს იწვევდნენ დროდადრო, საგანგებო შემთხვევის ან დღესასწაულებთან დაკავშირებით. დარბაზის მოწვევის ორი წესი არსებობდა: დიდი და პატარა. პატარა დარბაზის მოწვევა ხდებოდა სასწრაფო საკითხების მოსაგვარებლად.

## 72. თანამონაწილეობა (7)

ქართული სამართალი იცნობს ისეთ დანაშაულებს, რომლებშიც რამდენიმე პირი მონაწილეობდა. ასეთ დანაშაულს „ორკერძოვე დანაშაული“ ეწოდებოდა. იმ პირს, ვისაც ჰქონდა ბოროტი განზრახვა, „განზრახი“ ეწოდებოდა, ხოლო ბოროტმოქმედთა მოლაპარაკებას „შეზრახება“. თუ პირი მოგვიანებით შეუერთდებოდა თანამზრახველებს, მას „თანამოწმე“ ეწოდებოდა. ბოროტმოქმედების განხორციელების მონაწილეს „მეშუელი“ ეწოდებოდა. აგრეთვე არსებობდა თანადგომისა და დახმარების აღმნიშვნელი ტერმინებიც:

„თანაშემწე“ – თანამოქმედი;

„ძალისმცემელი“ – არ იყო ბოროტმოქმედების მონაწილე, მაგრამ მის განსახორციელებლად რაღაც საშუალებებს აძლევდა;

„შინათგამცემელი“ – ბოროტმოქმედებს ეხმარებოდა შინაური საიდუმლოს გამჟღავნებით.

## 73. ამირსპასალარის უფლება-მოვალეობები და მისი ხელქვეითი მოხელეები (7)

ამირსპასალარი სამხედრო დარგის ხელმძღვანელი იყო სახელმწიფო მმართველობაში. ვაზირობის დროს პირველი სიტყვა ამირსპასალარს

ეკუთვნოდა, თუ საკითხი სამხედრო საქმეს შეეხებოდა. ამირსპასალარი საპატრიო ვეზირი იყო, მას ჰქონდა ქვეყნის გაცემის განსაკუთრებული უფლება. ეს ნიშნავდა მიწითა და გლეხებით ვინმეს დაჯილდოვებას მეფის მიერ. რატომ შეიძლებოდა რომ ეს უფლება ამირსპასალარს ჰქონოდა? სამხედრო შინაარსის სახელმწიფო გადასახადები-სალაშქრო, მიწისა და გლეხების მფლობელობასთან იყო დაკავშირებული. ამირსპასალარი საქმის კურსში უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მიერ მიწების წყალობის სახით გადაცემის შესახებ. ლაშქრობა თუ გამარჯვებით დამთავრდებოდა, ომში წარჩინებული მონაწილეები უნდა დაეჯილდოვებინათ და ეს საქმე ამირსპასალარის გარეშე არ უნდა მომხდარიყო. რადგან სწორედ მან იცოდა ომის მონაწილეთა საქმიანობა ყველაზე კარგად. ამირსპასალარი ქვეყანაში მსხვილი და პირველი ფეოდალთაგანი იყო. პატივით ამირსპასალარი ვაზირთა პირველ სამეულს მიეკუთვნებოდა და იგი ძველში ათაბაგის შემდეგ არის მოხსენებული. ამირსპასალარის მოადგილე იყო ამილახორი. იგი პატივით გათანაბრებული იყო მეჭურჭლეთუხუცესთან და მსახურთუხუცესთან. ის სავეზიროს სხდომას ესწრებოდა, მაგრამ მხოლოდ სათათბირო ხმა ჰქონდა. ჯარი რომელსაც ამირსპასალარი მეთაურობდა შედგებოდა ქვეითისა და ცხენოსნებისაგან. ამილახორის საქმიანობა ძირითადად ცხენოსანი ლაშქრისა და მასთან დაქვემდებარებულ საკითხებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამირსპასალარის სახელოში ამილახორის გარდა შედიოდნენ აგრეთვე მებაჯრეთუხუცესი და ზარდახანისუხუცესი, მათდამი დაქვემდებარებული მოხელეებით. 6 ვაზირის გარდა კიდევ იყო სამი თანამდებობის პირი, რომლებიც სპასპეტებად იწოდებოდნენ: ჩუხჩარხი, მეჯინიბეთუხუცესი და ამილახორი. კორონაციისას ჩუხჩარხი მეფის უკან მიდიოდა, როგორც მისი დაცვის უფროსი.

#### 74. ათაბაგის უფლება-მოვალეობები (7)

ათაბაგი-იხსენიება მწიგნობართუხუცესის შემდეგ და მას პატივი მიხედვით თანასწორი ადგილი უკავია ამირსპასალართან და



მანდატურუხუცესთან. იგი ვაზირების პირველ სამეულში შედის. პირველი ათაბაგი საქართველოში ივანე მხარგრძელი იყო, როცა მისი ძმა ზაქარია გარდაიცვალა თამარმა ამირსპასალარობა ივანს უბოძა, მან კი ამის ნაცვლად ათაბაგობა მოითხოვა 1212 წელს. ათაბაგობა სელჯუკიანთა სამეფოში იყო გავრცელებული და იგი ტახტისმეურვედ ითვლებოდა. ათაბაგობა საქართველოში შემოდებულ იქნა მხსვილი ფეოდალების მეფის ხელისუფლებაზე გამარჯვების შემდეგ. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით მეფის მემკვიდრის აღზრდა მეფის შემდეგ პირველ პირს ანუ მწიგნობართუხუცესს ეკუთვნოდა, ათაბაგი იმთავითვე დაუპირისპირდა მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელს და დაიწყო მათ შორის ბრძოლა პირველობისთვის. ათაბაგობა ხშირად შეთავსებული იყო ამირსპასალარის სახელოსთან.

## **75. სისხლის სამართლის საკითხები ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში. (7)**

მეექვსე საუკუნეში საქართველოში განსაკუთრებული ხანაა. ქართლში გაუქმებულია მეფობა და ქართლს მართავს სპარსეთის მოხელე მარზპანი. მიუხედავად ამისა, ქართლის დიდი მოხელეები (კათალიკოსი, პიტიახში, მამასახლისი) სახელმწიფოებრივ მმართველობაში იღებენ მონაწილეობას.

მართალია სპარსეთმა ხელი აიღო ქრისტიანობის დევნაზე, მაგრამ იმას არ უშვებდა, რომ სპარსი ქრისტიანების მხარეს გადასულიყო. როგორც ეს ევსტათი მცხეთელის შემთხვევაში მოხდა. როგორც ვიცით, ის სპარსი მოგვი იყო, წარმართი მამის შვილი და თვითონაც წარმართი, რომელმაც უარყო თავისი სჯული და ქრისტიანი გახდა. იგი მარზპანს წარუდგინეს, რადგან ასეთი საქმეების (სპარსის გაქრისტიანების) გადაწყვეტა მხოლოდ მას შეეძლო.

როცა ევსტათი და სხვა ქრისტიანები, რიცხვით რვა, მარზპანს წარუდგინეს, მან გასცა განკარგულება მათთვის თავი და წვერი მოეპარსათ, ცხვირი გაეხვრიტათ, კისერზე ჯაჭვი გამოეხათ, ფეხზე ბორკილები დაედოთ და საპყრობილეში ჩაესვათ. ამასთან მარზპანის

ბრძანებით, ვინც საპყრობილეში აზრს არ შეიცვლიდა და არ აღიარებდა მამაპაპეულ რჯულს, სიკვდილით უნდა დაესაჯათ. ორმა მათგანმა აღიარა მამაპაპეული სარწმუნოება და მარზპანმა ისინი დაასაჩუქრა და გაათავისუფლა. სიკვდილით დაისაჯა ევსტათე, რადგან მან ქრისტიანობა აღიარა.

## 76. ტახტის მემკვიდრეობის წესი ვეფხისტყაოსნის მიხედვით (7)

საყურადღებო იდეაა გატარებული „ვეფხისტყაოსანში“ ტახტის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. ნაწარმოებში საერთოდ ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე კი არ არის საუბარი, არამედ მაღალი წრის ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე. იმ დროისთვის ეს იდეა პროგრესული იყო. საქართველოში ისტორიაში მხოლოდ ორი შემთხვევა იყო, როცა სამეფო ტახტზე ქალი ავიდა: თამარი და რუსუდანი. ანალოგიური შემთხვევა არის „ვეფხისტყაოსანში“. ინდოეთის მერეფარსადანს არ ჰყავს შვილი. იგი შემოიერთებს ინდოეთის ერთ–ერთ სამეფოს, ხოლო შემოერთებული ყოფილი სამეფოს მეფის სარიდანის შვილს ტარიელს მემკვიდრედ გამოაცხადებს. მოგვიანებით ფარსადანს ქალიშვილი ნესტანი გაუჩნდება და უარს ეტყვის ტარიელს მემკვიდრეობაზე. აგრეთვე არაბეთის მეფე როსტევანსაც არ ჰყავდა მემკვიდრე ვაჟი. მან თავისი ერთადერთი ქალი თინათინი აიყვანა ტახტზე. ორივე შემთხვევაში დამტკიცდა, რომ ქალის მეფობა იყო შესაძლებელი.

## 77. მდივანბეგის სასამართლო და მისი შედგენილობა (7)

გვიანფეოდალურ საქართველოში სასამართლო დაწესებულებას „დივანს“ უწოდებდნენ, სავარაუდოდ, ამ სიტყვიდან წარმოსდგა მდივანბეგისა და მდივანის სახელწოდება. მდივანბეგობის სახელო საქართველოში მე–17 საუკუნეში შემოვიდა. სასამართლოს ეს ტიპი კოლევიალურია. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: 1) მდივანბეგი, 2)

მსაჯულები ანუ მოსამართლეები, 3) მდივანი, რომლის ფუნქციაციორივე მხარის ჩვენებების ჩაწერა იყო და აგრეთვე იმ მუხლების წაკითხვა, რომლებიც საქმის განხილვისთვის საჭირო იყო. 4) იასაულნი, რომლებიც ცოცხად ოფოდნენ: "მართლის მთქმელი უქრთამო იასაულნი", რომელთაც საგამოძიებო ფუნქციის შესრულება ევალებოდათ; "გაწყრომისა და დჭერის" იასაულნი, რომელთაც ევალებოდათ განაჩენის სისრულეში მოყვანა, დამნაშავეთა დასჯა.

## 78. სამპარავთმძებნელო სასამართლო (7)

ინკვიზიციური ანუ სამძებრო სასამართლოს საუკეთესო მაგალითია გიორგი მე-3-ის 1170 წლის სიგელი, რომელშიც საუბარია "სამპარავთმძებნელო" სასამართლოს შესახებ. უფროსი მოხელის მპარავთმძებნელის ფუნქცია იყო ქურდის მოძებნა და აღმოჩენა. დევნა და გასამართლება კი-მათი ხელქვეითების, ჩენილების. საქმე, რომელიც წინასწარი გამოძიებით განიხილებოდა "დასტურლამალში" მოცემულია, როგორც "დანისტრად", ხოლო გამოძიების გარეშე კი- "უდანისტროდ".

## 79. მსახურთუხუცესის ფუნქციები და მისი ქვემდებარე მოხელეები (7)

მსახურთუხუცესი-იყო მსახურთა უფროსი. იგი უძველესი თანამდებობა უნდა იყოს, ვინაიდან მსხვილი ფეოდალებს და მეფეს აუცილებლად ეყოლებოდათ მსახურები და მათი უფროსიც. მსახურთუხუცესი ვაზირი გახადა რუსუდანმა. იგი ძლიერ დაახლოებული პირი იყო მეფესთან. მის ხელთ იყო: სალარო და საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, მეხილეთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, ფარეშთუხუცესი. სალარო დიდი დაწესებულება იყო, რომელშიც ძვირფასი, არაყოველდლიურად სახმარი ქონება ინახებოდა, მას მსახურთუხუცესზე დაქვემდებარებული პირი-მოლარეთუხუცესი განაგებდა. საწოლს-მესაწოლეთუხუცესი გაანაგებდა. მესაწოლეთუხუცესის მოვალეობა იყო მეფის მომსახურება როცა იგი "უკაზმავი" იყო. მას ემსახურებოდა

700 მესაწოლე, რომლთაგან მხოლოდ 8 იყო გლეხი. მესაწოლეები მეფის მცველების იყვნენ, ამიტომ ისინი ერთგულნი, ძირითადად აზნაურთაგან უნდა ყოფილიყვნენ შერჩეულნი.

**80. ვისი მოადგილე იყო ამირეჯიბი? (2)**

მანდატურთუხუცესის

**81. რა ტერმინებით აღინიშნება განზრახვა და გაუფრთხილებლობა მცირე სჯულის კანონის მიხედვით? (2)**

წინასწარწურთილება და დამთხვევა

**82. განმარტეთ ტერმინი საზეპურო (2)**

პირადი საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინი იყო საზეპურო. ეს ტერმინი წარჩინებულ პირთა საკუთრების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. იგი არ არის საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინი. მოგვიანებით ამ ტერმინმა დაკარგა მნიშვნელობა და გაიმარჯვა „საკუთრებამ“.

**83. მცირე სჯულისკანონის შემადგენელი ნაწილები (2)**

- 1) მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების (ტრულის) კანონები
- 2) კანონნი შეცოდებულთანი იოანე მმარხველისა
- 3) კანონნი დღითი-დღეთა ცდთომათანი.
- 4) ძეგლის წერა სარწმუნოებისაი.

**84. განმარტეთ ტერმინები თანადება და თანმდები (2)**

ძველ ქართულში ვალდებულების გამოსახატავად ტერმინი „თანადება“ გამოიყენებოდა, „თანმდები“ კი მოვალე იყო. ზოგან „თანადება“ მოვალეობას გამოხატავს. უფრო გვიან ეს ტერმინი ადგილს უთმობს

შემდეგ ტერმინს „ვალი“, ხოლო გვიანფეოდალურ ხანაში შემოდის ტერმინი „ვალდებულება“.

**85. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ვახტანგის სამართლის წიგნისა და იოანე მმარხველის მიხედვით. (2)**

იოანე მმარხველის მიხედვით 30 წლის ასაკიდან იყო დაწესებული, ხოლო ვახტანგ მეექვსის მიხედვით 10 წლიდან წესდებოდა პასუხისმგებლობა.

**86. განმარტეთ ტერმინები წინდი და დაწინდვა (2)**

ნიშნობას ეწოდებოდა დაწინდვა. ივ. ჯავახიშვილის აზრით ქალ-ვაჟის დანიშვნას „დაწინდვა“ ეწოდებოდა. „წინდი“ არის ნიშანი, რომელიც აუცილებელი იყო ნიშნობის რიტუალის ჩასატარებლად. წინდი შმძლება, ყოფილიყო ბეჭედი, სამაჯური და სხვა.

**87. ვინ თარგმნა დიდი სჯულისკანონი და როდის? (2)**

არსენ იყალთოელმა მე-11 საუკუნის ბოლოსა და მე-12 საუკუნის დასაწყისში.

**88. ვის ექვემდებარებოდა ამირეჯიბი? (2)**

მანდატურთუხუცესს

**89. ჩამოთვალეთ ამირსპასალარის ქვემდებარე მოხელეები (2)**

ამილახორი, მეჯინიბეთუხუცესი, მეაბჯრეთუხუცესი და ზარდახნისუხუცესი მათდამი დაქვემდებარებული მოხელეებით.

**90. განმარტეთ ტერმინი ჭურჭელი (2)**

ჭურჭელი-მოდრავ უსულო საკუთრებისა და ქონების აღმნიშვნელ

ტერმინად გამოიყენებოდა.

**91. რას ნიშნავს ასაბია? (2)**

დანაშაულის მონაწილე

**92. განმარტეთ მართალი სამართალი ვეფხიტყაოსნის მიხედვით (2)**

მართალი სამართალი ნიშნავს ბუნებით სამართალს. ბუნებითი სამართალი ძველად მიაჩნდათ მარადიულ იდეებად, რომელიც ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს.

**93. როდის იქნა შედგენილი ხელმწიფის კარის გარიგება და ვინ აღმოაჩინა იგი? (2)**

ხელმწიფის კარის გარიგება შედგენილი იყო მე-14 საუკუნეში. ჩვენამდე მოაღწია ამ ძეგლის მე-18 საუკუნის ხელნაწერმა, რომელიც დალუპვას გადაარჩინა ექ.თაყაიშვილმა.

**94. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი იოანე მმარხველის და ექვთიმე მთაწმინდელის მიხედვით. (2)**

იოანე -30, ხოლო ექვთიმე პირის უმსუბუქესად დასჯის იდეას ატარებდა.

**95. ვის ექვემდებარებოდა ამილახორი? (2)**

ამირსპასალარს

**96. რას ნიშნავს ტერმინი წინასწარწურთილება? (2)**

„წინასწარწურთილება“ განზრახ ჩადენილ დანაშაულს ნიშნავს.

**97. რას ნიშნავს ტერმინი სისხლი? (2)**

სისხლი კანონით დაწესებული ან აღიარებული ქონებრივი სასჯელია, ქონებრივი გადასახდელია.

**98. რა შემთხვევაში თავისუფლდებოდა ტყვის გამყიდველი პასუხისმგებლობისგან კათალიკოსთა სამართლის მიხედვით? (2)**

იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე მის მიერ გაყიდულს დაიხსნიდა და მოიყვანდა თავის ადგილას, გადაუხდიდა ჯარიმას იმ საწმესოს სადაც ტყვე ცხოვრობდა და საურავს ტყვის ბატონს, მაშინ განთავისუფლდებოდა სიკვდილით დასჯისაგან.

**99. ჩამოთვალეთ სამოქალაქო სამართლის რომელ ინსტიტუტებს ეხება გიორგი მე-5 ძეგლისდება? (2)**

ოთხი მუხლი ეხება: მამისა და შვილის ეკონომიკურ მდგომარეობას, ოჯახის გაყრას, ვალის საკითხსა და ბეითალმან ქონებას.

**100. რას ნიშნავს ტერმინი იშობრივი? (2)**

სრულიად უნებლიე ქმედება

**101. ჩამოთვალეთ ანდერძის აღმნიშვნელი ტერმინები (2)**

აღუთქმადი და დაწერილი

**102. სააჯო კარის შემადგენლობა (2)**

სააჯო კარს სათავეში მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი ედგა. ის ორშაბათობით ედგა სათავეში სააჯო კარს. მას ეხმარებოდა ორი მწიგნობარი, ზარდახანისა და საწოლის.

**103. განმარტეთ ტერმინი ხვასტაგი (2)**

ხვასტაგი-როგორც უსულო, ისე სულიერ მოძრავ ქონებას აღნიშნავდა.

**104. განმარტეთ ტერმინი რბევა და ძარცვა (2)**

თუ მპარავი აშკარად მოქმედებდა და ძალით იტაცებდა სხვის ქონებას, ასეთ ქმედებას რბევა (მიმძლავრება) ეწოდებოდა. ქარავანზე თავდასხმისა და მისი ქონების მითვისების შემთხვევაში გამოიყენებოდა ტერმინი ძარცვა.

**105. გლეხის სისხლის ფასი (2)**

გლეხის მკვლელობა 12 თუმანი ღირდა ანუ 60 ძროხა. 1 თუმანი = 5 ძროხა.

**106. რას ნიშნავს ტერმინი შეცოდება? (2)**

დანაშაული

**107. ვის ექვემდებარებოდა მეაბჯრეთუხუცესი? (2)**

ამირსპასალარს

**108. სისხლის ფასი ხელის თითის დაზიანებისთვის (2)**

ვახტანგის სამართლის წიგნის 45-ე მუხლის თანახმად, სისხლის ფასი ხელის თითის დაზიანებისთვის მთელი ხელის მეხუთედი იყო, ხელისთვის კი -სისხლის მესამედი.

**109. რას ნიშნავს ტერმინი შინათგამცემელი? (2)**

თანამონაწილე იყო, რომელიც ბოროტ მოქმედებს ეხმარებოდა



შინაური საიდუმლოს გამჟღავნებით.

**110. რას ნიშნავს ტერმინი უდებება და უგულებელყოფა საქმისაი? (2)**

უმოქმედობას."უდებებაი და უგულებელყოფაი საქმისაი" ნიშნავდა თანამდებობის პირის უმოქმედობას,რასაც მძიმე დანაშაული ან შედეგი მოჰყვებოდა.

**111. დიდებული თავადის სისხლის ფასი (2)**

1536 თუმანი

**112. რას ნიშნავს ტერმინი უდანისტროდ? (2)**

საქმის განხილვას წინასწარი გამოძიების გარეშე

**113. რას ნიშნავს ტერმინი დანისტრად? (2)**

საქმის განხილვას წინასწარი გამოძიებით

**114. რას ნიშნავს ტერმინი მთხრობელი? (2)**

დანაშაულის თვითმხილველი, მოწმე

**115. დაასახელეთ ნიშნობისა და დანიშვნის აღმნიშვნელი ტერმინები. (2)**

წინდი და დაწინდვა

**116. სისხლის ფასი ცალი ხელის დაზიანებისთვის (2)**

ვახტანგის სამართლის წიგნის 45-ე მუხლის თანახმად,ცალი ხელის დაზიანებისთვის დაწესებული იყო სისხლის მესამედი,ხოლო თუ მხოლოდ ხელის თთი იყო დაშავებული,მაშინ-ხელის სისხლის ფასის

მეხუთედი.

**117. სამართალი ბერძნულის წყაროები (2)**

მათე ვლასტარის სინტაგმა და კონსტანტინე არმენოპულოს ექვსწიგნეული.

**118. განმარტეთ ტერმინები სახმარი და უხმარი (2)**

სახმარი-რაც გამოიყენებოდა როგორც უძრავი, ისე მოძრავი ნივთების აღსანიშნავად.

უხმარი-საერთოდ უვარგისს კიარ ნიშნავდა, არამედ დროებით, იმ დროისთვის გამოუყენებელს.

**119. რას ნიშნავს შეგდებული და შეუგდებელი თანამოფიცარი (2)**

როცა დაზარალებული თვითონ ასახელებდა თანამოფიცარს ეწოდება შეგდებული თანამოფიცარი. ხოლო როდესაც მას ირჩევდა ბრალდებული ეწოდება შეუგდებელი თანამოფიცარი.

**120. სისხლის ფასი ორივე ხელის დაზიანებისთვის (2)**

ვახტანგის სამართლის წიგნის 44-ე მუხლში აღნიშნულია, რომ თუ ორივე ხელი, თვალი ან ფეხი კაცს ისე დაუზიანეს, რომ არცერთი სახმარი აღარ არის, დამნაშავემ უნდა გადაიხადოს მთელი სისხლი, ანუ სხეულის დაზიანებები უთანაბრდებოდა მკვკლელობისთვის დაწესებულ სისხლის ფასს.

**121. განმარტეთ ტერმინი ორკერძოვე დანაშაული (2)**

თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაული

**122. ვის ექვემდებარებოდა ციციხეთუხუცესი? (2)**

მსახურთუხუცესს

**123. რა ევალუბოდათ გაწყრომისა და დაჭრის იასაულებს? (2)**

გაწყრომის და დაჭერის იასაულებს ევალუბოდათ დამნაშავეთა შეპყრობა.

**124. განმარტეთ ტერმინი ბეითალმანი (2)**

უპატრონო (ქონება)

**125. სისხლის ფასი წარბს ქუეით და ყელს ზეით მიყენებული ზიანისათვის (2)**

ამ შემთვევაში დამნაშავეს უნდა გადაეხადა ერთი ხელის სისხლის ფასი, ერთი ხელის დაზიანებისთვის კი სისხლის მესამედი იყო დაწესებული.

**126. განმარტეთ ტერმინი პატიჟი (2)**

საჯარო სახის სასჯელს პატიჟი ეწოდება

**127. რას ნიშნავს ტერმინი ექსორია? (2)**

ექსორია ნიშნავს ქვეყნიდან მოკვეთას, გადასახლებას სხვა ადგილზე.

**128. სისხლის ფასი ფეხის თითის დაზიანებისათვის (2)**

ვახტანგის სამართლის წიგნის 46-ე მუხლში ფეხის თითის დაზიანებისთვის დაწესებულია ხელის თითის ნახევარი სისხლის ფასი, რადგანაც ხელის თითი ფეხის თითთან შედარებით უფრო სახმარია. ხელის თითის დაზიანებისთვის კი დამნაშავეს მთელი ხელის სისხლის ფასის მეხუთედი უნდა გადაეხადა.

**129. ვის ექვემდებარებოდა განმგეთუხუცესი? (2)**

მანდატურთუხუცესს

**130. განმარტეთ ტერმინები გერში და ნახშირი (2)**

„გერში“ - მსუბუქი ჭრილობა; „ნახშირი“ - თავდაპირველად ჭრილობას ნიშნავდა, შემდეგ კი - ზარალის საზღაურს დანაშაულისთვის.

**131. ვის ექვემდებარებოდა ფარეშოუხუცესი? (2)**

მსახურთუხუცესს

**132. რა ევალეზოდათ მართლის მთქმელ უქრთამო იასაულეზს (2)**

ევალეზოდათ საგამოძიებო საქმიანობა

**133. განმარტეთ ტერმინები მოადი და შეწამება (2)**

„მოადი“ არის მოპასუხე, ხოლო „შეწამება“ - ბრალდება

**134. ვის ექვემდებარებოდა მუშრიბი? (2)**

მეჭურჭლეთუხუცესს

**135. რას ნიშნავს ტერმინი მეშველი? (2)**

მეშველი ნიშნავს ბოროტმოქმედების მონაწილეს

**136. რა ეწოდებოდა აღბულას სამართლის წიგნის უძველეს ხელნაწერს? (2)**

„წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე“.

**137. ვის ექვემდებარებოდა მუქიფი? (2)**

მეჭურჭლეთუხუცესს

**138. როგორ განისაზღვრებოდა სისხლის ფასი სხეულზე მიყენებული ჭრილობისთვის? (2)**

ვახტანგის სამართლის წიგნის 49-ე მუხლში წერია, რომ ჭრილობა ქერის მარცვლით გაიზომოს და თითო მარცვალზე თითო ძროხა გადახდეს დამნაშავეს. მაგრამ თუ თოფით, ისრით, შუბით ან ჯიქურად დაჭრილი არის-ისევ ქერის მარცვლით გაიზომოს ჭრილობა და ორმაგად ანაზღაურდეს.

**139. რას ნიშნავს დასახელებული და დაუსახელებელი თანამოფიცრები (2)**

ეს იგივეა რაც შეგდებული და შეუგდებელი თანამოფიცარი.

**By Achi Javakhishvili**

**Good luck!**